პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრობ) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების. წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30. კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— მოსკოვში გარდაიცვალა აკადემიკოსი ვ. მ. ბეხტერევი.
— ინგლის-ამერიკის ნავთის ტრესტების ბრძოლის გამწვავება.
— შეტევა საფრანგეთის მემაღაროეთა ხელფასზე.
— ოსმალეთის ყოფ. საზღვაოსაქმეთა მინისტრის იშან-ბეის საქმე.
— საფრანგეთი კატეგორიულად უარყოფს სარეპარაციო გადასახადების შემცირების იდეას.
— პოლიტიკურ პატიმრების გაცვლა ლიტვა-პოლონეთს შორის.
— მთავრობის კრიზისი ლატვიაში გრძელდება.
— ბომბის აფეთქება ამერიკული ბანკის არგენტინის განყოფილებაში.

სამშაბათი, 27 დეკემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 294 (2039)

გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირების გზით

ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს ქვედა საფეხურის კოოპერატიული ქსელის ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა. ადგილებიდან მიღებული ცნობებით, მოსახლეობა ცხოველ ინტერესს იჩენს ამ გადარჩევისადმი. საარჩევნო კრებებს ესწრება წევრთა უდიდესი უმრავლესობა, ალაგ - ალაგ 80—100 პროცენტამდე. მასსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ კოოპერაციის მუშაობის განხილვაში.

მშრომელ მოსახლეობის ეს ინტერესი და აქტივობა უნდა გავაღრმავოთ და გამოვიყენოთ კოოპერაციის შემდგომი განმტკიცებისათვის, იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომელთაც პარტია უყენებს მას ჩვენს ეხლანდელ სასოფლო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

საბჭოთა წყობილების პირობებში კოოპერაცია სოფლისათვის მთავარი გზაა სოციალიზმისაკენ. ამ უდავო დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღეს, როცა კაპიტალისტური ელემენტების დაძლევის და სოციალისტური მშენებლობის ამოცანა დასმულია გადაჭრით და პრაქტიკულად.

რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება კოოპერაციის გაძლიერების დარგში? პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შევეცადოთ მთელი ღარიბ გლეხობის და საშუალო გლეხობის მეტი ნაწილის შეყვანას კოოპერაციაში. მიღწევები ამ მხრივ ჩვენში თვალსაჩინოა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა საკმარისი. ღარიბ გლეხობას ჩვენ უნდა გაუადვილოთ კოოპერაციაში შესვლა ამისათვის სპეციალური ფონდის შექმნა - გადიდებით და მისი მიზანშეწონილი გამოყენებით, აგრეთვე საპაიო გამოსაღების ნაწილ-ნაწილად გადახდევინების დაწესებით. აქ, სხვათა შორის, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაცილებით მეტი ყურადღება, ვინემ დღემდე, უნდა მიექცეს გლეხ - ქალების ჩაბმას კოოპერაციაში, ვინაიდან მათი რიცხვი ამ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ მეტად მცირეა.

შემდეგ: ჩვენ ოდნავადაც არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მარტო იმით, რომ კოოპერაციის წევრებად გავხდით გლეხობის უმრავლესობა. აუცილებელია ღარიბ გლეხობამ აქტივობა გამოიჩინოს კოოპერაციის საქმიანობაში და არა უბრალო მაყურებლის, პასიური წევრის როლი ითამაშოს. კერძოდ საჭიროა კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში გაყვანილ იქნან ღარიბ გლეხობის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენლები, ისეთი ელემენტები, რომელნიც შესძლებენ მუშაობის წარმართვას სოფლის მშრომელი ნაწილის ინტერესების უზრუნველყოფის მიმართულებით.

მშრომელ გლეხობის კოოპერატიული აქტივობის ზრდის და კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოების სოციალური და თვისობრივი მხრივ სათანადო შემადგენლობის უზრუნველყოფა აუცილებელი პირობაა, რომ კოოპერაცია გაძლიერებულ შეტევაზე გადავიდეს კულაკების წინააღმდეგ და გააფართოვოს საქმიანობა ღარიბ გლეხობის როგორც სამომხმარებლო მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებისათვის, ისე, რაც მთავარია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. ღარიბ გლეხობისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა, რათა ის სავსებით განთავისუფლდეს კულაკების ეკონომიურ გავლენისა და ექსპლოატაციისაგან, მისი გაერთიანება ყიდვა - გასაღების და თანდათან წარმოების დარგში—ასეთია ამოცანა. ამ მიზნით ფართე აგიტაცია - პროპაგანდა და ორგანიზაციული მუშაობა უნდა იქნეს ჩატარებული. ასეთი მუშაობა, ცხადია, სისტემატიურად უნდა სწარმოებდეს, მაგრამ მიმდინარე არჩევნები ამ მიზნით განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ. ამ მხრივ კერძოდ ჩვენი საკრედიტო სისტემა უძლიერეს იარაღს უნდა წარმოადგენდეს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტის სოციალურ მიმართულებას. სესხი, რა თქმა უნდა, უნდა მიეცეს მხოლოდ ღარიბ და შემდეგ საშუალო გლეხობას და მან ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო საწარმოო ძალების განვითარებას სოფლად, არამედ სასოფლო მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე გადაყვანას.

კოოპერატივისათვის შესაძლებლობის ფარგლებში უნდა იქნეს უზრუნველყოფილი როგორც ფული და საქონლის კრედიტი, ისე ფინანსიური დახმარება სახელმწიფო ბიუჯეტის წესით. მაგრამ მთავარი ის არის, რომ კოოპერაციამ თვითონ დააგროვოს საშუალებები მუშაობის გასაშლელად. ეს კი პირველ ყოვლისა შეიძლება საპაიო თანხების სრულად და თავის დროზე აკრეფით. ჩვენში ამ მხრივ მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მაგ., სამომხმარებლო კოოპერაციაში საშუალო (ხუთ მანეთიანი) საპაიო გამოსაღებიც არ არის მთლად შეტანილი. ფაქტიურად გადახდილი გამოსაღები თვითეულ წევრზე საშუალოდ უდრის 3 მ. 50 კ. ჩვენი ამოცანაა არა მარტო საპაიო დავალიანების მოსპობა, არამედ საპაიო გამოსაღების ნორმის გადიდებაც. მხოლოდ ამ გზით შესაძლოა კოოპერაციის ფინანსიური მოღონიერება, რაც მას საშუალებას მისცემს უფრო ფართოდ განავითაროს თავისი საქმიანობა და ამავე დროს გააიაფოს თავისი ოპერაციები, ვინაიდან კოოპერაცია დღეს გლომად სარგებლობს ნასესხები თანხებით, რომლების პროცენტების გადახდა მძიმე ტვირთად აწევს მას.

ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერატიული აპარატის გამარტივებას, მისი მუშაობის რაციონალიზაციას, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას და სხ. ასეთი ღონისძიებებით უფრო იაფად შესძლებს ის წევრთა მასსების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მათთან უფრო მჭიდროდ დაახლოვებას.

კოოპერაციის ორგანოების ეხლა მიმდინარე არჩევნებში ყველა ეს და სხვა საკითხები, რომელნიც მის მუშაობას შეეხებიან, კოოპერატიულ მასსების გაცხოველებულ სჯა-ბაასის საგანს შეადგენენ. მშრომელი მოსახლეობა სულ უფრო იგებს კოოპერაციის მნიშვნელობას და ირაზმება მის გარშემო. სწორი ხელმძღვანელობით და მუშაობით ჩვენ შევსძლებთ მასსების კოოპერატიული აქტივობის უფრო გაძლიერებას და კოოპერაციის ხვედრითი წონის გადიდებას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ახლანდელმა არჩევნებმა ამ მხრივ საგრძნობი ნაყოფი უნდა მოგვცეს.

ასი ათასი

საბჭოთა კავშირის ასი ათასი ახალი პროლეტარი შემოვიდა ბოლშევიკურ საკავშირო კომპარტიაში (ბ). ოქტომბრის გაწვევის გამოცხადების მომენტიდან დღითი-დღე იზრდებოდა ახალ კომუნისტების რიცხვი და სულ რაღაც თვენახევარში გაიზარდა მთელი ასიათასიანი არმიად, ბოლშევიზმის ვოლონტერების ახალ არმიად.

ახალ მებრძოლთა მძლავრი ბატალიონები წარმოიშვენ მთელ საბჭოთა კავშირში, ყველა იმის ინდუსტრიალურ ცენტრებში.

ასი ათასი! ცივი, უგულო, მშრალი ციფრია. მაგრამ რამდენად ბევრს მეტყველებს იგი. რამდენად ბევრ რამეს მოასწავებს. ეს ასი ათასი კაცი, რომლებსაც სურთ ქალაქში მიიღონ ბოლშევიკების წოდება და რომლებსაც სურთ უშუალოდ იმუშაონ კომპარტიის ორგანიზაციებში—ეს ხომ ჭეშმარიტად მოწინავე მუშები და მუშა-ქალებია. ჩვენი მუშათა კლასის უპარტიო ფენების საუკეთესო, რჩეული, ყველაზე უფრო შეგნებული და მედგარი ნაწილი. ესენი უმთავრესად არიან კვალიფიციური მუშები, დიდი საწარმოო სტაჟით, საფუძვლიანად გამოხარშულნი ფაბრიკა-ქარხნების ქვაბში.

როდესაც შემოტანილი იყო ჯერ კიდევ მხოლოდ 50.000 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობამ თავის საერთო პოლიტიკურ რეზოლიუციაში სწორად სცნო ცეკას პოლიტიკა ჩვენი პარტიის სოციალურ შემადგენლობის მოწესრიგების დარგში და ავტორიტეტულად აღნიშნა ოქტომბრის გაწვევის წარმატება. ეხლა კი, როდესაც ყრილობის დელეგატები ეს-ეს არის დაუბრუნდენ თავის ადგილებს, ეს რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ეხლა პროლეტართა განცხადებები ასიათასს სჭარბობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცებულა ავანგარდის კავშირი მასებთან. ეს მოასწავებს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის მე-11 წელს უაღრესად გაიზარდა ნდობა პარტიისადმი მუშათა კლასის მხრივ. უეჭველია, რომ თვითეული ახალი მუშა-ბოლშევიკი, მით უმეტეს ისეთი, რომელიც გამოცდილია წარმოებაში და ავტორიტეტით სარგებლობს თავის ცეხში და სახელოსნოში, გავლენას ახდენს ბევრ სხვებზე, აქტიურ ზეგავლენას ახდენს მათზე და მიჰყავს თავისი გზით. ეს კი, უეჭველია, იქნება იმის მომასწავებელი, რომ პარტიას, მის იდეებს, მის ბრძოლას კიდევ დაუახლოვდება უპარტიო მუშების უდიდესი ფენა—ასი ათასი ახალი მუშა პარტიაში კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიის პროლეტარულ შემადგენლობას და ამით გაძლიერებს ჩვენს წინააღმდეგობის უნარს ყოველგვარ ბურჟუაზიულ გავლენებისადმი, რომელთაგან ჩვენ, ჩვენს მრავალმილიონიან გლეხურ ქვეყანაში, არ შეიძლება უზრუნველყოფილი ვიყოთ. ასი ათასი ახალი მუშა-პარტიის წევრი—ეს არის გამანადგურებელი მეხი, რომელიც ქვას ქვაზე აღარ სტოვებს „პროლეტარიატის შეზღუდვის" ცნობილ თეორიიდან, რომელსაც ავითარებდენ წვრილ ბურჟუაზიული მოწუწუნენი და მოწუწუნე წვრილი ბურჟუები. პირიქით.

არა ეჭვები, არა ხიანგის ცრემლები, არამედ რწმენა, ძლიერი ურყევი პროლეტარული რწმენა ჩვენი საქმის გამარჯვებისა, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისა, მოაქვს ჩვენს პარტიაში ასი ათას ახალ პროლეტარს. მათი შემოსვლა ჩვენს რიგებში—ეს არის მუშათა კლასის მასების ღირსეული პასუხი იმ გრანდიოზულ ამოცანებსა და სიძნელეებზე, რომლებიც ჩვენ კიდევ მოგველის, რომლების შესახებაც მუდმივად გვაფრთხილებს პარტია და მუშათა კლასი. კერძოდ ეს არის პროლეტარული პასუხიც საერთაშორისო ხასიათის სიძნელეებზე, ყველა დიდ და მცირე ჩემბერლენების გაიძვერულ ხრიკებზე მთელს დედამიწის ზურგზე. პარტიაში შემოსულმა მუშებმა იციან, რომ ისინი შემოდიან პარტიაში არა უბრალოდ არა მარტო როგორც სოციალიზმის მშენებელნი, არამედ აგრეთვე როგორც საერთაშორისო რევოლიუციის მხურვალე და მკაცრი ჯარისკაცები. საკავშირო კომპარტიის (ბ) ახალი ასი ათასი წევრი—მუშები ამავე დროს არის კომუნისტურ ინტერნაციონალის ასი ათასი ახალი უაღრესად აქტიური წევრი, რაც საუკეთესო მაჩვენებელია სახელოვან ინტერნაციონალურ ტრადიციების აყვავებისა ჩვენს მუშათა კლასში.

ასი ათასი პროლეტარი და პროლეტარი ქალი შემოდის სასურველ ძმებად და დებად ჩვენს ბოლშევიკურ ოჯახში. პარტია მათგან შექმნის, მტკიცე, ურყევ ბოლშევიკებს, ვინაიდან ჩვენ სრულ ანგარიშს ვაძლევთ თავს იმაში, რომ მუშათა ყოველი ახალი ათასეული, რომელიც სდგება ჩვენს რიგებში, არის ის სასარგებლო ცემენტი, რომელიც ამაგრებს პროლეტარიატის დიქტატურის დიად შენობას ჩვენს ქვეყანაში.

„პრავდა", 25 დეკემბერი.

დაწვრილებითი ცნობები კანტონის ამბების შესახებ

აჯანყებულმა გლეხებმა პეკინის ახლო დაიპყრეს სამი მაზრა.—აჯანყებულ გლეხთა რაზმები სვატოუსთან

ინგლის-ამერიკის ნავთის ტრესტების ბრძოლა.-შრომის ხელფასის შემცირება საფრანგეთში და ინგლისში

რა მოხდა კანტონში

ტოკიო, 26 დეკემბერი. ტოკიოდან კანტონის ამბების შესახებ მიღებული ცნობები ისევ ბუნდოვანია. სხვადასხვა ცნობების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი სურათი:

11 დეკემბერს მუშებისა და გლეხების რაზმებმა ისარგებლეს ჩან-ფა-გუისა და ლი-ტი-სინის მომხრეთა შორის ატეხილი ბრძოლით და კანტონი ხელში ჩაიგდეს. აჯანყებულებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა, ხელში ჩაიგდეს საზოგადოებრივი წესრიგის ბიურო და საპოლიციო უბნები. პოლიციელებს იარაღი აჰყარეს, ყველა პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლეს. შემდეგ აჯანყებულებმა დაიჭირეს მთავრობის შენობები და ცენტრალური ბანკი. ქუჩებში გამოკრულ იქნა პლაკატები: „ძირს რეაქციონერი ლიდერები ვან-ცზინ-ვეი, ჩან-კაი-ში და გომინდანის სხვა რეაქციონერები". „ჩინეთის ხალხს მხოლოდ მუშათა და გლეხთა საბჭოები მიანიჭებენ მშვიდობას". სუ-ჩაო-ჩენის მეთაურობით შეიქნა ახალი მთავრობა, რომელშიაც შედიოდენ ხუან-პინი, ჩან-და-ლაი, ხო-ლაი და სხვანი. მთავარსარდლად ი-ე-ტინი დაინიშნა. კომპარტია შეუდგა გაზეთ „წითელი დროშის" გამოცემას და მოიწვია კონფერენცია. ასეთი ლოზუნგით: „ბანკების, ბირჟებისა, დიდი მაღაზიებისა და სახლების კონფისკაცია და მუშებისათვის გადაცემა". „დაგირავებული ქონება პატრონებს უსასყიდლოდ დაუბრუნდეს". „გაფიცვების თავისუფლება".

ლი-ფუ-ლინისა და ჩან-ფა-გუის ჯარებმა, რომლებმაც მდინარის სამხრეთით დაიხიეს, 12 დეკემბერს კანტონზე იერიში მიიტანეს. საზოგადოებრივი წესრიგის ბიურო ხელიდან ხელში გადადიოდა. 13 დეკემბერს, შუადღის შემდეგ, ლი-ფუ-ლინის ჯარები საბოლოოდ დაეპატრონენ ქალაქს. ცენტრალური ბანკი ხანძარმა გაანადგურა. გარდა ამისა, იწოდა სახლები ქალაქის დაახლოებით 50 სხვადასხვა პუნქტებში. ცეცხლ-მოდებული შენობათა შორის ჰოსპიტალიც იყო. როგორც სჩანს, ხანძრის მიზეზი ის იყო, რომ მთავრობის ჯარები ქალაქს ზარბაზნებს უშენდნენ. მუშებისა და გლეხების რაზმებმა მდინარის აღმოსავლეთით დაიხიეს და დახლოებით 300 მოკლული დასტოვეს.

ლი-ფუ-ლინმა და ჩან-ფა-გუიმ გამოუშვეა საერთო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია: „ტერორის ბატონობას ბოლო მოეღო მოქალაქეთათვის უშიშროება უზრუნველყოფილია. იმავე დღეს დააპატიმრეს ხუთი საბჭოთა მოქალაქე, გაიყვანეს ქუჩებში და დახოცეს. მათ შორის იყო ვიცე-კონსული ხასისიც.

ცნობების მეტი წილი ადასტურებს, რომ ჯარებმა საბჭოთა საკონსულო დაიჭირეს 15 დეკემბერს, სრულიად გაძარცვეს და შიგ ჩაიდგნენ. საკონსულოს პერსონალი დაპატიმრებულ იქნა და იგი საზოგადოებრივი წესრიგის ბიუროს შენობაში ჩაამწყვდიეს. ჩქარა დაპატიმრებულთა სიკვდილით დასჯასაც მიჰყვეს ხელი. სულ სიკვდილით დასჯილია 2.000 კაცი.

გაზეთ „ასახის" და „ხინბუნ-რენგოს" სააგენტოს კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ძარცვა-რბევა; უმთავრესად მას შემდეგ დაიწყო, რაც აჯანყებულთა რაზმებმა უკან დაიხიეს. გონკონგში მოსულ კანტონელ ლტოლვილებიდან უკვე დაპატიმრებულია დაახლოებით 200 კაცი; მათ ბრალდებათ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

ხმებია, რომ ხუან-პინი და ჩან-და-ლაი კანტონში დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მთავრობის ჯარებმა ქალაქი დაიბრუნეს. დანგრეულია დაახლოებით ათასი სახლი. ზარალს 200 მილიონ იენად ანგარიშობენ.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მაშინვე განახლდა ბრძოლა ჩან-ფა-გუისა და ლი-ტი-სინის მომხრეთა შორის. მუშათა კავშირის მემარჯვენე ფრთამ, სტუდენტების ფედერაციამ და კომერსანტების ასოციაციამ ნანკინის მთავრობას გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც დამნაშავეებად მომხდარ აჯანყებაში ვან-ცზინ-ვეის და ჩან-ფა-გუის ასახელებენ.

ცნობების უმეტესობის თანახმად, კანტონი ლი-ფუ-ლინის ხელშია, ჩან-ფა-გუი გონკონგში გაიქცა ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ჩან-ფა-გუი ლი-ფუ-ლინის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, კანტონის გენერლებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს კამპანია საბჭ. კავშირის წინააღმდეგ; ისინი არწმუნებენ, რომ „ვილაც რუსი კომუნისტი იოვშევი ცოტა ხნის წინათ კანტონში მოვიდა და მთელ მოძრაობას ხელმძღვანელობდა, ხოლო ვიცე კონსული, ვითომდა, აჯანყებულებს სარდლობდა; გერმანული წყაროები ადასტურებენ: რომ საკონსულოს პერსონალი კვლავ დაპატიმრებულია, ხასისი დახვრეტილია. სხვა ცნობები ჯერ მიღებული არ არის.

სინბუნ-რენგოს სააგენტომ თავის კორესპონდენტებს ხელახლა დაუგზავნა მიწერილობა, რომ გამოგზავნილი ცნობები შეამოწმონ. (ადს).

ხანკოუს საბჭოთა საკონსულოს ბედი

ხანკოუ, 25 დეკემბერი. ხანკოუში საბჭოთა საკონსულო ხელში ჩაიგდეს 15 დეკემბერს და სრულიად გაძარცვეს. წაღებულია არა მარტო ქაღალდები, არამედ თანამშრომლების მთელი პირადი ქონებაც.

რუსეთისა და გერმანიის ყოფილი კონცესიების ტერიტორიაზე საერთო ჩხრეკა მოხდა. იაპონიის კონცესიის მმართველობამ ჩინეთის ხელისუფლებას ხელში გადასცა ოთხი კომუნისტი, მათ შორის ლი-ხან-ჩუანი და ჩან-და-პეი, რომლებიც იმალებოდნენ უკანასკნელი რეპრესიების შემდეგ. (ადს).

ცნობები გონკონგიდან

ტოკიო, 25 დეკემბერი. გონკონგიდან მიღებულ ცნობებში ნათქვამია, რომ სვატოუს მახლობლად, ხაიფინისა და ლუფინის მაზრებში „ხელახლა დაიწყო ახალი ძალმომრეობა, რომელსაც სჩადიან კომუნისტური და გლეხთა რაზმები". რაზმებში ორი ათასი კაცი ითვლება. (ადს).

„წითელი შუბები"

პეკინი, 25 დეკემბერი. ჩინეთის მთავრობის ცნობებით, პეკინის დასავლეთით სამი მაზრა „წითელმა შუბებმა" ხელში ჩაიგდეს. „წითელი შუბების" რაზმები ებრძოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, დაიჭირეს რამდენიმე ქალაქი, დაეპატრონენ სამხედრო და სამოქალაქო საქმეების მართვა-გამგეობას და შექმნეს მთავრობა.

იტყობინებიან, რომ წითელ „შუბებს" სარდლობს ამ მაზრების ყოფილი საგარნიზონო რწმუნებული. (ადს).

საბჭოთა მოქალაქეების გადასახლება და დაპატიმრება

შანხაი, 25 დეკემბერი. ხანკოუში დაპატიმრებულია შორეულ აღმოსავლეთის ბანკის წარმომადგენელი გლაცი და სავაჭრო წარმომადგენლობის წარმომადგენელი ესინი. (ადს).

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. „ასოშიეტედ პრესს"-ს კანტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული (რომელიც დაპატიმრებულია) შვილით და ბავშვით 28 დეკემბერს იქნება გაძევებული. ოთხი რუსი, რომელთაც აღმოაჩნდა საბჭოთა საკონსულოს დოკუმენტები, ციხეში ჩასვეს". (ადს).

კიდევ „დოკუმენტები"

შანხაი, 25 დეკემბერი. ირკვევა, რომ მას შემდეგ, როცა ხანკოუდან გადაასახლეს ხუ-ცზუნ-დო ყოფილ მეფის კონსულთან და საკონსულოს მდივანთან ერთად მივიდენ საბჭოთა საკონსულოში და იქ აღმოაჩინეს რადიო-სადგური და დამწვარი ქაღალდების გროვა. ხუ-ცზუნ-დოს განკარგულებით ეს ქაღალდები გადაიტანეს გარნიზონის შტაბში, ვინაიდან ხელისუფლება ფიქრობს, რომ ამ ქაღალდებში იპოვნის „სახელის გამტეხავ დოკუმენტებს". (ადს).

დოკუმენტი № 12857—10

შანხაი, 25 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობაში ნათქვამია: „ნახევრად ოფიციალური ცნობების მიხედვით საბჭოთა საკონსულოს არქივებში კანტონში აღმოჩენილია ნახევრად დამწვარი დოკუმენტი № 12.857—10, რომელიც დამტკიცებულია კომინტერნის მე-7 გაფართოებული პლენუმის მიერ. დოკუმენტში ნათქვამია, რომ აუცილებელია უხელმძღვანელოთ გლეხთა მოძრაობას, განვაიარაღოთ მინისტრები („წითელი შუბების" მოწინააღმდეგე რაზმები), შევაიარაღოთ ღარიბთა რაზმები და შევქმნათ წითელი არმია". (ადს).

ფინ-იუი-სიანი იაპონიის მოქალაქეთა დამცველია

ტოკიო, 25 დეკემბერი. გაზეთი „ხოცი" სარწმუნო წყაროების მიხედვით იტყობინება: ფინ-იუი-სიანმა ახლახან შეატყობინა იაპონიის კონსულს შანხაიში, რომ ის მზად არის დაიცვას იაპონიის მოქალაქენი შანდუნში ყოველგვარი საშუალებებით, რომლებიც კი მის განკარგულებაშია; ამასთანავე ფინ-იუი-სიანმა წინადადება მისცა იაპონიას, რომ სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას. (ადს).

ჩან-კაი-შის მოწოდება

შანხაი, 25 დეკემბერი. ჩან-კაი-ში „ნაციონალისტების ჭეშმარიტ მისწრაფებათა" დეკლარაციით გამოვიდა და მოუწოდა სახელმწიფოებს, რომ ნეიტრალიტეტი დაიცვან.

შანხაიში მოვიდნენ ტან-ენ-კაი, ხო-ჩინი და უჩჟან-ჩუ, რათა ჩან-კაი-ში გენერალისიმუსის თანამდებობის მიღებაზე დაიყოლიონ. (ადს).

ინსტრუქციებს თხოულობენ

შანხაი, 25 დეკემბერი. კანტონის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს ჩან ფა-გუის და ლი ფუ-ლინის დეპეშას, რომელიც გაგზავნილია ვან-ცზინ-ვეის და ჩან-კაი-შისადმი. დეპეშაში ნათქვამია: „კომუნისტების წინააღმდეგ გამოსვლის დროს 13 დეკემბერს დახვრიტეს 10-ზე მეტი რუსი, ამდენივემ მოახერხა გაქცევა. რუსეთის საკონსულოში აღმოჩენილ იქნა 2 ყუთი დაბეჭდილი მასალებით. ეს მასალები შეიცავენ მოწოდებას აჯანყებისაკენ; აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ტყვიებით გატენილი რევოლვერები, რომლებიც შენახულია. გვაცნობეთ, რა უყოთ ამ მასალებსა და იარაღს?". (ადს).

ფინ-იუი-სიანის მხარეზე

შანხაი, 25 დეკემბერი. ნანკინის სააგენტო „გომინი" იტყობინება, რომ ჩრდილოეთის გენერლები იუან-ხაზენი და ხუ-იუ-გუენი ფინ-იუ-სიანის მხარეზე გადავიდნენ და ლინშენი დაიჭირეს. (ადს).

ნავთის ტრესტების ბრძოლა

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. ინგლის-ჰოლანდიის ნავთის ტრესტმა „დეჩ შელმა" ნიუ-ჯერსის რაიონში იყიდა ნავთის შესანახი ადგილები და ამგვარად დაიპყრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები ნავთის კომპანიის—„სტანდარტ ოილის" გამსაღებელი ბაზრის ყველაზე უფრო დიდ ცენტრში ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების აღმოსავლეთ ნაწილში.

როცა სტანდარტ ოილის კომპანიამ (ნიუ-იორკში) შეიძინა საბჭოთა ნავთის პირველი პარტია, დეტერდინგი იმუქრებოდა რომ „სტანდარტ ოილთან" დაიწყებს ომს გამსაღებელი ბაზრისათვის. მალე ამის შემდეგ ტრესტ „როიალ დეჩ შელმა" ენერგიული კონკურენცია დაიწყო „სტანდარტ ოილთან" და ნავთის ჰყიდდა შეერთებული შტატების შუა-დასავლეთ რაიონში. ნავთის შესანახი ადგილების ყიდვა ტრესტ „როიალ დეჩ შელის" მიერ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების აღმოსავლეთ ნაწილში წარმოადგენს ერთ-ერთ მომენტს ამ გამწვავებულ ბრძოლაში, რომელიც ევროპისა და ინდოეთის გამსაღებელი ბაზრების დაპყრობისათვის სწარმოებს ინგლისის და ამერიკის ნავთის კომპანიებს შორის. (ადს).

მწარმოებლები შეტევაზე გადადიან

ლონდონი, 25 დეკემბერი. საფეიქრო ფაბრიკების პატრონების კრებამ, რომელიც გაიმართა მანჩესტერში, დაადგინა შეეკითხოს ლანკაშირის დანარჩენი საფეიქრო ფაბრიკების პატრონებს, თუ როგორია მათი აზრი მუშათა სამუშაო დღის გადიდების და ხელფასის შემცირების შესახებ.

„მანჩესტერ-გარდიენის" ცნობებით, მწარმოებლებს განზრახვა აქვთ საფეიქრო მუშათა ხელფასი შეამცირონ 12 ნახევარ პროცენტით და სამუშაო კვირა 48 საათიდან გაადიდონ 52 საათამდე.

ლანკაშირის მწარმოებლების ეს განზრახვა, იორკშირის მატყლის მრეწველობის წარმოებათა მეპატრონეების მოთხოვნილებებთან ერთად, ნიშნავს ინგლისის ფეიქართა 90 პროც. ცხოვრების პირობების გაუარესებას.

შეტევა საფრანგეთის მემაღაროეთა ხელფასზე

პარიზი, 25 დეკემბერი. კომუნისტური ფრაქციის დეპუტატმა კორნავენმა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე შეიტანა შეკითხვა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის ტარდიეს განცხადების გამო.

„მიუხედავათ ტარდიეს განცხადებისა, რომ დაშვებული არ იქნებოდა მემაღაროეთა ხელფასის არავითარი შემცირება,—სთქვა კორნავენმა,—ქვა-ნახშირის კომპანიამ ლავავეიში გადასწყვიტა იძულებითი წესით ჩაატაროს სამუშაო ხელფასის დაკლება 12 პროცენტით და სამუშაო დღის გადიდება. გაფიცული მუშების წინააღმდეგ გამოყვანილ იქნა ჟანდარმერიის რაზმი; ქვა-ნახშირის კომპანიამ გამოიწვია შტრეიკბრეხერები. შექმნილი მდგომარეობა მოწმობს, რომ ქვა-ნახშირის ყველა კომპანიებმა გადასწყვიტეს სამუშაო ხელფასის შემცირების ჩატარება".

კორნავენმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც წამოყენებულია მემაღაროეთა შემდეგი მოთხოვნილებანი: სამუშაო ხელფასის დატოვება არსებულ დონეზე, საგაფიცვო მოძრაობის აქტიურ მოღვაწეთა განთავისუფლება პატიმრობიდან, 8 საათის სამუშაო დღის დაცვა, მაღაროების გადასვლა სახელმწიფოს ხელში".

სოციალისტმა ბენასიმ და რადიკალ-სოციალისტმა კონეჟომ მხარი დაუჭირეს კორნავენის შეკითხვას.

კორნავენის საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში ტარდიემ განაცხადა, რომ სამუშაო ხელფასის დაკლება მიღებულ იქნა მუშების მიერ და მხოლოდ ზოგიერთი პირების ზეგავლენით, მემაღაროეთა 35 პროცენტის ხმით იქნა მიღებული დადგენილება გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

თავისი სიტყვის დასასრულში ტარდიემ აღნიშნა, რომ იგი არ არის თანახმა კამათის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნას სხვა ფორმულა, გარდა მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულისა. ეს ფორმულა პალატამ მიიღო 390 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 142 ხმისა. (ადს).

მემაღაროები გენსაბჭოს წინააღმდეგ

ლონდონი, 25 დეკემბერი. რონდის ხეობის მემაღაროეთა ფედერაციის მორიგმა თვიურმა კრებამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია გენერალური საბჭოს მიერ ინგლის-რუსეთის კომიტეტის გაუქმების წინააღმდეგ.

„ეს აქტი—ნათქვამია რეზოლიუციაში—აქეზებს ინგლისის მთავრობას ომისათვის რუსეთის მუშათა რესპუბლიკის წინააღმდეგ".

რეზოლიუცია დაბეჯითებით მოითხოვს მემაღაროეთა ფედერაციისაგან მიღებულ იქნას ღონისძიება ინგლის-რუსეთის კომიტეტის აღსადგენად. (ადს).

სარეპარაციო გადასახადის შემცირების საკითხი

პარიზი, 25 დეკემბერი. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე სარეპარაციო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ლუი დიუბუამ განაცხადა, რომ შეუძლებელია ლაპარაკი იმაზე, რომ შემცირდეს ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადის რაოდენობა ან რეპარაციის საერთო თანხა, რომელიც დაწესებულია 132 მილიონი ოქროს მარკის რაოდენობით; დიუბუამ ხაზი გაუსვა, რომ მიუღებელი იქნება გადაისინჯოს გერმანიის ვალდებულებანი და ამავე დროს არ დაისვას საკითხი იმ ვალის შესახებ, რომელიც საფრანგეთმა უნდა გადაუხადოს ინგლისსა და შეერთებულ შტატებს.

პუანკარემ განაცხადა, რომ რამდენადაც სარეპარაციო კომისიამ დააწესა გერმანიის ვალის საერთო თანხა, მას არ შეუძლია თვითონ შესცვალოს ეს თანხა. (ადს).

გრეკო და კარილო გაამართლეს

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. სასამართლომ გაამართლა იტალიელი მუშა—მკერავები გრეკო და კარილო, ანტიფაშისტურ ლიგის წევრები, რომლებიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემული; მათ ბრალდებოდათ ორი ფაშისტის მოკვლა ნიუ-იორკში 1927 წლის მაისში. დამცველები ამტკიცებდენ, რომ ფაშისტურმა ლიგამ იმ მიზნით დასდო ბრალი გრეკოსა და კარილოს, რომ განემტკიცებინა თავისი პრესტიჟი რომში, სადაც მოკლული ფაშისტები სამხედრო პატივით დაკრძალეს.

უორკერს პარტი ძლიერ აქტიურად გამოვიდა გრეკოსა და კარილოს დასაცავად, მოაწყო მასიური მიტინგები, გამოაქვეყნა ბროშიურა და აგრეთვე მთელი რიგი წერილები და კარიკატურები, რომლებშიაც ეს საქმე უკავშირდება საკოსა და ვანცეტის დასჯას.

ყუმბარების აფეთქება

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი. ბუენოს-აირესში, ნიუ-იორკის „ნეიშენელ-სიტი-ბანკ"-ის განყოფილებაში მოხდა ყუმბარის აფეთქება.

მოკლულია ორი, დაიჭრა 20. ამავე დროს აფეთქება მოხდა ბოსტონის „ფერსტ-ნეიშენელ ბანკ"-ის ადგილობრივ განყოფილებაში, რომლის შენობაში იმყოფება ამერიკის საკონსულო და ბევრი ამერიკული კანტორები. ხმების მიხედვით, აფეთქებას ადამიანთა მსხვერპლი არ მოჰყოლია.

უნდა აღინიშნოს, რომ „ნეიშენელ სიტი-ბანკი, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც მონაწილეობას იღებს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების იმპერიალისტურ შეტევაში ლათინურ ამერიკაზე. გახდა ამერიკულ კაპიტალიზმის აგრესიობის სიმბოლოთ.

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებელი პერიოდი

(არჩევნების პრაქტიკული საკითხები)

თემსაბჭომ, გადარჩევის შესახებ დირექტივების მიღებისთანავე, უნდა გამოჰყოს საარჩევნო კომისია. სოფლის საბჭოს (საქართველოში თემსაბჭოს) საარჩევნო კომისია, ინსტრუქციის თანახმად, უნდა მოეწყოს შემდეგი წესით: კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს მაღლა მდგომი აღმასკომი, მაგრამ კომისიის თავმჯდომარედ ყოველთვის არ უნდა დაინიშნოს სოფლის საბჭოს თავმჯდომარე; წევრებად კომისიაში შედიან: საბჭოს პლენუმზე არჩეული სოფლის საბჭოს ორი წევრი, პროფესიონალურ ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი, უფრო ხშირად ასეთ პროფესიონალურ ორგანიზაციას წარმოადგენს მიწა - ტყის მუშაკთა კავშირის მუშკომი, აგ. ლ. კ. კ. უჯრედის ერთი წარმომადგენელი, გლეხკომის ორი წევრი და საარჩევნო რაიონში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილის ერთი წარმომადგენელი. აღნიშნული კომისია უნდა იქნეს შედგენილი არა მექანიკურად სოფლის საბჭოში, ან თავმჯდომარის ბინაზე, არამედ კომისიის თვითეული წევრის კანდიდატურა განხილული და გარჩეული უნდა იქნეს ჩამოთვლილ ორგანიზაციების მიერ. საარჩევნო კომისიის ასეთი შედგენა არ მისცემს ერთ პიროვნებას იმის შესაძლებლობას, რომ კომისიაში თავი მოუყაროს მისთვის სასურველ პირებს და ხელს შეუშლის ანტისაბჭოთა უცხო ელემენტებს კომისიის წევრებად გასვლაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა შარშან ზოგიერთ ადგილებში.

ამ წესით არჩეულმა კომისიამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა და ამისათვის უნდა გამოიყენოს სოფლის საბჭოს ტეხნიკური აპარატი. კომისიამ უნდა განიხილოს თავისი სოფლის (რაიონის) ამომრჩეველთა შარშანდელი სია, უნდა იქონიოს მსჯელობა თვითეულ ამომრჩეველზე იმის გამოსარკვევად, ამოსაშლელია ის სიიდან თუ არა. საეჭვო, სადაო შემთხვევებში, როდესაც კომისიას კარგად არ აქვს შეთვისებული ამა თუ იმ გლეხის სოციალური სახე, მისი სამეურნეო სიძლიერის თვალსაზრისით, საჭიროა მან შეამოწმოს ცნობები, შეეკითხოს მოჯამაგირეთა და სოფლის ღარიბთა ორგანიზაციებს და უპირველესად ყოვლისა სოფლის ღარიბი გლეხობის წარმომადგენლებს — საბჭოს წევრებს. მხოლოდ ასეთი ზომებით აიცილებს კომისია შეცდომებს ამომრჩეველთა გაცხრილვის დროს და აცილებული იქნება შარშანდელი არჩევნების ერთ-ერთი შეცდომაც, როდესაც საშუალო გლეხებს წაერთვა საარჩევნო უფლება.

ამასთან ერთად კომისიამ უნდა განიხილოს საარჩევნო უფლებას მოკლებულთა შარშანდელი სიები, უნდა შეავსოს ეს სიები იმ მასალების თანახმად, რომელიც მას ექნება, და უნდა ამოშალოს ამ სიიდან ის პირები, რომლებიც შეცდომით იქნენ შეტანილი სიაში შარშანდელ არჩევნების დროს, განასაჩივრეს ეს და მაღლამდგომ ორგანოებისაგან მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სიების პერსონალური განხილვა საჭიროა იმ მოსაზრებებითაც, რომ 1928 წ. საარჩევნო ინსტრუქციამ შეამცირა ზოგიერთი საარჩევნო კატეგორიები, როგორც მაგალითად, იმ შინა - მრეწველებისა, რომლებიც სარგებლობენ მოწაფეთა დაქირავებულ შრომით და დაწვრილებით განსაზღვრა იმ პირთა კატეგორია, რომლებიც მოკლებული არიან საარჩევნო უფლებას. შარშან ხმის უფლება ეძლეოდათ იმ შინა-მრეწველებსაც, რომლებსაც ყავდათ 4 მოწაფე, მიმდინარე წელს კი მოწაფეთა რიცხვი დაყვანილია 2-მდე. ის გლეხები და მეჯოგეები, რომლებიც სარგებლობენ სეზონურ მოჯამაგირეების, ან მწყემსების დაქირავებულ შრომით, ან კომერციულ და სხვა პირობების გამო, ან კიდევ იმიტომ, რომ მათ არ ყავთ შრომის უნარიანი ოჯახის წევრი — შარშან მოკლებული იყვნენ საარჩევნო უფლებას, მიმდინარე წელს-კი ამ კატეგორიას ეს უფლება მიეცა და სხვ.

საჭიროა კომისიებმა პერსონალურად და ყურადღებით განიხილონ თვითეული პიროვნება, რომ ნაკლებ შეცდომებს ჰქონდეს ადგილი. კერძოთ ასეთი მიდგომა საჭიროა იმ პირთა მიმართ, რომლებიც გამოსული არიან არაპროლეტარულ კლასებიდან. მაგალითად მღვდლები, ჩინოვნიკები და სხვ. ინსტრუქციის თანახმად ასეთ პირთ საარჩევნო უფლება ეძლევა იმ შემთხვევაში, თუ 3 წლის განმავლობაში მათ დაამტკიცეს თავისი ლოიალობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ეწევიან საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომას. მაგრამ ყველა მათგანი მაინც არ არის სავსებით ლოიალურად განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ იმყოფებიან საბჭოთა სამსახურში. საარჩევნო კომისიები აუცილებლად წააწყდებიან ისეთ ფაქტს, როდესაც ბევრ მათგანს ექნება პროფკავშირის საწევრო წიგნაკები. ასეთ შემთხვევაში კომისიებმა უნდა ითამაშონ ასეთი ელემენტების მასიური შემოწმების და არალოიალური ელემენტებისაგან ჩვენი საბჭოთა აპარატის მასიური წმენდის როლი. ცნობილია, რომ შარშან აღმოჩენილი იქნენ პროფკავშირების ისეთი წევრები, რომლებსაც სოფლად ეჭირათ საპასუხისმგებლო საბჭოთა თანამდებობა და ამავე დროს ხელმძღვანელობდენ კონტრ - რევოლიუციონურ ნაციონალისტურ პარტიას. ასეთ შემთხვევაში საარჩევნო კომისიები უნდა ასრულებდენ მასიურ შემოწმების როლს და უნდა აქეზებდენ პროფკავშირებს და სხვა ორგანიზაციებს გასწმინდონ თავიანთი რიგები უცხო ელემენტებისაგან. პროფკავშირებმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავის წარმომადგენლის საშუალებით მჭიდროთ იქნებიან დაკავშირებული საარჩევნო კომისიებთან, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები თავის იმ წევრთა წინააღმდეგ, რომლებზედაც კომისიას ექნება გამოტანილი ესა თუ ის დასკვნა.

ამ ძირითად სამუშაოს ჩატარების შემდეგ, საარჩევნო კომისიებმა უნდა შეადგინონ ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სიები. პირველი სიის თანახმად უნდა შეადგინონ საარჩევნო უწყებები მოქალაქეთათვის, მეორე სია-კი უნდა გამოაკრან თვალსაჩინო ადგილებს.

მიმდინარე წელს, იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მოსახლეობის აქტივობის აღრიცხვა საანგარიშო კრებებზე, საარჩევნო უწყებები უნდა იქნეს შედგენილი ორ ეგზემპლიარად: ერთი —საანგარიშო კრებაზე მოსაწვევათ, მეორე-კი საარჩევნო კრებაზე მოსაწვევათ. აღნიშნული უწყებები შეიძლება დაიბეჭდოს ორ სხვადასხვა ფერის ქაღალდზე.

კავშირის და ინფორმაციის საკითხს არჩევნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ კარგად იქნეს დაყენებული [illegible] ტეხნიკურად მოწყობის საქმე.

თ. შ.

გარდაიცვალა აკადემიკოსი ბეხტერევი

მოსკოვი, 26 დეკემბერი. 24 დეკემბერს, 23 საათსა და 45 წუთზე გულის სიდამბლისაგან უეცრად გარდაიცვალა ლენინგრადიდან ჩამოსული აკადემიკოსი **ბეხტერევი.**

26 დეკემბერს შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **სემაშკომ** და დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა.

განსვენებულის სურვილის თანახმად, მისი ტვინი გაიგზავნება ლენინგრადში ტვინის ინსტიტუტში. (ადს).

ვლადიმერ მიხეილის ძე ბეხტერევი

(ბიოგრაფიული ცნობები)

საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ნევროპატოლოგი და ფსიქიატრი ვლადიმერ მიხეილის ძე ბეხტერევი დაიბადა 1858 წელს ვიატკის გუბერნიაში. საშუალო განათლება მიიღო ვიატკის გიმნაზიაში, ხოლო უმაღლესი—პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. 1878 წელს აკადემიის კურსის დამთავრებისთანავე პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებულ იქნა სულიერ და ნერვიულ ავადმყოფობათა კათედრაზე. 1881 წელს მოსამზადებლად გაგზავნილ იქნა საზღვარგარეთ, სადაც მუშაობდა ისეთი გამოჩენილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, როგორიც იყვნენ ფლექსიგი, ვუნდტი და სხვ. უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ დაიჭირა სულიერ ავადმყოფობათა კათედრა ყაზანის უნივერსიტეტში, ხოლო 1884 წელს მისი მასწავლებლის, ცნობილ მეცნიერის, მერჟეევსკის გარდაცვალების შემდეგ მიწვეულ იქნა მის ადგილზე პეტერბურგის სამხედრო მედიცინის აკადემიაში. ქალთა სამედიცინო ინსტიტუტის გახსნისთანავე მან დაიჭირა იგივე კათედრა ამ ახალ დაწესებულებაში, 1908 წელს მისი თაოსნობით გაიხსნა ფსიქო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, ამჟამად სამედიცინო ცოდნათა სახელმწიფო ინსტიტუტი, რომლის პრეზიდენტათ იგი იქნა არჩეული. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მის მიერვე დაარსებულ იქნა სახელმწიფო რეფლექსოლოგიური ინსტიტუტი. სიკვდილამდე განსვენებულ მეცნიერს ეჭირა ორივე ეს თანამდებობა.

ბეხტერევი საქვეყნოდ სახელგანთქმული როგორც მრავალ მეცნიერულ შრომის ავტორი. მისი შრომები, რომელთა რიცხვი 500-ს აღწევს, ეხება სულიერ და ნერვიულ ავადმყოფობათა კლინიკას, ნერვიული სისტემის ანატომიას და ფიზიოლოგიას და ფსიხო-ფიზიოლოგიას. ნერვიულ ავადმყოფობათა კლინიკაში ბეხტერევმა აღმოაჩინა ერთგვარი რამდენიმე კლინიკური ფორმები და დიაგნოსტური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რეფლექსები. ბეხტერევის სამეცნიერო შრომები ადამიანის ყოფაქცევის შესწავლის დარგში ემყარებიან ფიზიოლოგიურ და პატოფიზიოლოგიურ საფუძველს. მისი ხელმძღვანელი იდეები ყველაზე უფრო გარკვევით გადმოცემულნი არიან მის სამ ძირითად შრომაში: „ხერხემლისა და თავის ტვინის გამტარებელი გზები" ტვინის ფუნქციებზე მოძღვრების საფუძვლები და „ობიექტიური ფსიხოლოგია". ამ ცდილებებში ბეხტერევი მხარს უჭერს იმ ფსიხოლოგებს, რომელნიც გადაჭრით უარყოფენ სუბიექტიურ ფსიხოლოგიას და მხარს უჭერენ ადამიანის ფსიხიკის ობიექტიურ შესწავლას, რომელსაც ბეხტერევი რეფლექსოლოგიას უწოდებდა. თავის ვრცელ მონოგრაფიაში „კოლექტიური რეფლექსოლოგია", ბეხტერევმა მიზნად დაისახა კოლექტივის რეფლექსოლოგიური შესწავლა. ძალიან გავრცელებულია მისი სახელმძღვანელო „ნერვიულ სისტემის ავადმყოფობათა ზოგადი დიაგნოსტიკა".

ბეხტერევი ანატომოფიზიოლოგიურ მიმართულების ერთი გამოჩენილი წარმომადგენელთაგანია პატალოგიისა და ფსიქიატრიაში და ერთი უდიდესი რეფორმატორი ფსიქოლოგიურ მსოფლმხედველობის დარგში. ბეხტერევს აღზრდილი ჰყავს მრავალი მეცნიერი, რომელთაც ამჟამათ უჭირავთ დამოუკიდებელი კათედრები.

განსვენებული პროფესორი ეკუთვნოდა მეცნიერთა იმ წრეს, რომელსაც წმინდა მეცნიერულ მუშაობის გარდა ღრმად აინტერესებდა საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრება. ნიკოლოზის დროს იგი მონაწილეობას ღებულობდა ფართო საზოგადოებრივ მუშაობაში, რისთვისაც მას არა ერთხელ დაუმსახურებია მეფის მთავრობის გულისწყრომა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იგი ზოგიერთ მეცნიერებივით განზე არ გასდგომია საბჭოთა ხელისუფლებას და წინანდებური ენერგიით განაგრძობდა მუშაობას თავის დარგში, მიუხედავად მაშინდელი ცუდი [illegible] პირობებისა. თუ რამდენად ახლო იდგა იგი საბჭოთა მეცნიერებასთან, მოწმობს ამონაწერი მისი ავტობიოგრაფიიდან, რომელიც მან დასწერა ამ წლის აგვისტოში.

„როდესაც მე მომიხდა 1919 წელს იანვარში, — სწერს იგი თავის ავტობიოგრაფიაში ტვინის შესასწავლ სახელმწიფო ინსტიტუტის კონფერენციის საჯარო სხდომაზე ვამბობდი—დიდი ისტორიული გარდატეხის დროს არ შეიძლება გზაჯვარედინზე დგომა და ლოდინი მისი, რომ საჭიროა ნებისყოფა მოქმედებისადმი და შემოქმედებითი მუშაობისადმი. ჩვენთვის მეცნიერების მუშაკებისათვის, რომელნიც ყოველთვის ჩვენ ძალ-ღონეს კაცობრიობის სამსახურს ვანდომებდით არ უნდა არსებობდეს რყევა. ჩვენ თავს ანგარიში უნდა მივსცეთ მასში, ვრჩებით თუ არა ხალხთან, რომელსაც თავისუფლების მოპოვების შემდეგ სწადია თვითონვე ააგოს თავისი მომავალი და თვითონვე მოგვიწოდებს ჩვენ მონაწილეობა მივიღოთ აღმშენებლობაში. შემდეგ მე აღვნიშნე: „ახალ დაწესებულებას—ტვინის და ფსიქიური მოქმედების შესასწავლი ინსტიტუტს—შეუძლია ახალ რუსეთს მისცეს ის, რაც არ შეეძლო მიეცა სამეცნიერო დაწესებულებებს წინათ. ამჟამად სოციალური მშენებლობის პირობებში დადგა დრო აღიძრას საკითხი ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის პირობების რეორგანიზაციის შესახებ, ვისურვოთ, რომ ამ საკითხმა, რომელიც ტვინის შესასწავლ ინსტიტუტში მეცნიერული პრობლემის სახით არის დაყენებული, მიგვიყვანოს ძირეულ რეფორმამდე ამ საქმეში, რომლითაც დაინტერესებულია მთელი მშრომელი ხალხი და მასთან ერთად მთელი სახელმწიფო. ამ კონფერენციის შემდეგ ფსიქო-ნევროლოგიური აკადემიის და ტვინის შესასწავლი ინსტიტუტის თანამშრომლებმა აიღეს სწორი კურსი საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. 1920 წლის 1-ლ იანვარს მთელი ქვეყნის ექიმებისადმი მე გამოვაქვეყნე მოწოდება, სადაც მე ვთხოვდი მათ ხმა აემაღლებიათ განათლებულ ქვეყნების იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელიც სრულიად უდანაშაულო მოქალაქეების მასიური მკვლელობით ხასიათდებოდა და რომელიც „კულტურული" სახელმწიფოების ბლოკადით აიხსნებოდა.

სამოქალაქო ომის ლიკვიდაციის შემდეგ სამეცნიერო დაწესებულებები თანდათან გამოცოცხლდენ და უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელი საბჭოთა რუსეთის მეცნიერები დიდებული ლოზუნგით „მეცნიერება და შრომა" ეწევიან ყოველდღიურ ნამდვილ მეცნიერულ შრომას, რომელიც საბჭოთა რუსეთის მომავალის წინაშე შლის განუზომელ ჰორიზონტებს და პერსპექტივებს.

დასასრულ მე აღვნიშნავ, რომ მე მრავალი წელია მაქვს პატივი ვიყო არჩეული ლენინგრადის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოში, სადაც მე ვმუშაობ განათლების სექციაში".

ეს სიტყვები და მისი დიდი მეცნიერული მოღვაწეობა ცხადჰყოფს, რომ საბჭოთა ქვეყნების მშრომელმა მასსებმა დაჰკარგეს დიდი მეცნიერი და მათი ინტერესებისათვის მომაგე—მზრუნველი ადამიანი.

ბ. ნ.

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი

ომის საფრთხე არ გამქრალა

რიგა, 25 დეკემბერი. „სოციალ-დემოკრატა"-ის აზრით ერთა ლიგის გადაწყვეტილებას სრულებითაც არ ამოუწურავს პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი, არამედ მხოლოდ რამოდენიმე ხნით გადასდო ომის საფრთხე აღმოსავლეთ ევროპაში.

„იმპერიალისტურ პოლონეთს,—წერს გაზეთი,—ვილნო ესაჭიროება როგორც პუნქტი, რომელიც საშუალებას მისცემს მას განახორციელოს თავისი გეგმები—ზღვისკენ გამოსავლის მოპოვების შესახებ. შეტევა მთავარ პოზიციებზე შემდეგ დაიწყება". (ადს).

ჰავასის სააგენტო უარჰყოფს

პარიზი, 25 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო უარჰყოფს ხმებს, რომ ვითომც საფრანგეთის და ინგლისის ელჩებმა კოვნოში ვოლდემარასის ყურადღება მიაქციეს იმაზე, რომ შეუძლებელია შეიცვალოს ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილება ვილნოს ოლქის შეერთების შესახებ პოლონეთთან. (ადს).

ოსმალეთის ყოფილ საზღვაო მინისტრის საქმე

ანგორა, 25 დეკემბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ისმეტ-ფაშამ მეჯლისში წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ წინანდელი კაბინეტის ყოფილმა საზღვაო მინისტრმა იშან-ბეიმ გადაამეტა თავის რწმუნებებს; ეს გამოიხატა იმაში, რომ კრეისერ „იავუზის" რემონტის შესახებ დასდო ხაზინისათვის საზარალო შეთანხმება. ისმეტ-ფაშამ, როგორც მეჯლისის დეპუტატმა, მოითხოვა ამ საკითხის გამოძიება საპარლამენტო კომისიის მიერ. გამოძიებამ უნდა გამოარკვიოს: შეიძლება თუ არა კონსტიტუციის მიხედვით იშან-ბეის გადაცემა უზენაეს სასამართლოსათვის.

იშან-ბეის გამოსვლის შემდეგ მეჯლისმა ერთხმად მიიღო ისმეტ-ფაშას წინადადება.

ანგორა, 25 დეკემბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ ისმეტ-ფაშამ, რომელმაც მეჯლისში მოითხოვა იშან-ბეის გადაცემა სასამართლოსათვის, აღნიშნა, რომ იშან-ბეიმ კრეისერ „იავუზის" რემონტის საქმეში ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება და მოქმედებდა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ისმეტ-ფაშამ ხაზი გაუსვა, რომ იშან-ბეიმ, როგორც საზღვაო მინისტრმა, გემთაშენი კომპანიის სასარგებლო შეთანხმება დასდო 26 და 30 ოქტომბრის პერიოდში, მაშინ, როდესაც წინანდელი შემადგენლობის პარლამენტის რწმუნებულთა ვადის გასვლის გამო. კაბინეტი უნდა გადამდგარიყო და საზღვაო სამინისტრო უნდა გაუქმებულიყო.

ისმეტ-ფაშამ დასძინა, რომ მთავრობა მისი რეზოლიუციის მიღებასთან თუ უარყოფასთან დაკავშირებით არ სვამს ნდობის საკითხს, ვინაიდან მოვალედ სთვლის თავს მოერიდოს რაიმე პოლიტიკურ ზეგავლენას იმ საკითხში, რომელიც სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას ეხება.

ისმეტ-ფაშას საპასუხოდ წარმოთქმულ სიტყვაში იშან-ბეიმ განაცხადა, რომ ყოველ მინისტრს აქვს უფლება ყოველი შეთანხმება შესცვალოს მთავრობის სასარგებლოდ და აღნიშნა, რომ შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებანი ნაკარნახევი იყო ხაზინის ინტერესებით. იშან-ბეიმ დასძინა, რომ იგი უერთდება მოთხოვნილებას გამოძიების დანიშვნის შესახებ, რომელიც დაამტკიცებს მის ერთგულებას რესპუბლიკისადმი და მთელი მსოფლიოსათვის ცხადჰყოფს, თუ რას წარმოადგენს ოსმალეთის ეხლანდელი რეჟიმი.

პარლამენტის გადაწყვეტილება იშან-ბეის საქმეზე გამოცხადებულ იქნება 15 დღის შემდეგ. (ადს).

საზონოვის გარდაცვალება

პარიზი, 25 დეკემბერი. ნიციდან იტყობინებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა ყოფ. მეფის საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი.

საზონოვი იყო მეფის რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი. თავისი დიპლომატიური კარიერა დაიწყო საელჩოს მდივნის თანამდებობიდან ლონდონში, შემდეგ იყო ელჩად რომის პაპასთან. 1909 წელში სტოლიპინმა ის დანიშნა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად, ხოლო 1910 წელში—მინისტრად. ამ პოსტზე ყოფნის დროს იგი ენერგიულად სცდილობდა ინგლისთან დაახლოების პოლიტიკის გატარება. 1916 წელში თანამდებობიდან გადადგა და დანიშნულ იქნა სახელმწიფო საბჭოს წევრად 1917 წ. 12 იანვარს საზონოვი მეფის მთავრობამ დანიშნა ელჩად ლონდონში.

ამ თანამდებობის აღსრულებას იგი ვეღარ შეუდგა ერთი „საპატიო" მიზეზის გამო: დაიწყო თებერვლის რევოლიუცია. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ იგი ხდება თეთრგვარდიელთა კონტრ-რევოლიუციის აქტიურ მოღვაწედ. 1919 წელში იგი იყო გენ. დენიკინის სამინისტროს წევრი, ხოლო შემდეგ დანიშნულ იქნა კოლჩაკის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრად. კოლჩაკის ბანდების განადგურების შემდეგ მან სხვა თეთრგვარდიელებთან ერთად ევროპას შეაფარა თავი.

საქართველოს ეროვნული

ბიბლიოთეკა

დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის

საკ. კომპარტიის მე-15 ყრილობის რეზოლიუცია მიღებული ერთხმად ამხ. რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებათა გამო

სოციალისტური მშენებლობის წინასწარი პირობები

1. ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან გასულ ათწლედის შედეგები აშკარავებს ამ რევოლიუციის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას; ეს რევოლიუცია წარმოაგენს იმ დიდ საერთაშორისო რევოლიუციონური პროცესის შემადგენელ ნაწილს, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებას გარდაქმნის სოციალისტურ საზოგადოებად. პროლეტარიატის დიქტატურა, წარმოების საშუალებათა, ტრანსპორტის, კრედიტის, საგარეო ვაჭრობის პროლეტარული ნაციონალიზაცია, მიწის ნაციონალიზაცია, — ყოველივე ეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ განვითარების წინასწარ პირობებს. პრინციპიალურად სხვანაირი გახდა სოციალურ - კლასიური შინაარსი იმ მბრძანებელ ეკონომიურ მაღლობების, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის განვითარებას მთლიანად. პრინციპიალურად სხვანაირი გახდა ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის ვინაიდან ინდუსტრიამ იბრუნა „პირი სოფლისაკენ“ და გახდა მისი სოციალისტური გარდაქმნის მძლავრ ფაქტორად. შინაგან ბაზრის ზრდა კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, გამოხატავს სოფლის გაღატაკებას კი არა, არამედ მის კეთილდღეობას. პრინციპიალურად სხვანაირი გახდა სახალხო მეურნეობის ორგანიზაციული ფორმა, რამდენადაც მსხვილი მრეწველობისა და სხვა მბრძანებელ მაღლობების ნაციონალიზაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გეგმიანი სამეურნეო ხელმძღვანელობა, რომელიც სულ უფრო და უფრო სდევნის საქონლურ კაპიტალისტური ბაზრის ანარქიას. პრინციპიალურად სხვანაირი გახდა, ნაციონალურ შემოსავლის განაწილება, რომელიც თითქმის სავსებით სპობს უწინდელ ბატონებულ კლასების პირად მოხმარებას და ამით სპობს უნაყოფო მოხმარების მნიშვნელოვან ნაწილს. საბჭოთა კავშირის მეურნეობის ამ დამახასიათებელმა თვისებებმა შესაძლებელი გახადა მისი აღდგენითი პროცესის ტემპის ბევრად უფრო დიდი სისწრაფე კაპიტალიზმის ქვეყნებთან შედარებით, აგრეთვე ბევრად უფრო სწრაფი გახადა სამეურნეო ზრდის პროცესი საერთოდ.

2. სამეურნეო განვითარების შედეგებმა, ეგრედწოდებულ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დასაწყისიდან, პოლიტიკის, რომელიც საფუძვლად დაუდო სახელმწიფოებრივ სოციალისტურ მრეწველობის სწორ შეგუებას უბრალო საქონლის მწარმოებლების — გლეხების წვრილი და უწვრილეს მეურნეობებთან,—სამეურნეო განვითარების შედეგებმა ამ პოლიტიკის დასაწყისიდან სავსებით დაადასტურა ლენინის დებულებები, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ გვაქვს ყველაფერი საჭირო და საკმაო სოციალიზმის ასაშენებლად, რომ საბჭოთა კავშირის სამეურნეო განვითარების ობიექტიურ - შინაგან პირობებში სრულიადაც არ არის ჩამარხული პროლეტარულ დიქტატურის დაცემის ან გადაგვარების აუცილებლობა და რომ გლეხურ მეურნეობათა დიდი რაოდენობის არსებობა და მასთან სახელმწიფო მეურნეობის დაკავშირება სრულიადაც არ ჰქმნის ჩვენს ქვეყანას გლეხურ მრეწველობის ქვეყანად.

სამეურნეო განვითარების შედეგები სრულიად მკაფიოდ აშკარავებს, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პერიოდში მოხდა რადიკალური გადაჯგუფება ურთიერთობაში მეურნეობის განსაზოგადოებულ ფორმებსა (პირველ რიგში ინდუსტრიისა), უბრალო საქონლურ მეურნეობასა და კაპიტალისტურ მეურნეობას შორის. თუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დასაწყისში სახელმწიფო მრეწველობა თითქმის უმოქმედოთ იყო საქონლის ბრუნვის დარგში, თუ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები თითონ მიმართავდენ კერძო შუამავლობას და კერძო კაპიტალი, აღჭურვილი სწრაფი ბრუნვის ყველა უპირატესობებით, თამაშობდა შედარებით დიდ როლს, — აღდგენის პერიოდიდან რეკონსტრუქტიულ პერიოდზე გადასვლის ჟამს სოციალისტური მრეწველობა და სხვა მბრძანებელი მაღლობები თამაშობენ უკვე გადამწყვეტ და ხელმძღვანელ როლს მთელ სახალხო მეურნეობაში, სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობას დაპყრობილი აქვს ჩვენი ქვეყნის საერთო საქონლის ბრუნვის უდიდესი ნაწილი და სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორი განსაზღვრავს განვითარების საერთო მიმართულებას, სდევნის კერძო კაპიტალს, თავის გავლენის ქვეშ აქცევს და თანდათანობით უცვლის სახეს უბრალო საქონლის მწარმოებელ — გლეხების მეურნეობას.

ასეთ პირობებში, მიუხედავად კერძო კაპიტალის ზრდისა, აბსოლიუტურ ციფრებში, მეურნეობის განსაზოგადოებული ნაწილის ბევრად უფრო სწრაფი ზრდა, ბევრად ამცირებს კერძო კაპიტალის საშიშროებას, რომელიც იზრდება წვრილ ბურჟუაზიულ საფუძველზე. და ჰქმნის მკვიდრ წინასწარ პირობებს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის. სოციალურ — კლასიური თვალსაზრისით ეს მოასწავებს იმას, რომ, მიუხედავად განვითარების პროცესის მთელი წინააღმდეგობისა, მიუხედავად ბურჟუაზიის ზრდისა, (კულაკი, ნეპმანი),—მუშათა კლასის ხვედრითი წონა გაიზარდა, გაიზარდა მისი კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან და განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა.

3. გეგმიან ხელმძღვანელობის გამოცდილებამ გამოააშკარავა, რომ გეგმიან ვარაუდს არა ერთხელ ესაჭიროებოდა არსებითი შესწორებები, რომ მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა მიმართვითი და პირობითი ხასიათი და რომ რეალური გეგმა აუცილებლად სდგება ორგანიულად სახალხო მეურნეობას ორგანიზაციულობის. ნამდვილი ზრდის მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რამდენად იზრდება სწორი გათვალისწინების შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განსაზოგადოების ზრდის საფუძველზე. დამოკიდებულობა მოსავალზე, მისი წინასწარი სწორი სტატისტიკური აღრიცხვის შეუძლებლობა დამოკიდებულობა ბაზრის სტიქიაზე, რომელიც სულ უფრო და უფრო ილაგმება გეგმიანი ხელმძღვანელობით, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ თავსდება მთლიანად მის ჩარჩოებში, მსოფლიო ბაზრის კონიუქტურის რყევა, დამოკიდებულობა უკანასკნელზე და, დასასრულ, ეკონომიკის გარეშე ფაქტები, რომლებიც პირველ რიგში დაკავშირებულია მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვასთან, რაც გავლენას ახდენს როგორც ეკონომიურ ურთიერთობაზე, საზღვარგარეთ, ისე ეკონომიურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით.—ყველაფერი ეს განსაზღვრავს, საგეგმო და ციფრეულ ვარაუდის მიმართებით ხასიათს საერთოდ. სახალხო მეურნეობის ხუთწლიანმა გეგმამ უნდა განიცადოს საერთაშორისო მომენტების განსაკუთრებული გავლენა კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გამწვავების გამო.

ანგარიში უნდა გაეწიოს სამხედრო თავდასხმის შესაძლებლობას კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრივ პროლეტარულ სახელმწიფოზე და ამიტომ ხუთწლიან გეგმის დამუშავების დროს მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს საერთოდ სახალხო მეურნეობისა და კერძოდ მრეწველობის იმ დარგების უსწრაფეს განვითარებას, რომლებსაც ეკისრება მთავარი როლი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და სამეურნეო გაძლიერების უზრუნველყოფის საქმეში ომის დროს.

ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმის აგებასთან დაკავშირებით, საჭიროა თავდაცვის საკითხებზე მივაქციოთ არა მარტო გეგმიან სამეურნეო ორგანოთა ყურადღება, არამედ, რაც უმთავრესია, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მთელი პარტიის დაუღალავი ყურადღება ამ საკითხებისადმი. მეორეს მხრივ, ხუთწლიან გეგმის აგების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მოუსავლიანობის შესაძლებლობა რამოდენიმე კარგ მოსავლიან წლის შემდეგ.

4. სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შედგენის დროს ისე, როგორც ყოველივე ისეთ სამეურნეო გეგმის შედგენის დროს, რომელიც ნავარაუდევია ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ვადისათვის, საჭიროა მივისწრაფოდეთ იმისაკენ, რომ რაც შეიძლება ხელსაყრელად შეუთანხმდეს ერთმანეთს შემდეგი ელემენტები: მუშათა და გლეხთა მასების გაფართოებული მოხმარება, სახელმწიფო ინდუსტრიის გაფართოებული აღდგენა (დაგროვება), რომელიც დამყარებული უნდა იქნეს საერთო სახალხო მეურნეობის გაფართოებულ აღდგენაზე, სახალხო მეურნეობის განვითარების უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში, და სოციალისტურ სამეურნეო სექტორის ხვედრითი წონის აუცილებელი ზრდა, რაც წარმოადგენს გადამწყვეტ და მთავარ მომენტს პროლეტარიატის მთელ სამეურნეო პოლიტიკაში.

ამასთან. საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში საჭიროა დავეყრდნოთ არა შიშველ ლოზუნგს ამ ურთიერთობათა მაქსიმალურად ფართოდ განვითარების შესახებ (ასეთი ლოზუნგი, რომელსაც აყენებს ოპოზიცია, მისი გამოყენების დროს იქნებოდა მომასწავებელი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობის და სამეურნეო და სამხედრო კაპიტულიაციის ინტერნაციონალურ ბურჟუაზიის წინაშე) და არა ეკონომიურ ურთიერთობათა შეკვეცას კაპიტალისტურ მსოფლიოსთან (ასეთ ლოზუნგის განხორციელება იქნებოდა საერთოდ ჩვენი სამეურნეო განვითარების ტემპის შენელების მომასწავებელი და მთელი სოციალისტურ მშენებლობის ტემპის შენელების მომასწავებელი). აქ საჭიროა გამოვიყენოთ მაქსიმალურად, ფართე ურთიერთობა, რამდენადაც ეს ურთიერთობა (საგარეო ვაჭრობის, უცხოეთის კრედიტების და კონცესიების გაფართოება, უცხოეთის ტეხნიკურ ძალთა მოზიდვა და სხვ.) ადიდებს კავშირის სამეურნეო ძლიერებას, კაპიტალისტურ მსოფლიოსაგან უფრო დამოუკიდებლად აქცევს მას და აფართოებს მის სოციალისტურ ბაზას კავშირის შემდგომ ინდუსტრიალურ განვითარებისათვის. მხოლოდ ამ ფარგლებში შეიძლება ლაპარაკი მაქსიმალურად ფართე ურთიერთობის შესახებ.

წარმოების და მოხმარების ურთიერთობის სფეროში საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ არ შეიძლება დავეყრდნოთ, როგორც ერთის, ისე მეორის ერთდროულად მაქსიმალურ ციფრებს (როგორც ამას ეხლა მოითხოვს ოპოზიცია), ვინაიდან ეს გადაუჭრელი ამოცანა გამომდინარეობს ან დაგროვების ცალმხრივი ინტერესიდან განსაზღვრულ მოკლე ვადაში (როგორც ამას მოითხოვდა ტროცკი, რომელიც 1923 წელს აყენებდა მოთხოვნას ულმობელ კონცენტრაციის და მუშების შევიწროების შესახებ), ან მოხმარების ცალმხრივ ინტერესიდან. ვღებულობთ რა მხედველობაში ამ მომენტების შედარებითი წინააღმდეგობას მათ ურთიერთ გავლენას და დაკავშირებას და იმ გარემოებას, რომ ხანგრძლივი განვითარების თვალსაზრისით ხდება ამ ინტერესების შეთანხმება,—საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ორივე ამ მომენტის უაღრესი შეთავსებით.

იგივე უნდა ითქვას ქალაქისა და სოფლის შესახებ, სოციალისტური ინდუსტრიისა და სასოფლო-მეურნეობის შესახებ. შემცდარია მოთხოვნა, რომ სასოფლო მეურნეობის სფეროში არსებული საშუალებები მაქსიმალურად იქნას გადატანილი ინდუსტრიალიზაციის დარგში, ვინაიდან ეს მოთხოვნა ნიშნავს არა მარტო პოლიტიკურად გათიშვას გლეხობასთან, არამედ თვით ინდუსტრიის ნედლეულის ბაზის შერყევას, მისი შინაური ბაზრის და ექსპორტის შერყევას და მთელი სახალხო მეურნეობის სისტემის წონასწორობის დარღვევას. მეორეს მხრივ, შემცდარი იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა ინდუსტრიის ამშენებლობისათვის სოფლიდან საშუალებათა მოზიდვაზე. ეს ამჟამად იქნებოდა განვითარების ტემპის შენელება, წონასწორობის დარღვევა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საზიანოდ.

განვითარების ტემპის საკითხში საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში ამოცანის არაჩვეულებრივი სირთულე. აქ უნდა დავეყრდნოთ არა დაგროვების მაქსიმალურ ტემპს მახლობელი წლის ან რამდენიმე წლის განმავლობაში, არამედ ისეთ შეფარდებას, რომელიც ხანგრძლივათ უზრუნველყოფს განვითარების რაც შეიძლება სწრაფ ტემპს. ამ თვალსაზრისით, გადაჭრით, ერთხელ და სამუდამოთ უნდა დავგმოთ ოპოზიციის ლოზუნგი ფასების გადიდების შესახებ: ეს ლოზუნგი არა თუ გამოიწვევდა მრეწველობის ბიუროკრატიულ გარდაქმნას და მონოპოლისტურ გახრწნას, არა თუ ზიანს მიაყენებდა მომხმარებელს, და პირველ რიგში, მუშათა კლასს და ქალაქისა და სოფლის ღარიბ მოსახლეობას, არა თუ მისცემდა კულაკს უდიდეს კოზირს ხელში, არამედ ცოტა ხნის შემდეგ შესამჩნევად შეანელებდა განვითარების ტემპს, შეასუსტებდა საშინაო ბაზარს, დაარღვევდა მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ბაზას და შეაჩერებდა ინდუსტრიის ტეხნიკურ პროგრესს.

მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიის განვითარებას შორის არსებულ შეფარდების სფეროში საჭიროა დავეყრდნოთ ორივე მომენტის უაღრეს შეთანხმებას. მიგვაჩნია რა სწორად სიმძიმის ცენტრის გადატანა საწარმოო საშუალებათა დამზადებაზე, ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ საფრთხე, რომელსაც წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალების დიდი რაოდენობით დაბანდება მსხვილ მშენებლობაში, რომლის რეალიზაცია ბაზარზე ხდება რამოდენიმე წლის შემდეგ. მეორეს მხრივ, უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მსუბუქ ინდუსტრიის (პირველ მოთხოვნილების საგნების დამზადება) უფრო სწრაფი განვითარება საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ მისი კაპიტალები მძიმე ინდუსტრიისათვის ამ მსუბუქ ინდუსტრიის განვითარების პირობებში.

მხოლოდ ყველა ზემოდანიშნულ ფაქტორების აღრიცხვა და მათი გეგმიანი დაკავშირება გვაძლევს საშუალებას წავიყვანოთ მეურნეობა ცოტად თუ ბევრად გეგმიანი, ცოტად თუ ბევრად უკრიზისო განვითარების გზით.

5. კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ძალების დაჯგუფების თვალსაზრისით იმ პერიოდს, რომელშიაც ჩვენ შევდივართ, ახასიათებს პროლეტარიატის კლასობრივი სიძლიერის ზრდა და მისი ღარიბ და საშუალო შეძლების მასასთან კავშირის განმტკიცება, ქალაქისა და სოფლის კერძო კაპიტალისტურ ელემენტების შედარებითი დაცემასთან ერთად, თუმცა მოსალოდნელია ამ ელემენტების აბსოლიუტური ზრდაც.

მე-14 პარტკონფერენციისა და მე-14 პარტყრილობის გადაწყვეტილებები საფუძვლად დაედო სწორ პოლიტიკას სოფლის მიმართ მიმდინარე პერიოდში და სწორედ მათ უზრუნველყვეს მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასასთან. პროლეტარიატს, რომელმაც გადალახა თავის პარტიაში საშუალო გლეხების საწინააღმდეგო გადახრა, მუშურ-გლეხური ბლოკის განმტკიცების საფუძველზე, მთელ ღარიბ და საშუალო მასასთან ერთად ამჟამად აქვს შესაძლებლობა გადავიდეს კულაკისა და კერძო ვაჭრის შემდგომ, უფრო სისტემატიური და ენერგიულ შეზღუდვაზე. ასეთი უნდა იყოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი კლასობრივი საფუძველი.

ხუთწლიანი გეგმის პრობლემები და პარტიის სამეურნეო პოლიტიკა

1. ქალაქსა და სოფელს შორის ურთიერთობის მოწესრიგების ხაზზე არსებობენ პროლეტარიატის სამეურნეო პოლიტიკის მთავარი სიძნელენი, მთავარი პრობლემები. ხუთწლიანი სამეურნეო გეგმის დასახვის დროს უნდა გამოვიდეთ იმ ამოცანების გადაჭრიდან, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი მეურნეობის ძირითად პროპორციებთან; მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის შორის არსებულ დისპროპორციასთან, რომელიც ჯერ კიდევ არაა აღმოფხვრილი, მიუხედავად სასოფლო მეურნეობასთან შედარებით ინდუსტრიის უფრო სწრაფი ზრდისა, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის ფასებს შორის არსებულ დისპროპორციასთან (საბაზრო „მაკრატელი“), სამრეწველო ნედლეულის (ბამბა, ტყავი, მატყლი და სხ.) მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ დისპროპორციასთან და, ბოლოს, სოფლის მუშახელის რაოდენობასა და მისი სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობის შორის არსებულ დისპროპორციასთან (ეგრედწოდებული „მოსახლეობის აგრარული სიჭარბე“).

2. ამ დისპროპორციების დაძლევა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებით. მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის მოთხოვნასა და მიწოდების შორის წონასწორობის დამყარების მიღწევა შეიძლება სამრეწველო ფასების აწევით (ოპოზიციის მეთოდი, რომლის პროპაგანდასაც ის დღემდე ეწევა). მაგრამ ეს მეთოდი იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ, გადაჭრით უნდა იქნეს უარყოფილი პარტიის მიერ. ამ წონასწორობის მიღწევა შეიძლებოდა სასოფლო-სამეურნეო ფასების დიდათ შემცირებით, მაგრამ ეს მეთოდი გამოიწვევდა განვითარების მთელი ტემპის შენელებას,—საექსპორტო შესაძლებლობათა და მრეწველობის ნედლი მასალის მარაგის კიდევ უფრო შემცირებას. მისი მიღწევა შეიძლებოდა გლეხობის საგადასახადო ტვირთის გადიდებით. მაგრამ ეს მეთოდი, რამდენადაც ის ეხება არა კულაკს, არამედ გლეხობის მთელ მასას, მიუღებელია იმავე მიზეზების გამო, რა მიზეზებითაც მიუღებელია სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასების პოლიტიკა ან სასოფლო-სამეურნეო საქონელზე მეტად დაბალი ფასების პოლიტიკა. ძირითადი დისპროპორციების მოსპობის ასეთი მეთოდები უშუალოდ ან საბოლოო ანგარიშით გამოიწვევდა წონასწორობას საწარმოო ძალების არა სწრაფი განვითარების, არამედ მათი მეტად ნელი ტემპით განვითარების დროს. მეორე მხრით, ასეთი მეთოდები, ბაზარზე წონასწორობის დამყარებით, არამც თუ შეანელებდენ ან მით უფრო აღმოფხვრიდენ მოსახლეობის აგრარულ სიჭარბეს და მასთან დაკავშირებულ უმუშევრობას ქალაქებში, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავებდენ მდგომარეობას და ცუდ გავლენას მოახდენდენ ქვეყნის მთელს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასევე უარყოფილ უნდა იქნეს საერთო ღონისძიება, რომელიც მდგომარეობს სასოფლო მეურნეობისათვის დროებით კრედიტების გაძლიერებაში და ინდუსტრიაში დასაბანდებელ თანხების ხარჯზე პურის ექსპორტის მაქსიმალურად გაფართოებაში. ეს პოლიტიკა, რომელიც საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ფარგლებში საგარეო-სავაჭრო ოპერაციებს ყველაზე უფრო მეტად გააფართოვებდა, საწინააღმდეგო იქნებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკისა, შეაფერხებდა ინდუსტრიის ზრდას და სამეურნეო მხრით განაიარაღებდა საბჭოთა კავშირს გარეშე კაპიტალისტური მტრის წინაშე.

3. ერთად-ერთი სწორი გზა ზემოხსენებულ დისპროპორციათა აღმოსაფხვრელად არის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება, რომელიც უნდა სწარმოებდეს ინდუსტრიის რაციონალიზაციის ენერგიულად გატარების, ინდუსტრიის გაფართოების საფუძველზე და, მაშასადამე, სამრეწველო ფასების დაკლების პოლიტიკის საფუძველზე, ტეხნიკური კულტურების განვითარება სოფლად, თვით სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია (პირველ რიგში უნდა განვითარდეს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების პირვანდელი დამუშავების ინდუსტრია), წვრილ შემონახულ თანხების მიზიდვა (საშინაო სესხი, შემნახველი სალაროები, ანაბართა მიზიდვა კოოპერაციაში, კოოპერატიული ქარხნების აგება) და მათი შეკავშირება საკრედიტო სისტემით.

მხოლოდ ეს გზა, რომელსაც მეურნეობა მიჰყავს არა უმცირესი წინააღმდეგობის ხაზით, არამედ უდიდეს სიძნელეთა გადალახვის ხაზით, უზრუნველჰყოფს ცოტად თუ ბევრად ჰარმონიულ ურთიერთობის დამყარებას ქალაქსა და სოფელს შორის, სამრეწველო საქონლის ნაკლებობის სისტემატიურად აღმოფხვრას, ზედმეტი მუშა-ხელის გამოყენებას ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განუწყვეტელი აღორძინების საფუძველზე, სოციალისტური სამეურნეო სექტორის ხვედრითი წონის გადიდება და პროლეტარიატის ფართო მასების და მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის განუწყვეტელივ გაუმჯობესება.

ვინაიდან ტეხნიკური კულტურების განვითარება სოფლად, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია და ინდუსტრიალიზაცია აუცილებლად გამოიწვევს სულ უფრო და უფრო მეტი მუშა-ხელის ჩაბმას წარმოებაში, ხოლო გაფართოებული ინდუსტრია, განსაკუთრებით სამუშაო დღის შემცირებისა და მუშათა წყების დიდი რაოდენობით გამოყენების ნიადაგზე უფრო სწრაფად მოსპობს უმუშევრობას ქალაქებში. ვინაიდან რაციონალიზაციისა და დაბალი ფასების პოლიტიკა, დაამყარებს რა წონასწორობას ქალაქსა და სოფელს შორის, აუცილებლად გამოიწვევს განვითარების ტემპის ხანგრძლივად დაჩქარებას. ვინაიდან ეს პოლიტიკა, აფართოებს რა მასების მოთხოვნილებას და უზრუნველჰყოფს რა სათანადო ზეგავლენას მთელ საწარმოო აპარატზე, საუკეთესო გარანტია იქნება სამეურნეო მუშაობის ყოველგვარ მოდუნებისა და მონოპოლისტური პარაზიტობის წინააღმდეგ.

4. გამოვდივართ რა საგარეო ვაჭრობის საერთო კურსიდან (სავაჭრო ურთიერთობათა მაქსიმუმი, იმ პირობით, რომ განმტკიცდეს ჩვენი საწარმოო ბაზისი და გაიზარდოს ჩვენი დამოუკიდებლობა კაპიტალისტური მსოფლიოსაგან), აუცილებელია საგარეო ვაჭრობის გეგმა აშენდეს ისე, რომ უეჭველად გვქონდეს აქტიური ბალანსი. აქტიური სავაჭრო ბალანსი ჩვენს ქვეყანაში, ოქროს ამოღების გადიდებასთან ერთად, არის ძირითადი წყარო სავალიუტო რეზერვის შესაქმნელად, რომელიც განსაკუთრებით არის საჭირო კაპიტალისტურ მსოფლიოსა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის გამწვავებისა და აგრეთვე მოუსავლიანობის შესაძლებლობის გამო.

ხუთწლიანმა გეგმამ, უკანასკნელ გარემოებათა გამო, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს რეზერვების დაგროვებას საერთოდ: ნატურალური, საქონლის და სავალიუტო რეზერვების დაგროვებას. ამ რეზერვების დაგროვებამ უნდა უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურების დიდ მერყეობათაგან, ნაწილობრივი ან საერთო სამეურნეო საკრედიტო-საფინანსო ბლოკადის შესაძლებლობათაგან, მოუსავლიანობისაგან ჩვენი ქვეყნის შიგნით და აგრეთვე პროლეტარული რესპუბლიკების კავშირზე პირდაპირი შეიარაღებული თავდასხმისაგან.

5. მრეწველობის დარგში აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი უმთავრესი პრობლემები: პირველი, შეფარდება საწარმოო საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების შორის, ე. ი. შეფარდება მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიის შორის; მეორე, შეფარდება ახლად აგებ სამრეწველო ერთეულთა რიცხვისა და მათი დამთავრების ვადის შორის (ვინაიდან არსებობს საფრთხე, რომ ძალიან დიდი თანხები შეიძლება იქნას დაბანდებული კაპიტალური მშენებლობის მეტად ფართო ფრონტზე და ამ თანხების რეალიზაცია დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებელი იქნება); მესამე, შეფარდება პროდუქციის თვითღირებულებისა და სამუშაო ხელფასის შორის, და, დაბოლოს, შეფარდება ერთის მხრით, შინაური ბაზრისა და ექსპორტისათვის საჭირო წარმოებისა, და მეორეს მხრით ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფისათვის საჭირო წარმოების შორის.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკასთან შეთანხმებით პირველ რიგში უნდა გაძლიერდეს საწარმოო საშუალებათა წარმოება იმგვარად, რომ მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და სასოფლო მეურნეობის ზრდა, ე. ი. მათი მხრივ წაყენებული საწარმოო მოთხოვნილება უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა კავშირის შინაური წარმოებით.

უფრო სწრაფი ტემპით უნდა განვითარდეს მძიმე ინდუსტრიის ის დარგები, რომელნიც მოკლე ხანში აღადგენენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ძლიერებას და თავდაცვის უნარიანობას, წარმოადგენენ განვითარების შესაძლებლობის გარანტიას ეკონომიური ბლოკადის შემთხვევაში, ასუსტებენ დამოკიდებულებას კაპიტალისტური მსოფლიოსაგან და ხელს უწყობენ სასოფლო მეურნეობის გარდაქმნას უფრო მაღალი ტეხნიკისა და მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროფიკაციის გეგმის საჩქაროდ განხორციელებას, შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარებას, მეტადრე ხარისხოვან ლითონების დარგში, ქიმიური წარმოების განვითარებას, მეტადრე ხელოვნური სასუქების წარმოების დარგში. ქვანახშირის, ნავთის და ტორფის ამოღების გაფართოებას, საერთო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, გემთმშენებლობას, ელექტრო-მრეწველობას, ოქროსა და პლატინის მრეწველობას.

მრეწველობამ, რომელიც მოხმარების საგნებს ამზადებს, თავისი პროდუქციის ხარისხი და რაოდენობა უნდა აიყვანოს ისეთ დონემდე, რომ უზრუნველყოფილ იქნას მშრომელთა სულობრივი მოხმარების ნორმის მნიშვნელოვნად გადიდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საფეიქრო, ტყავეულის და საკვები მრეწველობის განვითარება-გაფართოებას, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პროდუქციის ზრდას, განსაკუთრებით უწყობს ხელს სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ზრდას და მიწის ნაკლებობის შემცირებას.

ახალ წარმოებათა დარგში უნდა განვითარდეს ან სრულიად ახალ ნიადაგზე უნდა მოეწყოს: ლითონის, სითბობი და საფეიქრო მრეწველობის მოწყობილობა და დამზადება ავტომობილების, ავიო და ტრაქტორების მშენებლობა, ხელოვნურ ბოჭკოს (ვოლოკნო) წარმოება, იშვიათი ელემენტების მოპოვება, ალიუმინიუმის, ფერო-მარგანეცის, თუჯის, აზოტის და კალიუმის წარმოება, კინო-მრეწველობისა და რადიო დაწესებულობათა მოწყობილობის წარმოება, რადის მოპოების მოწყობა და სხვ.

სავაჭრო ფასები სამრეწველო ნაწარმოებზე სისტემატიურად უნდა იქნეს დაკლებული და ამით თანდათანობით უნდა უზრუნველვყოთ მაკრატლის პირების დაახლოვება, ე. ი. იმ დისპროპორციის შენელება, რომელიც არსებობს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა ფასების შორის ერთის მხრივ, და მეორე მხრივ იმ დისპროპორციის შენელება, რომელიც არსებობს ჩვენს და მსოფლიო ბაზრის ფასებს შორის.

ამ ამოცანის განხორციელება შეიძლება მხოლოდ თვითღირებულების ურყევი დაკლების გზით. ამიტომ თვითღირებულების დაკლება წარმოადგენს მრეწველობის ცენტრალურ პრობლემას და ამ პრობლემის გადაწყვეტას უნდა დაუმორჩილოთ ყველა დანარჩენი ამოცანები. ამ პრობლემის გადასაწყვეტათ საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს წარმოების სოციალისტური რაციონალიზაცია. ახალი ტეხნიკის შემოღება, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მუშა-ძალის კვალიფიკაციის აწევა, სამუშაო დღის შემცირების პირობებში და ამ სამუშაო დღის დატვირთვა—ასეთია რაციონალიზაციის პროცესის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები. ენერგიულ ღონისძიებათა შედეგები ამ დარგში, შესაძლებელს გახდიან ხელფასის გადიდებას და მუშათა კლასის საარსებო დონის შემდგომ ზრდას და ამავე დროს, ამ ღონისძიებათა შედეგებმა უნდა შეამცირონ ნაწარმოების ერთეულზე ხელფასის სახით გაწეული ხარჯები. უნდა შეამცირონ ნაწარმოების თვითღირებულება, უნდა გაადიდონ შრომის ნაყოფიერება და შექმნან მტკიცე ბაზა ფასების დაკლების პოლიტიკისათვის.

მრეწველობის შიგნით დაგროვების გაძლიერება და სახალხო შემოსავლის განაწილება ინდუსტრიის სასარგებლოდ, საშუალებას გვაძლევს მრეწველობაში მოვათავსოთ კაპიტალების ისეთი რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სათანადო ზრდას და მის რაციონალიზაციას, საშუალებათა ხარჯვაში უდიდესი მომჭირნეობის დაცვით. ამ ღონისძიების განხორციელება უნდა ხდებოდეს მთლიანად სახალხო მეურნეობის მიზანშეწონილ განვითარებასთან შეფარდებით და რაიონების თავისებურობისათვის ანგარიშის გაწევით. მას უნდა ჰქონდეს მიზნად აგრეთვე კაპიტალური ხარჯების უდიდესი ფაქტიორობა, როგორც სამუშაოების ჩათავების ვადით, აგრეთვე ახალ წამოწყებათა საწარმოო ეფექტით. ამიტომ წამოწყებათა ყოველწლიური კაპიტალური ხარჯი უნდა ითვალისწინებდეს კაპიტალების წარმოებებში მაქსიმალურ მოთავსებას და ახალი ქარხნების, რეკონსტრუქციის მიზნით გამოყოფილ წარმოებების და მომქმედ წარმოებების შედარებით განსაზღვრულ რიცხვს.

კაპიტალური მშენებლობის განხორციელების დროს, საჭიროა ენერგიული ბრძოლის წარმოება მუშაობის ახალი მეთოდების შემოსაღებად და ტეხნიკის უახლოესი მიღწევების გამოსაყენებლად. კერძოთ ბოლო უნდა მოეღოს სამშენებლო მასალების და საერთოდ სამშენებლო სამუშაოების ღირებულების მაღალ ინდექსს.

წარმოების და მრეწველობის დარგში კაპიტალური მშენებლობის განვითარების ტემპის განსაზღვრის დროს, საჭიროა ვივარაუდოთ მრეწველობის სათანადო უზრუნველყოფა საბრუნავი თანხებით არა მარტო საბიუჯეტო ასიგნობათა ხარჯზე, არამედ, უმთავრესად, დაგროვების ხარჯზე თვით მრეწველობაში და თანხების ბრუნვის დაჩქარებით თვით წარმოებაში.

გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა საბინაო მშენებლობას. საბინაო კრიზისის უაღრესი გამწვავების გამო, საჭიროა მუშათა საბინაო მშენებლობის ისეთი გაძლიერება, რომელიც უახლოესი ხუთწლედის განმავლობაში მაქსიმალურად უზრუნველყოფს მუშების საჭიროებას.

ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ადგილობრივი წვრილი მრეწველობა—შინამრეწველობა და ხელოსნური მრეწველობა, რომელიც ამჟამად ავსებს სახელმწიფო მსხვილ მრეწველობას და ხელს უწყობს საქონლის ნაკლებობას და უმუშევრობის სიმწვავის შენელებას. საჭიროა აღნიშნული მრეწველობა მოვაქციოთ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების გავლენის სფეროში, საჭიროა წვრილი სამრეწველო მწარმოებლების გაერთიანება, კოოპერატიულ ორგანიზაციებში ჩაბმა, მათი წარმოების რაციონალიზაცია და მათი განთავისუფლება კერძო მსყიდველის და მევახშის კლანჭებიდან.

საჭიროა გავაძლიეროთ კოოპერაციაში შინამრეწველების გაერთიანების ტემპი, მეტადრე ისეთ სარეწაოებში, სადაც აქამდე ჯერ კიდევ ძლიერია კერძო კაპიტალის გავლენა; საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა, რათა შინამრეწველობაში ჩავაბათ კოოპერაციაში გაერთიანებული შინამრეწველების თანხები (საპაიო გადასახადი, სპეციალური ანარიცხები, ანაბარი და სხვ.). ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განაპირა ქვეყნების, კერძოდ ეროვნული რესპუბლიკებისა და ოლქების წვრილი მრეწველობის და შინამრეწველობის განვითარებას. მთელ რიგ სარეწაოთა არსებობასთან დაკავშირებით, სადაც მომუშავე შინამრეწველებს მაღალი ხელფასი აქვთ, საჭიროა ჩვენი პოლიტიკის დიფერენციაცია მოვახდინოთ იმ შეღავათებისა და დახმარების ყოველგვარ სახეთა მიმართ, რომლებსაც სახელმწიფო შინამრეწველების სხვადასხვა კატეგორიებს აღმოუჩენს.

6. ტრანსპორტის დარგში მიზნად უნდა დავისახოთ სატრანსპორტო ქსელის ისეთი გაფართოება, რომელიც დააკმაყოფილებს წარმოების და საქონლის ბრუნვის მოთხოვნილებებს, ქვეყნის სახალხო სამეურნეო ცხოვრებას დაუკავშირებს საწარმოო ძალთა განვითარების ახალ უდიდეს წყაროებს და უზრუნველყოფს თავდაცვის საჭიროებებს. ტრანსპორტის აღდგენიდან რადიკალურ გადაკეთებასა და რაციონალიზაციაზე გადასვლის დაგვიანების გამო, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სატრანსპორტო მეურნეობის ძირითად რეკონსტრუქციას და მისი მუშაობის რაციონალიზაციას უაღრესად ტეხნიკურად დაწინაურებულ ქვეყნების ტიპის მიხედვით. და ამასთანავე ერთად მის (ტრანსპორტის) უფრო სრულ შეფარდებას მომხმარებელთა ინტერესებთან. ეს ღონისძიებანი წყლის ტრანსპორტის მიმართ მეტადრე ნათლად უნდა სჩანდნენ ხუთწლიან გეგმაში, რამდენადაც რკინის გზის ზედმეტად დატვირთვა გვისახავს იმ ამოცანას, რომ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ წყლის ტრანსპორტი და ერთმანეთს შეუთანხმოთ წყლითა და რკინის გზით გადაზიდვის საქმე.

სატრანსპორტო მეურნეობაში კაპიტალურ თანხების დაბანდების წყაროდ გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებანი, მაგრამ განსაკუთრებით და უმთავრესად საკუთარი, დაგროვების გადიდება გადაზიდვის თვითღირებულების და არასაწარმოო ხარჯების შემცირების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ტრანსპორტის განვითარებას, როგორც საგზაო აღმშენებლობის გაფართოების ხაზით, ისე გადაზიდვის საშუალებათა მექანიზაციით, პირველ რიგში განვითარებულ საქონლის მეურნეობის რაიონებში. საბჭ. ხელისუფ. ადგილობრივი ორგანოების სპეციალური ყურადღება მიქცეული უნდა იქნეს ამ პრობლემის გადაჭრისაკენ, როგორც ადგილობრივ მოსახლეობის, ისე ადგილობრივ საბჭოების ძალთა და საშუალებათა მოზიდვით, ვინაიდან ადგილობრივ ტრანსპორტის სუსტი განვითარება სოფლის ტეხნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზია.

7. სასოფლო-მეურნეობის სფეროში გეგმის შედგენის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ სასოფლო-მეურნეობის საერთო აღორძინება (პირველ რიგში მოსავლიანობის გადიდება და სათეს სივრცეების გაფართოება) და მეურნეობის ძირითად ელემენტების სწორი შეფარდება, როგორც რაიონების, ისე დარგების მიხედვით (მარცვლეულის კულტურები, ტეხნიკური კულტურები და მესაქონლეობა).

ამავე დროს სასოფლო-მეურნეობის ეს დარგები უნდა განვითარდენ ისეთი სისწრაფით, რომ: 1) უზრუნველყოფილ იქნეს ფართე მასების მოხმარების გაფართოება; 2) უზრუნველყოფილ იქნეს ექსპორტის ისეთი ზრდა, რომელიც ხუთწლიან გეგმაში შეთანხმებული იქნება იმპორტის საჭიროებებთან და სავალიუტო რესურსების დაგროვებასთან; 3) გადიდებულ იქნეს სამრეწველო მოთხოვნილების დაფარვა საკუთარი ნედლეულით.

სასოფლო-მეურნეობის პროდუქტთა ფასების პოლიტიკის მხრივ ხუთწლიანი გეგმა უნდა ეყრდნობოდეს ისეთ მტკიცე ფასების შემოღებას, რომლებიც შეეფერება ქვეყნის საწარმოო და პირად მოხმარების გეგმებს, ექსპორტს და სასოფლო-მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების შეფარდებას. რესურსების განაწილება სასოფლო-მეურნეობის ცალკე დარგებს შორის ზემოდანიშნულ მომენტებს გარდა განისაზღვრება აგრეთვე მუშა-ხელის რაოდენობასა და მათ რეალურ გამოყენებას შორის არსებულ დისპროპორციის მოსპობის აუცილებლობით: შრომის ტევად კულტურების სწრაფი განვითარებით, სასოფლო-მეურნეობის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობა, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წინასწარ გადამუშავების ხაზით. აქედან გამომდინარეობს სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკის პრობლემისადმი ხელაღებით მიდგომის დაუშვებლობა. საჭიროა გავარჩიოთ მარცვლოვან კულტურების რაიონები (ტრაქტორი, მანქანები, სასელექციო თესლეული და სხ.), ინტენსიურ ტეხნიკურ კულტურების რაიონები (მელიორაცია, ირიგაცია, განოყიერება და სხვ.), და, დაბოლოს, მესაქონლეობის რაიონები (ჯიშის გაუმჯობესება, გასაღების ორგანიზაცია). კერძოდ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ხორბლის და ქერის სათეს სივრცეების ისეთი გაფართოება—მოსავლიანობის გადიდება, ამ პროდუქტებიდან რაც შეიძლება მეტი გასასაღებელი საქონლის მიღება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და ექსპორტის საჭირო რაოდენობას.

ამასთანავე ერთად, გეგმამ უნდა გაითვალისწინოს ის ღონისძიებანი, რომელნიც მიღებულ უნდა იქნან სატყეო მეურნეობის დარგში, მეტადრე მისი რაციონალური გაძღოლის საქმეში (სატყეო-სამელიორაციო, ტყის კულტურისა და ტყის მოწყობის სამუშაოები) ტყის სიმდიდრეთა უფრო სწორ და მთლიან გამოყენებისათვის.

გეგმამ უნდა გაითვალისწინოს კაპიტალური ხარჯები სოფლის მეურნეობაზე როგორც თვით გლეხობის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის მხრივ, რაც მიმართული უნდა იქნას სოფლის მეურნეობის მაშინიზაციისა და პირველ რიგის საირიგაციო და სამელიორაციო სამუშაოთა ჩატარებისაკენ, ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებულია მოუსავლობის შესაძლებლობის აცილებასთან.

გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ის ღონისძიებანი, რომელნიც მიღებულ უნდა იქნან სოფლის მოსამარაგებლად სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და მეტადრე ტრაქტორებით, რაც ჩვენს პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტივიზაციის გაძლიერებისათვის ერთ-ერთი საშუალებაა.

ხუთწლიან გეგმაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას გაძლიერებული მუშაობა მიწათმოწყობის დარგში, რომელიც წარმოადგენს ელემენტარულ წინასწარ პირობას, როგორც მთელი სასოფლო მეურნეობის განსამტკიცებლად აგრი-კულტურის უმაღლეს საფეხურზე, ისე მეურნეობის წარმოების კოლექტიურ ფორმების განსამტკიცებლად და ღარიბ და საშუალო მოსახლეობის ინტერესების უზრუნველსაყოფად კულაკთან ბრძოლაში, საჭიროა აგრეთვე მუშაობის გაძლიერება გლეხთა მოწყობის დარგში, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა აღორძინებას, გააუმჯობესებს გლეხობის ღარიბ და ხელმოკლე ჯგუფების კეთილდღეობას და ხელს შეუწყობს „აგრარულ მოსახლეობის სიჭარბის“ შემცირებას.

გეგმა უმთავრესად უნდა ემყარებოდეს პარტიის კლასიურ პოლიტიკას, სახელდობრ ღარიბ მოსახლეობაზე დაყრდნობას, საშუალო მოსახლეობასთან მტკიცე კავშირის და კულაკზე შეტევის პოლიტიკას. ამიტომ გეგმა უნდა ემყარებოდეს კოოპერაციისათვის ხელის შეწყობას (ამასთანავე გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი ოპოზიციის წინადადება კოოპერაციისათვის კაპიტალების ჩამორთმევის შესახებ, რაც იქნებოდა ლახვარის ჩაცემა ლენინის მთელ კოოპერატიულ გეგმისათვის). გეგმა უნდა ემყარებოდეს სწორ შინაკოოპერატიულ პოლიტიკას (ხელმოკლეთათვის კრედიტების მოწოდება, კულაკურ ტენდენციებთან ბრძოლა, სათანადო პოლიტიკა სამანქანო ამხანაგობებში და სხ.). შემდეგ გეგმა უნდა დაემყაროს იმას, რომ გამსაღებელ კოოპერაციის ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად, საჭიროა ამჟამად დიდი დახმარების გაწევა საწარმოო კოოპერაციის ყველა სიცოცხლის უნარიან ფორმებისათვის (კომუნები, კოლექტ. მეურნეობანი, არტელები, საწარმოო ამხანაგობანი, კოოპერატიული ქარხნები და სხ.) და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობათათვის, რომლებიც უნდა აყვანილ იქნან უფრო მაღალ საფეხურზე.

8. სოციალისტურ მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას გაცვლის ორგანიზაციის დარგში წარმოადგენს ბაზრის ანარქიის დაძლევა და დაძლევა მფლანგველობისა მატერიალურ საშუალებათა ხარჯვაში, რომელიც ახასიათებს განაწილების კაპიტალისტურ წესს. ეს მიღწეული უნდა იქნას საქონლის ბრუნვის განსაზოგადოებულ სექტორის რაციონალიზაციის შემდგომი განვითარებით.

ბრუნვის განსაზოგადოებული სექტორი გაფართოვდება კერძო კაპიტალის განდევნის ხარჯზე, ის შეიტანს გეგმიანობას ბრუნვის სფეროში სავაჭრო ქსელის რაციონალიზაციისა და უნაყოფო ხარჯების მაქსიმალურად შემცირების საშუალებით ცვლის სფეროში, განამტკიცებს ახალ სოციალისტურ მშენებლობის ყველა უდიდეს ეკონომიურ უპირატესობებს და გარდაიქმნება პროდუქტების სოციალისტურ განაწილების აპარატად.

კერძო მოვაჭრის შემდგომი განდევნა ბაზრიდან კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ უნდა სწარმოებდეს მათ ნამდვილ ორგანიზაციულ და მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდის მიხედვით, რათა ამ განდევნამ არ გამოიწვიოს საქონლის გამტარ ქსელის დარღვევა და ბაზრის მომარაგების შეფერხება.

კოოპერაციისა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების გაძლიერებამ, რომელ დარგებშიაც ყველაზე უფრო შესაძლებელია გეგმიან ხელმძღვანელობის გავლენა, თავის მხრივ უნდა გააძლიეროს ბრძოლა საბიუჯეტო ინდექსის ფასების დაკლებისათვის და საბითუმო-საცალო მაკრატლის მოსასპობლად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციას. მის წინაშე სდგას ამოცანა, რომ გააერთიანოს მოსახლეობის სულ უფრო და უფრო ფართო წრეები. კოოპერაცია უნდა გარდაიქმნას მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლის მოძრაობის ყველაზე უფრო იაფ და რაციონალურ აპარატად.

სამეურნეო მუშაობაში მასების ორგანიზაციულად ჩაბმით კოოპერაციამ ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილების აღრიცხვას და ამ მოთხოვნილების გეგმაშეწონილად დაფარვას მრეწველობისათვის მოთხოვნილებათა თავის დროზე წარდგენით დაკვეთების სისტემის საშუალებით.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების ინტერესები მოითხოვს საშუალებათა ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც ამ საშუალებათა რაც შეიძლება მეტი ნაწილი უნდა ხმარდებოდეს წარმოებას, და რაც შეიძლება ნაკლები ნაწილი კი რჩებოდეს საქონლის გამტარებელ ქსელში.

ვაჭრობის ბრუნვის დაჩქარება, ზედნადებ ხარჯების შემცირებასა და თვითეულ სავაჭრო ერთეულის მუშაობის შემჭიდროებასთან ერთად, საქონლის გამტარებელ ქსელის გამარტივება, შემოკლება და გაუმჯობესება, წარმოადგენს ამ ამოცანის გადაჭრის ძირითად მეთოდებს.

გეგმიან ხელმძღვანელობის უპირატესობანი საშუალებას აძლევენ საბჭოთა მეურნეობას დაკმაყოფილდეს საქონლის მარაგის მნიშვნელოვნად უფრო მცირე ნორმით, ვიდრე ეს საჭიროა კაპიტალისტურ მეურნეობაში, ეს კი მთელი სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკონომიას. მაგრამ გეგმამ უნდა გაითვალისწინოს საქონლის ისეთ მარაგის შექმნა, რაც საკმაო უნდა იქნეს როგორც ბაზრისათვის საჭირო პროდუქტების დაუბრკოლებლივ მისაწოდებლად, ისე ბაზრის კონიუნქტურის სეზონურ რყევის შესანელებლად.

გეგმამ, დასასრულ, უნდა გაითვალისწინოს საკმაო თანხების გადადება განმანაწილებელ აპარატის გასაფართოებლად და მისთვის უფრო მაღალ ტეხნიკურ ბაზის შესაქმნელად (საწყობების, ელევატორების, მაცივარების და სხვ. ახალი მშენებლობა).

9) ფულის ტრიალისა და კრედიტის დარგში გეგმა უნდა დაემყაროს ჩერვონეცის სყიდვითი უნარიანობის სისტემატიური ზრდის აუცილებლობას. ქაღალდის ფულის ემისია უნდა განისაზღვროს იმ რაოდენობით, რომელიც დამოკიდებული იქნება საქონლის ბრუნვის ზრდაზე.

ამასთან ერთად ბიუჯეტის თანდათანობით ზრდის პირობებში საჭიროა მნიშვნელოვან საბიუჯეტო რეზერვების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ საკმაოდ თავისუფალი მანევრების წარმოება როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო ბაზარზე.

საკრედიტო სისტემა თანდათან უფრო ხდება მეურნეობის სოციალისტური სექტორის განმტკიცებისა და, კერძოდ, სოფლის ღარიბ და საშუალო მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის იარაღად.

საჭიროა გადავსინჯოთ გეგმაში შემონახული წვრილი თანხების სახელმწიფო კრედიტის სფეროში მისაზიდი ღონისძიებები. ისეთი მიზიდვა ერთი მხრით მოგვცემდა დამატებით რესურსებს ინდუსტრიალიზაციისათვის და ამავე დროს მომავალ ხუთწლედის მანძილზე ხელს შეუწყობდა წონასწორობის დამყარებას ბაზარზე სამრეწველო საქონლის მოთხოვნასა და მიწოდების შორის.

10. ხუთწლიანმა გეგმამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს განაპირა და ჩამორჩენილ რაიონების ეკონომიურ განვითარებას, რათა ამ რაიონების მეურნეობა განვითარებულ იქნას მათი სამეურნეო მოთხოვნილებებთან და შესაძლებლობებთან შეფარდებით ისე, რომ მათი საკუთარი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი დაკავშირებულ იქნას საბჭოთა კავშირის საჭიროებებთან და მოთხოვნილებებთან მთლიანად.

11. ხუთწლიანი გეგმის ცენტრალური პრობლემის სწორი გადაჭრა განსაზღვრავს სახალხო შემოსავლის ისეთ ზრდასა და განაწილებას, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასისა, ღარიბ და საშუალო გლეხობის კეთილდღეობის ზრდას მთელი სახალხო მეურნეობის მაქსიმალურად შესაძლებელი ტემპით განვითარების დაცვით.

მუშათა კლასის რიცხობრივი ზრდა, შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის პირობებში, რაიც დიდათ ზრდის თვითეული მუშის პროდუქციას, ყოველივე ეს პროლეტარული სახელმწიფოს პირობებში იწვევს სამუშაო დღის შვიდ საათამდე შემცირებას და შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის გადიდებას, განსაკუთრებით ინტენსიურს მის რეალურ გამოხატულებაში. სახალხო მეურნეობის საერთო განვითარება უზრუნველყოფს მუშათა მასების ხარჯების შემდგომ ზრდას მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებებზე და პირველ რიგში საბინაო მშენებლობაზე. სკოლების, ტეხნიკუმების და კლუბების აშენებაზე, საზოგადოებრივი კვების, საბავშვო ბაგების და საბავშვო სახლების მოწყობაზე და სხვ. ყოველივე ეს პროფტეხნიკური განათლების დაწესებულებათა ქსელის განვითარებასთან ერთად მთელი სახალხო განათლების სოციალისტური მშენებლობის მოთხოვნილებებთან შეფარდებით ქმნის პირობებს მუშათა მასების კულტურული დონის სწრაფი ამაღლებისათვის, სოციალისტურ მშენებლობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის და მით პროლეტარული დიქტატურის ძირითადი საყრდენის განმტკიცებისათვის.

ამით იქმნება პირობები იმ ღონისძიებათა გასატარებლადაც, რომლებიც მიმართულია მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის სისტემატიურად გაუმჯობესებისაკენ (უმუშევრობის შემცირება, ჯავშანის გატარება და მოწაფეობა, ხელფასის აწევა და სხვა), მისი კულტურული დონის ამაღლებისაკენ და მისგან ტეხნიკურად და კულტურულ-პოლიტიკურად განვითარებული პროლეტარების, სოციალიზმის შეგნებული მშენებლების მომზადებისაკენ.

სასოფლო მეურნეობის განვითარება მისი მექანიზაციისა და ინტენსიფიკაციის გზით, მისი უფრო მაღალ ტეხნიკურ და სოციალურ სამეურნეო ფორმებში გადაყვანა, გლეხური მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში, სახელმწიფო საკრედიტო დახმარების აღმოჩენა განსაკუთრებით ღარიბ და საშუალო მეურნეობისათვის, ფასების სწორი პოლიტიკა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციაზე,—ყოველივე ეს, ადიდებს რა გლეხური მეურნეობის შემოსავალს, უზრუნველჰყოფს ღარიბ და საშუალო გლეხობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის მუდმივ ამაღლებას კულაკის ექსპლოატატორულ ტენდენციების გადაჭრით შეზღუდვით. ეს ქმნის საფუძველს სოფლის კულტურული ცხოვრების საერთო ამაღლებისათვის, საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობის ზრდისათვის და აგრონომიული და ტეხნიკური ცოდნის გავრცელებისათვის სოფლის მოსახლეობის მასებში. ქალაქის ცხოვრებ

ბის დონის დაახლოვება სოფელთან, ჰკაფავს გზას მათ შორის კაპიტალიზმის მიერ შექმნილ განხეთქილების მოსასპობად, ამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, აყენებს ამ უკანასკნელს განვითარების სოციალისტურ გზაზე და აქტიურად აბამს მას სოციალისტურ მშენებლობაში მთლიანად.

12. გეგმამ უნდა გაითვალისწინოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული დონის გადაჭრით ამაღლება და საბჭოთა კავშირის ერების ნაციონალური კულტურის განვითარების აუცილებლობა და კულტურული მშენებლობის გეგმა დაუკავშირონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, როგორც სოციალისტური მშენებლობის გეგმის განუყოფელ ნაწილს.

კულტურული მშენებლობის გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს სახალხო განათლების ის ამოცანები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშრომელთა ფართო მასების კულტურულ ზრდას (საყოველთაო სწავლა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მასიური პროფტექნიკური განათლება და სხვა) და აგრეთვე კვალიფიციური სპეციალისტების და მეცნიერული მუშაკების მომზადების ამოცანა.

13. აღნიშნავს რა მნიშვნელოვან ნაბიჯს გეგმიან ამოცანების შედგენის საქმეში. გეგმიანობის გაზრდილი სირთულისა და მისი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, ყრილობას აუცილებლად მიაჩნია საგეგმო დისციპლინის გაძლიერება, საგეგმო ორგანოების განმტკიცება და გეგმიანი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება.

ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის რაც შეიძლება სრული გეგმიანი ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, ყრილობას აუცილებლად მიაჩნია მომავალი ხუთწლედის განმავლობაში მთელი ქვეყნის რაიონებად დაყოფვის დამთავრება.

სოციალისტური რაციონალიზაცია, მისი მნიშვნელობა და მასიური ორგანიზაციების როლი

ამ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობა აუცილებლად სცნობს მთელი რიგი დირექტივების გატარებას, რომელთაც შეუძლიათ სახალხო მეურნეობის სათანადო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა.

1. ყველაფრის ცენტრში უნდა იდგეს მეტად ენერგიული, მეტად მძაფრი მუშაობა რაციონალიზაციისათვის: ინდუსტრიის რაციონალიზაცია და პირველ რიგში სავაჭრო აპარატის, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია და სხ.

ეს რაციონალიზაცია არ შეიძლება გატარებულ იქნას მეცნიერებისა და მეცნიერული ტეხნიკის როლის გადიდების გარეშე. სამეცნიერო-გამომკვლევი ინდუსტრიალური ინსტიტუტების, ფაბრიკა-ქარხნების ლაბორატორიების ქსელის ფართოდ განვითარება, აკადემიური და მეცნიერული მუშაობის დაახლოება მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობასთან, დასავლეთ-ევროპის და ამერიკის სამეცნიერო და სამეცნიერო-სამრეწველო გამოცდილების ფართოდ გამოყენება, ყველა უახლოეს აღმოჩენათა და გამოგონებათა, ახალი ინდუსტრიის, ახალი ნედლეულის, ახალი ლითონების და სხ. ზედმიწევნით შესწავლა და აგრეთვე ახალი საორგანიზაციო ფორმების შესწავლა უნდა დაისვას როგორც დღევანდელი დღის მორიგი ამოცანა. ამასთან დაკავშირებით მთელი ძალღონე მიმართული უნდა იქნეს იმისაკენ, რომ გაუმჯობესდეს ტეხნიკური და აგრონომიული განათლება და სასწრაფოდ მომზადდენ ისეთ კვალიფიციურ მეცნიერულ ძალთა კადრები, რომელნიც იდგომებიან რა მსოფლიო მეცნიერებისა და ტეხნიკის დონეზე, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილენი იქნებიან.

2. მთელი სახალხო მეურნეობის რაციონალიზაციისათვის წარმოებული მუშაობის უმთავრესი, გადამწყვეტი წინასწარი პირობა არის მუშურ-გლეხური მასების ფართოდ ჩაბმა ამ მუშაობაში. ყველა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა და სხ. ორგანიზაციებმა თავის ამოცანად უნდა დაისახონ ინტენსიური პროპაგანდა იმის განსამარტავად, რომ მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით უნაყოფო ხარჯებთან, გულგრილობასთან და დაუდევრობასთან, უყურადღებოდ მოპყრობასთან საწარმოო საშუალებებისადმი და აგრეთვე საკუთარი შრომისადმი მეურნეობის ჩამორჩენილი ტეხნიკური ფორმებით (ინდუსტრიის მოძველებული ტეხნიკა, სამცვალებადიანი სისტემა, კავი და სხ. სასოფლო მეურნეობაში)—მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით—ყველა ამასთან შესაძლოა მშრომელთა საბოლოო გამარჯვება. აუცილებელია გადამჭრელი ბრძოლა სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბიუროკრატიზმთან, ჩამორჩენილობასთან, უმოძრაობასთან, მაჩანჩალობის განწყობილებასთან მასებსა, ორგანიზაციებსა და ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრებ შორის, იქნებიან ესენი სახელმწიფო აპარატის ორგანოები, პროფესიონალური კავშირები, კოოპერაცია თუ თვით პარტიის ორგანოები. აუცილებელია ენერგიული ბრძოლა ყოფა-ცხოვრების გადაჭრით გარდაქმნისათვის, ბრძოლა კულტურისათვის, ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, მუშური და გლეხური მასების შრომის დისციპლინისათვის.

3. ამასთანავე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანა ეკისრება პროლეტარიატის პროფესიონალურ ორგანიზაციებს, დაწყებული დაბალი საფეხურიდან გათავებული უმაღლესი საფეხურით. დაუნდობელი ბრძოლა რაციონალიზაციის ყოველგვარ დამახინჯებასთან, მუშათა კლასის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა სადარაჯოზე დგომა, ენერგიული ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და ბიუროკრატიზმთან, სადაც არ უნდა იყოს ეს შენიშნული, მასების შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოების წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ცდის გაბედულად აღმოფხვრა, პროლეტარული მასების ფართოდ ჩაბმა დიად აღმშენებლობითი მუშაობაში, მათი ინიციატივის ყოველგვარი საშუალებით გაშლა. პროფესიონალური კავშირები ამავე დროს კიდევ უფრო მეტად უნდა გახდენ ჩვენი მრეწველობის გარდაქმნის ძირითად ბერკეტად. სამუშაო დღის შემცირებისა და სამუშაო ხელფასის გადიდების ნიადაგზე (ჩვენი ქვეყნის რესურსებისა და აგრეთვე მრეწველობის აღორძინების მიხედვით) პროფესიონალურმა კავშირებმა (ფაბქარხკომების, საწარმოო თათბირებისა და კონფერენციების, საკონტროლო კომისიების და სხ. საშუალებით) ხელი უნდა შეუწყონ პროლეტარული მასების შრომითი აღზრდის საქმეს და შრომის ორგანიზაციას ფაბრიკებსა და ქარხნებში, შინაგანი საფაბრიკო-საქარხნო წესების გაუმჯობესების და წარმოებათა ტეხნიკის რაციონალიზაციას.

პროფესიონალურ კავშირებმა პროლეტარიატის ჩამორჩენილ ფენებს მტკიცედ უნდა შეაგნებინონ, რომ სწორედ პროლეტარიატი, როგორც კლასი, არის ინდუსტრიის პატრონი, რომ მის წინაშე იშლება უდიდესი პერსპექტივები, თუ შეუჩერებლივ და გადაუხრელად წავა წინ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მისი მეურნეობის რაციონალიზაცია და სოციალიზმის აღმშენებლობა.

4. საჭიროა ქვეყნის სამეურნეო განვითარების საქმის გარშემო დარაზმული იქნეს ღარიბ და საშუალო გლეხობის ფართე მასები, პირველ რიგში კოოპერაციის საშუალებით.

საჭიროა გადაჭრით და გაბედულად დავეხმაროთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ინიციატივას სხვადასხვა ფორმის კოლექტიურ მეურნეობათა და კულტურულ კერების შექმნაში, აგრონომიულ დახმარების მოწყობაში, დახმარება გაუწიოთ მიწათმოწყობის და კოოპერატიული აპარატის რაციონალიზაციის საქმეში, კოოპერაციის ორგანოებზე, ფასებზე კოოპერატიულ მასების კონტროლის დაწესების საქმეში და სხ... საჭიროა გადაჭრით და გაბედულად მხარი დაუჭიროთ და დავეხმაროთ მასების ინიციატივას სასოფლო მეურნეობის მაშინიზაციის და ინტენსიფიკაციის სფეროში, შრომის ტევად ახალ კულტურების შემოღებაში, კოოპერატიულ ქარხნების აღმშენებლობაში და სხვ..

5. ყრილობა ყურადღებას აქცევს კომკავშირის როლს და მის წინაშე მდგომ ამოცანებს. კომკავშირი უნდა გახდეს ახალ წამოწყებათა ინიციატორი და გამტარებელი ქალაქში და სოფლად მეურნეობის რაციონალიზაციის და ყოფა-ცხოვრების სფეროში: კომკავშირი უნდა გახდეს პარტიის ერთ-ერთი მთავარი თანაშემწე ტეხნიკურ-სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე. კომკავშირმა უდიდესი როლი უნდა ითამაშოს პროლეტარულ, ღარიბ და საშუალო გლეხურ ახალგაზრდობის ფართე მასების აღზრდაში სოციალისტურ პრინციპების მიხედვით.

6. ყრილობა პარტიის ყურადღებას აქცევს პროლეტარ ქალთა და მოწინავე გლეხ ქალთა მასების ფართე ფენების კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმას სოციალიზმის აღმშენებლობასა და მეურნეობის რაციონალიზაციაში. გაძლიერებულ უნდა იქნეს ღონისძიებები, როგორც მუშა ქალთა შრომის კვალიფიკაციის ასაწევად, ისე მათი ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლათ.

მხოლოდ ამ ამოცანის თანდათანობითი გადაჭრით ნამდვილად გარდაიქმნება სოციალისტურ ნიადაგზე ჩვენი ქვეყნის ფართე მასების მთელი შრომითი და ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობა.

7. ამ ამოცანის უდიდეს მნიშვნელობის გამო, რომელიც მომავალ ხუთწლედისათვის წამოჭრილია ქვეყნის წინაშე სამეურნეო მშენებლობის დარგში, ყრილობა აუცილებელ საჭიროდ სთვლის, რომ პარტიის წევრებმა, რანაირი თანამდებობაც არ უნდა ეჭიროთ მათ, დაწყებული დაზგიდან და გათავებული ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებით, უჩვენონ ყველას შრომის გმირობის, შრომის დისციპლინის, დაუღალავი და რაციონალურად დაყენებული მუშაობის მაგალითი.

ყრილობა, ადასტურებს რა წარსულ პერიოდში ცეკას მიერ ჩატარებული სამეურნეო პოლიტიკის სისწორეს, აღიარებს, რომ ხუთწლიური გეგმის განხორციელება, რამაც მნიშვნელოვნად უნდა ასწიოს მასების კეთილდღეობის დონე, განამტკიცოს სოციალიზმის პოზიციები, პირველ ყოვლისა დამოკიდებულია თვით პარტიის შემოქმედებითი ენერგიის შემჭიდროვებისა და შედუღებისაგან. ამ თვალსაზრისით ყრილობა კატეგორიულად ჰკიცხავს ტროცკის ოპოზიციური ფრაქციის საქმიანობას, ფრაქციის, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს დიად აღმშენებლობით მუშაობაში, რომელიც არღვევს ამ მუშაობის მსვლელობას და ცდილობს მთელი საბჭოთა აპარატის მოშლას.

ყრილობა კატეგორიულად გმობს ოპოზიციის სამეურნეო ხაზს. წინააღმდეგ ლენინის მტკიცებისა, რომ პარტიის სწორი პოლიტიკის პირობებში ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია სოციალიზმის სრული გამარჯვება, თუ ამას ხელს არ შეუშლის თავდასხმა გარედან, ოპოზიცია გამოდის სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობიდან. ამიტომაც, მტკიცე და ზედმიწევნით მოფიქრებული პოლიტიკის მაგიერ, ის ურჩევს პარტიას ხან უდიდეს უპრინციპო მერყეობას, ხან პოლიტიკას, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს რა ლენინიზმთან.

მეურნეობის რაციონალიზაციის დარგში ტროცკისტული ოპოზიცია, ბრალს სდებდა რა თავის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს საკითხისადმი „აგიტატორულ მიდგომას“, ქადაგებდა „მკაცრი კონცენტრაციის“ — მუშებზე ზედაწოლის ლოზუნგიდან (პროლეტარული ინდუსტრიის ისეთი გიგანტების დახურვა, როგორიცაა პუტილოვის ქარხანა, ბრიანსკის ქარხანა და სხ.) არსებითად რაციონალიზაციის უარყოფამდე.

ოპოზიცია აშკარად სთელავდა ლენინის უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს სამეურნეო ორიენტაციას, სახელდობრ დებულებას, რომ პროლეტარულმა ინდუსტრიამ უფრო იაფი საქონელი უნდა მიაწოდოს გლეხობას, ვიდრე აწვდიდა მას კაპიტალისტური წყობილება. ოპოზიცია აყენებდა ლენინის სრულიად საწინააღმდეგო დებულებას, სახელდობრ, რომ გლეხობას უნდა ვართმევდეთ უფრო მეტს, ვიდრე ართმევდა ძველი წყობილება რომ უნდა გავატაროთ ისედაც მაღალ ფასების ზრდის პოლიტიკა და სხ. მხოლოდ უსასტიკესი კრიტიკის შემდეგ ოპოზიცია იძულებული გახდა დაეხია ამ პოლიტიკისაგან, რომელიც წარმოადგენს გლეხობისაგან დაშორების, მუშა-მომხმარებლის გაყვლეფის, სოფლად კულაკის გაძლიერების და სამრეწველო სამეურნეო აპარატის მონოპოლისტური პარაზიტიზმის და ბიუროკრ. გადაგვარების პოლიტიკას. პრინციპიალურად სრულიად წინააღმდეგ ლენინის მთელი კოოპერატიული გეგმისა, სადაც ლენინი დაჟინებით მოითხოვდა კოოპერაციისათვის რაც შეიძლება მეტი თანხების მიწოდებას,—ოპოზიციამ წამოაყენა დებულება კოოპერატიული კაპიტალის გამოყოფის შესახებ ვაჭრობის სფეროდან, რითაც ფიქრობდა ინდუსტრიის მდგომარეობის შემსუბუქებას. მაგრამ ეს ბიუროკრატიულ - ადმინისტრატიული პოლიტიკა გლეხობასთან რეალური და ცოცხალი კავშირის საქმეს მოაქცევდა კერძო კაპიტალის ხელში, შეასუსტებდა გლეხობის ეკონომიურ თვითმოქმედებას და დაუშორებდა მას სოციალიზმისაკენ მიმავალ გზას, ვინაიდან სახელმწიფო მრეწველობასა და გლეხობას შორის ჩადგებოდა კერძო კაპიტალი, როგორც ბატონი საბრუნავ პროცესში.

სრულიად წინააღმდეგ ლენინისა, რომელიც პირდაპირ გვაფრთხილებდა „ზეინდუსტრიალიური“ თვალსაზრისისაგან, აღნიშნავდა რა გლეხობის მთელ ძირითად მასასთან ერთად წინსვლის საჭიროებას და რომელმაც აღნიშნა ზერელე ფრაზები „გლეხის ბუნების განსაზღვრულობის“ შესახებ,—ტროცკისტულმა ოპოზიციამ წამოაყენა ლენინის მიერ მთლიანად დაგმობილი თეზისი „განსაზღვრულობის“ შესახებ, რითაც საბოლოოდ ძირს უთხრიდა პარტიის პოლიტიკას. გამოიტანა რა აქედან თეზისი „გადაგვარებაზე“, „თერმიდორზე“ და სხვა, უსტრიალოვ-მენშევიკურ არსენალიდან ნასესხები დებულებები, ოპოზიცია ცდილობს მუშათა კლასის იდეურ დაშლას იმით, რომ გადადის სოციალიზმის ენერგიული მშენებლობის ბოლშევიკურ ლიანდაგიდან თვით ამ მშენებლობის კლასობრივი არსისადმი „კრიტიკული“ დამოკიდებულების მენშევიკურ ლიანდაგზე, უარყოფითად ან უკეთეს შემთხვევაში, „ნეიტრალურად“ ეკიდება რა მრეწველობის რაციონალიზაციის საქმეს, ოპოზიცია თავის დემაგოგიურ და აგიტაციურ მოთხოვნებში ცდილობს დაემყაროს ნახევარ გლეხური სამომხმარებლო ფსიქოლოგიით აღჭურვილ პროლეტარიატის ყველაზე ჩამორჩენილ ფენების ყალბ შეხედულებებს და მაჩანჩალობას.

რაციონალიზაციისადმი ოპოზიციის ასეთ დამოკიდებულებიდან და მის (ოპოზიციის) მიერ ამ საქმის წარმატებაში რწმენის დაკარგვიდან გამომდინარეობს მისი უარყოფითი დამოკიდებულება შვიდი საათის სამუშაო დღისადმი რომლის წარმატებით გატარებაც მჭიდროთ დაკავშირებულია რაციონალიზაციის შეთანხმებულ და ენერგიულ გატარებისაგან.

ასეთი პოლიტიკის ობიექტიური შედეგი იქნებოდა ჩვენი მრეწველობის ბიუროკრატიული გაყინვა და პროლეტარიატის გადაქცევა გლეხობის მოკავშირისა და წინამძღოლიდან მომხმარებლად, რომელიც მიზნად არ ისახავს გლეხური მეურნეობის გარდაქმნას. ასეთი პოლიტიკა აუცილებლივ მიგვიყვანდა პროლეტარული დიქტატურის დაღუპვამდე. მეორე მხრივ, ეფარება რა ინტერნაციონალურ დროშას, ოპოზიცია ნამდვილად ქადაგობს ისეთ სამეურნეო კავშირს ინტერნაციონალურ კაპიტალთან, რომელიც ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა კავშირის სამეურნ. დამოუკიდებლობას და აგრეთვე სოციალიზმის მშენებლობას.

ყრილობა ავალებს ცენტრალურ კომიტეტს, ხუთწლიანი გეგმის დამუშავებას ისეთი ანგარიშით, რომ ის განსახილველად წარედგინოს საბჭოთა უახლოეს ყრილობას და უზრუნველყოფილ იქნას გეგმის პროექტის დაწვრილებით და ყოველმხრივ განხილვაში ყველა ადგილობრივ საბჭოთა, პროფესიონალურ, პარტიულ და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა.

პარტიული ცხოვრება

გერმანიის კომპარტია ტროცკიზმის წინააღმდეგ

ბერლინი, 25 დეკემბერი. გერმანიის კომპარტიის სანაპირო ოლქის კონფერენციამ ჰამბურგში, ერთხმად მიიღო რეზოლუციები პოლიტიკურ მდგომარეობის და საკავშირო კომპარტიის (ბ) შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ, რომლებშიაც სავსებით იზიარებს ოპოზიციის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს.

კონფერენციას დაესწრო 139 დელეგატი.

სტოვებენ ტროცკისტულ პარტიას

მე ვეკუთვნოდი ოპოზიციის ჯგუფს და მთლიანათ ვიზიარებდი მის ხაზს. მოვაწერე ხელი როგორც „83“ განცხადებას, აგრეთვე „15“ პლატფორმას ქ. ქიათურაში, მაგრამ მე-15-ე პარტყრილობის მიმდინარეობის დროს, განსაკუთრებით ამხ. სტალინის და ორჯონიკიძის მოხსენების შემდეგ, დავრწმუნდი, რომ ოპოზიცია აჯგია შემცდარ გზას. რაც ერთხმად აღნიშნა ყრილობამ. სრული ჩემი შეგნებით ვცილდები ოპოზიციას და ვწყვეტ მასთან ყოველივე კავშირს.

გ. თათეიშვილი, პარტიის წევრი 1920 წ.

ბათომი, 25 დეკემბერი. საქართველოს (კომპარტიის (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა მიიღო განცხადება ორი ყოფილი ოპოზიციონერისაგან, რომელნიც გადაჭრით გმობენ ოპოზიციის გამთიშავ მუშაობას და იმიჯნებიან მის იდეურ შეხედულებათაგან ერთი მათგანი ამხ. გ. დოლიძე თავის განცხადებაში ამბობს:

„მე დავრწმუნდი, რომ ოპოზიცია თავისი მოქმედებით, რომელიც მიმართულია ახალი პარტიის შექმნისაკენ, დიდ ზიანს აყენებს ბოლშევიკების პარტიას. მე საბოლოოდ ვსწყვეტ კავშირს მაკ-ის ჯგუფთან, სავსებით ვეთანხმები მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებს, გადაჭრით ვგმობ გამთიშველების დეზორგანიზატორულ მუშაობას და ვაცხადებ, რომ ამიერიდან მთელს ჩემს ძალ-ღონეს და ენერგიას მოვანდომებ ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ და მე-15 პარტყრილობის და მისი ცეკას ყველა დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას“ (ადს).

როგორ „მუშაობდა“ ქუთაისის ოპოზიცია

მე, ქვემორე ამის ხელის მომწერს ჩემ ბოლშევიკურ მოვალეობათ მიმაჩნია ვაცნობო პარტიის წევრებს და მუშათა კლასს, თუ როგორ იბრძოდა ოპოზიცია ლენინურ პარტიის წინააღმდეგ და რამ მაიძულა, რომ დამეგმო ტროცკისტული ფრაქციული მუშაობა.

ქუთაისის მაზრის პარტიული ორგანიზაცია მთელი რიგი წლების განმავლობაში წარმოადგენდა ოპოზიციონურ ორგანიზაციას.

აქ ადგილი ჰქონდა თავისებურ ოპოზიციას. მაგალითად ზოგი პარტიის წევრი იყო ოპოზიციაში და არ იცოდა რას მოითხოვდა და, აყენებდა რა თავის პირად ინტერესს პარტიის ინტერესზე მაღლა, ხშირად ხდებოდა ინტრიგის მსხვერპლი.

უკლონისტების ჯგუფმა, როგორც ვიცით გაილაშქრა ამიერ-კავკასიის ფედერატიულად შეკავშირების წინააღმდეგ. ამ ჯგუფს მეც ვეკუთვნოდი.

1926 წელში ერთ-ერთ დღეს პარტ-აქტივის ზოგმა ამხანაგებმა შევიყარეთ თავი ამხ. დ. ლორთქიფანიძის ბინაზე. აქ იყვნენ: კალანდაძე, ლორთქიფანიძე, სტურუა, ლადო ლეჟავა და სხვები. დაისვა საკითხი საკავშირო კომპარტიის ცეკას პოლიტიკის შესახებ. ამხანაგები ამბობდენ, რომ ჩვენი კომპარტია გადაგვარების გზაზე აღგია, წვრილბურჟუაზიული ნებისყოფის გამომხატველია და სხ საჭიროა არის ბრძოლა პარტმასის დასაყრობად და ბრძოლა დამახინჯებულ ხაზის გამოსწორებისათვის. აღნიშნულ თათბირზე სხვათა შორის მე ვსთქვი, რომ სტალინი მაგარი კაცი არის და ეს ბრძოლა ჩვენ იაფად არ დაგვიჯდება, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ასეთი ბრძოლის წარმოება, როგორც სხვაგან ისე ჩვენს მაზრაში.

ამავე დროს აქვე გადმოგვეცა ამხ. დათიკომ (ლორთქიფანიძე) არალეგალური ლიტერატურა, რომელსაც ვეცნობოდით და ვამუშავებდით.

ამავე წელში, მგონი ივლისში თუ აგვისტოში შესდგა ჩემს ბინაზე კრება, რომელსაც დაესწრო, როგორც მახსოვს: კაპიტონ კალანდაძე, დათიკო რუხაძე, ილარიონ სტურუა, სპირიდონ ფოფხაძე, ლადო ნადარეიშვილი, დ. ლორთქიფანიძე და ერთ-ერთი ამხ. პირი (გვარი არ მახსოვს). დაისვა საკითხი ხელმძღვანელ ორგანოს არჩევის შესახებ ქალაქ ქუთაისში. არჩეულ იქნენ ბიუროს შემადგენლობაში: ილარიონ სტურუა, კაპიტონ კალანდაძე და დავით რუხაძე. თავმჯდომარედ ვიქენი დანიშნული მე.

ჩვენი მიზანი იყო პარტიული მასების შეკავშირება და გაცნობა იმ საკითხებთან, რომელნიც წამოაყენა ტროცკისტულმა ოპოზიციამ.

განმეორებით მოხდა ჩემს ბინაზე ბიუროს გაფართოებული სხდომა, რომელსაც გარდა ზემოაღნიშნულ ამხანაგებისა დაესწრო სამტრედიიდან: ვიქტორ შუბლაძე და ქუთაისიდან ამხ. პეტრე ჯალაღანია (პოლიტბიუროს თავმჯდომარე), აქ იქნა აღნიშნული ჩატარებული მუშაობის შედეგები. სხვათა შორის ჩვენს ბიუროს მიეცა სამაზრო ბიუროს სახ. სამტრედიაში მუშაობის წარმოება დავალებული ჰქონდა ამხ. ვ. შუბლაძეს, ხონში ამხ. ნადარეიშვილს, ტყიბულში—ამხ. ზამთარაძეს, და აქ, ქუთაისში კი ჩვენ. მე მქონდა დავალებული პროფკავშირების აყვანა. ილარიონ სტურუას ელსადგური, პარტკომი და სხვები. რუხაძეს სხვადასხვა დაწესებულებებში მოკალათებული ამხანაგები. ამნაირად მუშაობა თავის წესით მიმდინარეობდა.

ამხ. ლორთქიფანიძე უნდა გადაეყვანათ ქუთაისიდან; მოახლოვდა გადაყვანის დრო ქუთაისში ჩამოვიდენ ამხ. ყურულიშვილი და ამხ. ამბერკი ურუშაძე, მანამ საკითხი დაისმებოდა ლორთქიფანიძის წასვლის და ამხ. ურუშაძის მოსვლის შესახებ, ჩვენ უკვე შეთანხმებული ვიყავით, რათა სასტიკი პროტესტი გაგვეცხადებია ურუშაძის წინააღმდეგ, რადგან ჩვენ გვეჭიროდა, რომ ურუშაძის მოსვლით ჩვენი ორგანიზაცია დაიშლებოდა. ორი დღის შემდეგ, პარტკომის სხდომაზე, როგორც მახსოვს 13 კაცმა, პლენუმის წევრებმა, ამხ. ურუშაძის წინააღმდეგ მისცა ხმა და ორმა კაცმა დიმიტრი კომახიძემ და მე თავი შევიკავეთ. ჩვენი თავის შეკავება სხდომის დათავების შემდეგ, ამხანაგების მიერ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი. ამ სხდომაზე ჩვენ შეგვიერთდა გლეხი სერაფიონ ნამჩევაძე, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა ურუშაძის წინააღმდეგ.

ამნაირად ამხ. ურუშაძე შეუდგა თავის თანამდებობას, ლორთქიფანიძე წავიდა. გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა ახალი კომიტეტსა და ჩვენს შორის.

მე საჭირო ლიტერატურას ვღებულობდი ბენო კალანდაძისა და პეტრე ჯალაღანიას საშუალებით. ლიტერატურა გადადიოდა ხელიდან-ხელში.

სხვათა შორის ქალაქი დაყოფილი იყო ჯგუფებად. იყო რამოდენიმე ჯგუფი. მაგრამ ერთმა ჯგუფმა მეორე ჯგუფი არ იცოდა კონსპირაციის თვალსაზრისით. ბიურომ ყველა ჯგუფები იცოდა.

ოპოზიციონური ჯგუფების ლიკვიდაციის მიზნით ქუთაისში ჩამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე. ჩვენ უკვე მოვახდინეთ ბიუროს ვიწრო წრეში თათბირი, რათა გამოვსულიყავით მის წინააღმდეგ ქალაქის თეატრში და ასეც მოხდა. რაზედაც ამხ. ფილიპე ძალიან უკმაყოფილო დარჩა. აგრეთვე მეორე დღეს, ამხ. ფილიპეს ხონში წასვლის დროს, ჩვენ გავგზავნეთ ხონში ამხ. მაჭარაძე სათანადო დირექტივებით და სამტრედიაში ილარიონ სტურუა. რასაც მოყვა შედეგათ ხონში ოპოზიციონერების რეზოლუციის გაყვანა და სამტრედიაში კი კრების სრულიად ჩაშლა.

ბრძოლა უფრო და უფრო გამწვავდა. საჭირო იყო ჩვენი მოაზროვნე ინტელიგენტური ძალები, ჩვენ ვიცოდით, რომ პროკურატურაში არის პროკურორი ამხ. გვასალია. ჩვენ დავუკავშირდით ამხ. გვასალიას.

გადის დრო და ქუთაისში ჩამოდის ამხ. საშა გეგეჭკორი. მოწვეული იქნა უჯრედების გაერთიანებული კრება. დაისვა საკითხი პარტიის მთლიანობის შესახებ. მე შევუკავშირდი ამხ. გვასალიას და სპირიდონ ფოფხაძეს — გვასალიას დაევალა, როგორც ინტელიგენტს გამოსულიყო მაგარი მომზადებით, ფოფხაძეს დაევალა რეზოლუციის დამუშავება, მე კი ვიკისრე გამოსვლა, როგორც მუშამ. ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენ აქ განვიცადეთ სასტიკი მარცხი, რეზოლუციის მიღების დროს დავრჩით აბსოლუტურ უმცირესობაში. აქედან იწყება უარყოფა ჩვენ მიერ (გვასალია, სტურუა და მე) ფრაქციულ მუშაობისა, დაშლა ჩვენი ბიუროსი და ჯგუფების და ბრძოლა პარტიის მთლიანობისათვის.

ასეც ვქენით—ურთიერთ შორის მოლაპარაკების შემდეგ დავშალეთ ჩვენი ბიურო და სათანადო დეკლარაციით მოვედით პარტიაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ დავგმოთ შემცდარი ნაბიჯები და გვებრძოლა ყველა ჯურის ჯგუფების და პარტიის გამთიშველების წინააღმდეგ.

კაპიტონ კალანდაძე.

ამხ. კაპიტონ კალანდაძის განცხადებას, რომელიც შეტანილია ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტში, ვადასტურებ და ვუერთდები.

ილარიონ სტურუა.

ლენრაიკომის პლენუმზე

24 დეკემბერს შესდგა ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგან. ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ივანოვის მოხსენება რკინის გზის მთავარ სამმართველოში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ.

რკინის გზის მთავარ სამმართველომ ჩაატარა ფრიად რთული მუშაობა; ადმინისტრატიულ შემადგენლობის უფლებათა და მოვალეობათა განხილვის საქმეში—ამბობს ამხ. ივანოვი. ეს მუშაობა შესრულებული იქნა პროფესიონალური და პარტიული აქტივის მხურვალე მონაწილეობით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამმართველოს შტატი შემცირებულია 335 კაცით, რაც წლიურად იძლევა 313.500 მანეთის ეკონომიას. ხარჯების საერთო შემცირება კი იძლევა 519.000 მანეთს. აღნიშნული ადმ. სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება შეეხება არა მარტო ცენტრალურ აპარატს, არამედ პერიფერიასაც.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ასეთ მუშაობაში პარტიული მასის და პროფესიონალური აქტივის მიზიდვის მეთოდმა, დაამტკიცა, რომ შესაძლებელია სრულიად უმტკივნეულოდ ჩატარო ასეთი დიდი საქმე და არავითარი გაუგებრობანი არ დაუშვა, როგორც ამას წინეთ ჰქონდა ადგილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ტერულაძემ, ვარლამოვმა, ვოიკინმა, სვანცერმა, ბეჟუაშვილმა და ზენაშვილმა.

პლენუმი ამის გამო მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ პარტიის დირექტივა ხარჯების შესახებ ა.-კ. რკ. გზის სამმართველომ დამაკმაყოფილებლათ შეასრულა.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. გუდავაძის ინფორმაციული მოხსენება „ოქტომბრის გაწვევის“ შედეგების შესახებ.

სულ ლენინის რაიონში შემოტანილი იქნა პარტიაში მიღების შესახებ 406 განცხადება. იმათგან მიღებულია 264, აქედან 35 პროც. შეადგენს კომკავშირის წევრები. „უკეთესი რა ჯამს „ოქტომბრის გაწვევას“, შევეძლია ავღნიშნოთ, სთქვა მომხსენებელმა, მუშათა საუკეთესო ნაწილის პარტიისაკენ ლტოლვა.

და პარტიის ავტორიტეტის ჩვენი რაიონის მუშებს შორის შესამჩნევად გაზრდა“.

ამხ. გუდავაძის მოხსენების ირგვლივ მიღებულ იქნა პრაქტიკული წინადადებანი, რომლის თანახმად, რაიკომის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია გააძლიეროს აღმზრდელობითი მუშაობა პარტიაში ახლად მიღებულ მუშათა შორის,

დასასრულ პლენუმმა მოისმინა ამხ. ლომჯარიძის მოხსენება საუბნო დამხმარე სალაროს მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც პლენუმი დაიხურა.

ირან.

კომკავშირში სტოვებენ ოპოზიციას

(ქუთაისის ყოფ. ოპოზიციონერ კომკავშირელების განცხადება)

მე-14 ყრილობის შემდეგ ჩვენ აქტიურ ფრაქციულ მუშაობას ვაწარმოებდით ცენტრალური კომიტეტის ლენინელების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას საზღვარი დაუდვა მე-15 ყრილობამ. საკითხი ასეა დასმული: ან შენს საკუთარ პარტიაში, კომკავშირში, ან მეორე პარტიაში. ჩვენ მეორე პარტიაში ვერ წავალთ. ის დამღუპველია პროლეტარიატის დიქტატურისათვის. მეორე პარტია გაფლანგვაა მუშათა რევოლუციონური ძალღონის. მაშ სად? აუცილებლად ჩვენს საკუთარ პარტიაში. მე-15 ყრილობა ტროცკისტული პარტიის მიმდევრობას და მისი შეხედულებების პროპაგანდას სცნობს ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამას და ვაცხადებთ:

1) ვსწყვეტთ იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს, როგორც პარტიულ, ისე კომკავშირულ ოპოზიციასთან და ვემორჩილებით ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს.

2) ვაღიარებთ ჩვენს შეცდომას და მოუწოდებთ ყველა ამხანაგებს დაშალონ ფრაქციები, ჯგუფები და დაუბრუნდენ თავიანთ ორგანიზაციას.

3) დაშლილად ვაცხადებთ ქუთაისის კომკავშირის ოპოზიციონურ ჯგუფს და არალეგალურ ხელმძღვანელ ბიუროს.

4) ვშუამდგომლობთ პარტიის ცეკას და კომკავშირის წინაშე, ამ განცხადებაზე ხელის მომწერი გარიცხული ამხანაგები აღადგინონ ორგანიზაციაში.

მესამე ძალას, ტყუილია ნუ ექნება ჩვენი იმედი. ჩვენ ჩვენს საკუთარ ორგანიზაციასთან ერთად შეურყევლად ვიბრძოლებთ ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც შეეცდება პროლეტარიატის დიქტატურის ოდნავად შესუსტებასაც კი.

გაუმარჯოს ლენინის პარტიის მონოლითობას!

მაღლაკელიძე ალექსანდრე ტარასის ძე, პარტიის წევრი 1926 წ. და ლ. კ. კ. წევრი 1921 წლიდან, კომკავშირის წევრები: ქარაპეტიანც არტემ არუთინის ძე, რუხაძე ვლადიმერ კონსტანტ. ძე, უგლავა სერაპიონ იოსების ძე, გოგიტაური გერმანე დავითის ძე, მარგველაშვილი ნიკოლოზ გიორგ.-ძე, ციხარიძე ტარასი ივანეს ძე, ჯანჯღავა ვიქტორ გიორგის ძე, კალანდაძე ვალიკო ილარიონის ძე, გვანცალაძე ისაკი ბეგლარის ძე, მათითაშვილი ილარიონ გიორგის ძე, რამიშვილი გიორგი ილიას ძე, თელია ალექსანდრე ევთიმეს ძე, ბასილაძე კალისტრატე გიორგისძე, ახათიანი მამია ვასილის ძე, მახარაძე ერასტი ევთიმეს ძე, გოგოლაშვილი ელენე ისიდორეს ას., ნაცვლიშვილი რომან თომას ძე, დათეშიძე კოწია სახელის ძე, კვანტალიანი ვლადიმერ, შავგულიძე ტიხონ ვასილის ძე, ლომთაძე კირილე ივანეს ძე, წაქაძე პავლე ელისეს ძე, ჩომახიძე ვლადიმერ ისიდორეს ძე.

უჯრედი კარგად მუშაობს

ზუგდიდის ცხრაწლედის კომკავშირის უჯრედი აერთიანებს 60-მდე წევრ კანდიდატს. უჯრედში არსებობს პოლიტკითხვის ჯგუფი და პოლიტსკოლა, რომელთა მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობს. უჯრედმა აირჩია ბიუროსთან ერთად ქალთა კომისია და აგიტპროპ. კომისია, რომლებიც პირნათლად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას. უჯრედი ხელმძღვანელობს 9 წლედში არსებულ ნორჩ პიონერთა კოლექტივს. კომკავშირის ინიციატივით 9 წლედში დაარსებულია ავიაქიმის უჯრედი, გვინდა დავაარსოთ რემედასის უჯრედიც. უჯრედის ხელმძღვანელობით გამოდის მოწაფეთა კედლის გაზეთი და ჟურნალი. კედლის გაზეთთან დაარსებულია ახკორთა წრე. 9 წლედში დაარსებულია აგრეთვე ლენინის კუთხე და სამკითხველო, მოწაფეობაში ვრცელდება 20 ცალ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, რაც მეტად მცირეა. ამის მიზეზია გაზეთის ხშირი დაგვიანება.

თვითმფრინავ „ამიერ-კავკასიის კომკავშირელის“ ასაგებად უპარტიოებმაც გაიღო წვლილი; მოწაფეთა თვითმმართველობაშიც დიდი უმრავლესობა კომკავშიოელებია. პედსაბჭოსთან კარგი დამოკიდებულება გვაქვს.

შ. მესხია.

ნაოსნობა მდინარე მტკვარზე და ალაზანზე

რამოდენიმე ხნის წინად მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდენ შინა-წყლებზე მიმოსვლის ცენტრალური სამმართველოს უფროსი ა. მ. ლეპინი და წყლის გზების ცენტრალურ სამმართველოს ახალსამუშაოების ნაწილის უფროსი ინჟ. დ. გ. მოსტოვოი, რომელთა ჩამოსვლის მიზანია მდ. მტკვარზე ნაოსნობის მოსაწყობად წარმოებულ სამუშაოების გამოკვლევა.

თბილისიდან ლეპინი და მოსტოვოი, ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს უფროსს ტ. ხ. სპრინკველთან ერთად გაემგზავრენ მტკვარზე წარმოებულ მუშაობის ადგილობრივ დასათვალიერებლად.

კომისიამ უკვე დაამთავრა გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგების შესახებ ამხ. სპრინკველმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

კომისიამ მტკვარი დაათვალიერა ევლახის რკინის გზის ხიდიდან—ზუბოვკამდე (აზერბეჯანშია).

მდ. მტკვარი სავსებით გამოსადეგია ნაოსნობისათვის ევლახიდან მოკიდებული მტკვრის კასპიის ზღვასთან შესართავამდე—600 კილომეტრის მანძილზე.

კომისიის მუშაობის დროს მდინარის კალაპოტი გაწმენდილი იყო 400 კილომეტრის მანძილზე: შესართავიდან—ფუთამდე და ზარდობამდე. დანარჩენ მანძილზე—ზარდობიდან ევლახამდე კალაპოტის წმენდა დაწყებულია.

მიუხედავად იმისა, რომ კალაპოტი უკვე სავსებით მომზადებულია, „კასპის ნაოსნობას“ ჯერ კიდევ ვერ დაუწესებია მდინარეზე ნავების რეგულიარული მიმოსვლა. ფაქტიურად მოძრაობა მდინარეზე გაიხსნა ა. წ. 17 ნოემბრიდან; 19 დეკემბრამდე გემებმა შესძლეს, სამი რეისის გაკეთება.

კომისიამ აღნიშნა, რომ მდინარეზე ნაოსნობის საწარმოებლად საჭიროა ძალიან მცირე ტეხნიკურ სამუშაოების ჩატარება, რაც მოითხოვს უმნიშვნელო ხარჯებს. ამასთანავე კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მახლობელი, მჭიდროდ დასახლებული რაიონები, უფრო უახლოვდებიან მდ. მტკვარს, ვიდრე რკინის გზას, — სცნო, რომ რეგულიარულ ნაოსნობის წარმოებას მდინარეზე მეტად დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა ექნება მხარის კულტურული და ეკონომიური განვითარებისათვის.

ამისათვის კომისიამ აუცილებელ საჭიროებად აღიარა ნაოსნობის საკითხის დაუყოვნებლივ მოწესრიგება. კომისიამ ყურადღება მიაქცია ნაოსნობის მოწყობას მტკვრის დასავლეთ უბანზეც.

ამხ. მენცელის წერილი

ამას წინეთ საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა საფრანგეთ-გერმანიის რემედასის შერეული დელეგაცია. დელეგაციამ დაათვალიერა საქართველოც. დელეგაციის თავმჯდომარემ **მენცელმა** (პრუსიის ლანდტაგის წევრია) გერმანიაში დაბრუნების შემდეგ საქართველოს რემედასის ცეკას გამოუგზავნა წერილი.

— „თეთრი იუსტიციის სისასტიკე პოლიტპატიმრების მიმართ აუწერელია,—სწერს ამხ. მენცელი—ჩემი მოგზაურობის დროს ჩემ სახელზე მოსულია რამოდენიმე ასეული წერილი პოლიტპატიმრებისაგან, რომლებიც მთხოვდენ მათ დაცვას საშინელ რეპრესიებისაგან რომელსაც მიმართავენ ზონდენბურგის გერმანიის ციხეებში.

მიუხედავათ ამისა, როცა პრუსიის ლანდტაგში შეიხენ საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ოქტომბრის ათი წლის თავზე გამოცემულ ამნისტიას, მენშევიკები გამოვიდენ ცილისწამებით, თითქო საბჭოთა კავშირის საპატიმროებში პოლიტ-პატიმრებს აწამებენ. მე, როგორც საბჭოთა კავშირიდან ახლახან დაბრუნებულმა და პოლიტპატიმრების მდგომარეობასთან კარგად გაცნობილმა, მოვითხოვე სიტყვა და უარი მითხრეს. მაგრამ საჯარო კრებებზე მე გამოვალ და ვიტყვი სიმართლეს საბჭოთა კავშირის შესახებ“.

შემდეგ ამხ. მენცელი თავის წერილში მოგვიყვება შემდეგი ფაქტი: „გროსსტერლიცის საპატიმროში ადმინისტრაციამ ჯერ სცემა და შემდეგ ჩამოახრჩო პატიმარი **ბაუდე**, ხოლო როდესაც ეს საქმე გამოაშკარავდა, იუსტიციის მინისტრმა ლანდტაგში განაცხადა, რომ პატიმარმა თვითონ დაიხრჩო თავიო“.

— და ეს ვაჟბატონებიაო,—ასე ათავებს თავის წერილს ამხ. მენცელი,—ბედავენ ლაპარაკს საბჭოთა საპატიმროების სისასტიკეზე“.

საარჩევნო კამპანია სამომხმარებლო კოოპერაციაში

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციაში 1927—28 წლის საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაიწყო ა.-წ. 20 ოქტომბრიდან. რათა ადგილებს უფრო ნათლად გაერკვიათ კოოპ. ყველა მორიგი ამოცანები და საკითხები, ცეკავშირის გამგეობამ მოკავშირე ძირითად ორგანიზაციებს და რაიონულ ინსტრუქტორებს სახელმძღვანელოდ დაუგზავნა სათანადო ინსტრუქციები.

ამ ინსტრუქციებით ცეკავშირის გამგეობა ძირითად ორგანიზაციებს ავალებს საარჩევნო-საანგარიშო კამპანიების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ: საქონლის საცალო ფასების შემდგომ შემცირებას, ხარჯების შემცირების და აპარატის რაციონალიზაციის გზით, საპაიო დავალიანების ლიკვიდაციას და პაის შემდგომ გადიდებას, წევრთა რაოდენობის ზრდას, მათ მატერიალურ დაინტერესებას და სხვა.

მიმდინარე საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის ნაყოფიერათ ჩატარების მიზნით ცეკავშირის გამგეობას შემუშავებული აქვს მუშაობის კალენდარული გეგმა. ამასთანავე კამპანიის ჩატარებისათვის უშუალო ხელმძღვანელობის გასაწევად გამოყოფილი არიან ცეკავშირის გამგეობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები, რომელთაც მიჩნეული აქვთ განსაზღვრული რაიონი და იგზავნებიან იქ კამპანიის ჩასატარებლათ.

ცეკავშირში მიღებულ ცნობების მიხედვით, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ადგილებზე წელს განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს. კამპანია უკვე ჩატარებულია ორმოცამდე კოოპერატივში. როგორც ცნობებიდან სჩანს, კოოპერატივის წევრები დიდ აქტიობას იჩენენ. წევრთა დასწრება საარჩევნო კრებებზე 80,90 და ხშირად 100 პროცენტს აღწევს.

მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს სიღნაღის მაზრაში ადგილი ჰქონდა მეტად საინტერესო მოვლენას. წელს პირველად დაისვა საანგარიშო კრებების დღის წესრიგში ცეკავშირის გამგეობის მოხსენება.

ცეკავშირის მოხსენებამ კრებებზე დიდი ინტერესი გამოიწვია და დამსწრე რწმუნებულებმა და წევრებმა მეტად აქტ. მონაწილეობა მიიღეს მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. ისინი ხაზს უსვამდენ ცეკავშირის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას და მოითხოვდენ მისთვის დახმარების გაწევას, ფინანსიური მდგომარეობის გამოსასწორებლათ.

ამისათვის: სიღნაღის, ქვემო-მაჩხაანის, წითელ-წყაროს, ლაგოდეხის და ანაგის კოოპერატივებმა გამოიტანეს დადგენილება, რომლებშიაც საჭიროთ ცნობენ ცეკავშირისათვის თავის საკუთარ თანხების ნაწილის და თავისუფალ კრედიტების გადაცემას.

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ, საღამოს თბილისის წითელ თეატრის შენობაში გაიმართა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ამხ. მამულიას მოხსენება.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის შესახებ

მომხსენებელი, რომელიც ვრცელ მიმოხილვას უკეთებს ჯანმრთელობის განყოფილების ყველა დარგების საქმიანობას 1926-27 წლის განმავლობაში ამბობს, რომ ყველა სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მთელი ქსელი ამჟამად პირველ რიგში დახმარებას უწევს დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახებს. ამას აშკარად ამტკიცებს ის თანხები, რომელიც ამ დაწესებულებაზე იხარჯება. თუ 1925-26 წელს ჯანმრთელობის განყოფილებისათვის ბიუჯეტით გადადებული იყო 2.278.712 მანეთი, 1926-27 წელს ჯანმრთელობის საქმეზე თბილისში და მის მაზრაში დაიხარჯა 3.411.787 მანეთი, ხოლო 1927-28 წლისათვის განზრახულია დაიხარჯოს 3.625.103 მანეთი. თვითეულ დაზღვეულზე 1925-26 წელში მოდიოდა 34 მან. 80 კაპ. 1926-27 წელს 44 მანეთი და 15 კაპ., 1927-28 წელს განზრახულია დაიხარჯოს 52 მანეთი. მიუხედავად ასეთი ზრდისა,—აღნიშნავს მომხსენებელი,—თანხების ამ რაოდენობით გალება ჯანმრთელობისათვის მაინც საკმარისი არ არის. ამიტომ გრძელი რიგები ამბულატორიებსა და საავადმყოფოებში, სპეციალური საწოლების ნაკლებობა, წამლების სიმცირე და სხვა. საკმაო დაწესებულებათა უქონლობა ჯანმრთელობის ორგანოებს იძულებულს ხდის უარი უთხრას ამა თუ იმ საექიმო დახმარებაზე. თუმცა საავადმყოფოებსა და სამკურნალო დაწესებულებებში გატარებულ ავადმყოფთა რიცხვის ზრდა გვიჩვენებს, რომ ამ მხრივაც ჯანმრთელობის განყოფილებას დიდი მიღწევები აქვს. მაგალითად 1927 წელს ავადმყოფების პირველი მიმართვა შეადგენდა 858.264, მეორე მიმართვა 1.895.660, ხოლო საერთოდ 2.653.924. არანაკლები ყურადღება ექცეოდა სანიტარულ პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებას და დისპანსერიზაციის მეთოდებს. ტებერკულოზის დისპანსერმა მოახდინა პოლიგრაფიის, ლითონის მრეწველობის მუშათა მდგომარეობის გამოკვლევა, ხოლო ვენერიული დისპანსერის მიერ გამოკვლეულია 26 კომუნარის სახელობის ქარხანა, პირველი და მეორე სტამბა, გემო-კვების 20 წარმოება მილიცია და კიდევ მრავალი დაწესებულება. სამალარიო დისპანსერმა გამოიკვლია მაზრის 1.400 მცხოვრები. ყველა ეს ღონისძიებები ამცირებს სიკვდილიანობის შემთხვევებს და ადიდებს დაბადებულთა რიცხვს. მაგალითად 1924 წელს დაბადებულთა რიცხვი უდრიდა 3,3 პროც., ხოლო სიკვდილის შემთხვევები 1,8 პროც. 1927 წ. 1-ლ ნახევარში დაბადებულთა რიცხვი შეადგენს 3,2 პროც., ხოლო სიკვდილის შემთხვევები 0,9 პროცენტს. შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ ამოცანებს, რომელიც ჯანმრთელობის განყოფილების წინაშე სდგას მშრომელთა მასების ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

კამათი

ამხ. მამულიას მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. **ოგანეზოვი** აღნიშნავს, რომ დაზღვეულები თავის დროზე ვერ ღებულობენ საექიმო დახმარებას. არის შემთხვევები, როცა ავადმყოფს რამოდენიმე დღე უხდება ექიმის ცდა. იგივე ორატორი ამბობს კბილის საექიმო კლინიკა დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეების დიდი უმრავლესობისათვის მიუწვდომელია, რადგან მათ უხდებათ დიდხანს რიგში დგომა.

ამხ. **კუკულავა** ეხება ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობას მაზრაში და ამბობს, რომ სოფლად ექიმები არ მიდიან სამუშაოდ, მაგ. მანგლისის რაიონში 15 ათას მცხოვრებზე მხოლოდ ერთი ექიმია, გარდა ამისა ჯანმრთელობის განყოფილების პოლიკლინიკა დაზღვეულთა გარდა სხვას არავის უწევს საექიმო დახმარებას, საერთოდ გლეხობის დიდი ნაწილი მოკლებულია საექიმო დახმარებას.

ამხ. **ბაბანოვი**, ეხება წამლების სიმცირეს აფთიაქებში და ამბობს, რომ წამლების დამზადებას დიდხანს აგვიანდებათ.

ამხ. **წერეთელი** მცხოვრებთა ნაწილის დაუკმაყოფილებლობას საექიმო და სამკურნალო დახმარებით ხსნის იმ გარემოებით, რომ ჩვენი სამკ. დაწესებულებები ძალიან დატვირთულნი არიან, რისი მიზეზიც არის დაზღვეულთა რაოდენობის გადიდება, ქრონიკულ ავადმყოფობათა ზრდა და სხვა.

ამხ. **ჭიპაშვილი** ეხება წამლების სიმცირეს იმ აფთიაქებში, რომელნიც წამალს აწვდიან დაზღვეულებს. ამხ. **გულისვერაშვილი** საჭიროდ სცნობს, რომ გაფართოებულ იქნეს ყურის, ცხვირის და ყელის საავადმყოფოს საწოლების რიცხვი.

ამხ. **რევაზიშვილი** აღნიშნავს ზოგიერთი ექიმების გულგრილობას ავადმყოფებისადმი; ხშირად იგვიანებენ, დაკვირვებით არ სინჯავენ ავადმყოფებსო და სხვა.

ამხ. **დოლიძე**—ამბობს, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებისა, ჯანმრთელობის დაცვის საქმის წინსვლა ჩვენში უდავოაო. ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად ჯანმრთელობის დარგში მას მიაჩნია ფიზიკური მკურნალობის ინსტიტუტი, ამხ. დოლიძე საჭიროდ სცნობს აგრეთვე დაარსებულ იქნეს ფსიქიატრიული საავადმყოფო.

ამხ. **ცერცვაძე**—საჭიროდ სთვლის, რომ მეტი ყურადღება მიექცეს პროფილაქტიურ გამაფრთხილებელ ღონისძიებებს და მუშა მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

ამხ. მამულიას საბოლოო სიტყვა

ორატორებს პასუხი გასცა მომხსენებელმა. იგი არ უარყოფს აღნიშნულ ნაკლულოვანებებს, მაგრამ მათ მიზეზათ ასახელებს ფინანსიურ ხელმოკლეობას. მაგ. წამლების სიმცირე აფთიაქებში აიხსნება იმ გარემოებით, რომ საერთო კატალოგში, რომელიც შედგენილია პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, წამლების რიცხვი დაზღვეულთათვის განსაზღვრულია. თუ ექიმები ყველას ვერ უწევენ სათანადო საექიმო დახმარებას, ამის მიზეზი ის არის, რომ ერთი მხრივ ისინი ზომაზე მეტად არიან დატვირთულნი და მეორე მხრივ მატერიალურადაც ვერ არიან უზრუნველყოფილნი. სამკურნალო-საექიმო დაწესებულებების რიცხვი გაცილებით ნაკლებია დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაზე და სხვ. ჯანმრთელობის განყოფილება ყველაზე უკეთ გრძნობს ამ დეფექტებს და თანდათანობით გეგმიანი მუშაობით შეძლებისდაგვარად ცდილობს მათ აღმოფხვრას.

რეზოლუცია

მოხსენების მიხედვით პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობას და საჭიროდ სცნობს მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებას საექიმო და სამკურნალო დახმარების დარგში.

საბჭოთა უკრაინის ათი წლის თავი

გუშინ საბჭოთა უკრაინას არსებობის ათი წელი შეუსრულდა

მისალმებები უკრაინის მშრომელთ

ამიერ-კავკასიის ცაკისა და სახკომსაბჭოსაგან

ამიერ-კავკ. ცაკმა და ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე უკრაინის ცაკის თავმჯდომარეს გაუგზავნეს შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:



ამხ. პეტროვსკი
უკრაინის ცაკის თავმჯდომარე

უკრაინის მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ თავის განმტკიცების გზაზე გადალახა ყოველგვარი სიძნელენი და გამოვიდა რა გამარჯვებული გააფთრებული ბრძოლისაგან, დაუმტკიცა მთელს ქვეყანას ორგანიზაციულად შეკავშირებულ მშრომელი მასის ძლევამოსილება.

დამოუკიდებელ უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის და მშვიდობიან მუშაობის ათი წლის თავზე ამიერ-კავკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო, რომლებიც გამოხატავენ მთლიანად ამიერ-კავკ. მშრომელთა ნებას, მხურვალე სალამს უძღვნიან უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს და უკრაინის მუშებსა და გლეხებს. ამიერ-კავკასიის მშრომელთ სწამთ, რომ უკრაინის პროლეტარიატი და ულარიბესი გლეხობა მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად მომავალშიაც განაგრძობენ სოციალიზმის აღმშენებლობის გზით სიარულს და გაერთიანებული ძალებით დაამხობენ პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მტრებს.

გაუმარჯოს უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე— ს. კასიანი.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: მ. გუსეინოვი.

საქართველოს ცაკისაგან

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი საქართველოს მოძმე რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის უკრაინის მშრომელებს მემამულე-კაპიტალისტების და თვითმპყრობელობის კლანჭებიდან განთავისუფლების ათი წლის თავზე. საბჭოთა უკრაინის და მასთან ერთად მთელი ჩვენი დიდი კავშირის მშრომელები დღესასწაულობენ გამარჯვებას საბჭოთა კულტურის და ეკონომიური აღმშენებლობის ფრონტზე, გამარჯვებას უკრაინის კონტრ-რევოლუციაზე და ბურჟუაზიულ-შოვინისტურ ელემენტებზე.



ამხ. ჩუბარი
უკრაინის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ათი წლის განმავლობაში საბჭოთა უკრაინის მშრომელებმა დაუმტკიცეს მთელ მსოფლიოს, რომ მათ კომპარტიის მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ შეუძლიათ ააშენონ და განავითარონ, უკრაინის შოვინისტური და რუსეთის თვითმპყრობელური ბურჟუაზიის და მათი დამქაშების გარეშე. უკრაინის სოციალისტური სახალხო მეურნეობა და უკრაინის სოციალისტური კულტურა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკის საფუძველზე.

საქართველოს ცაკი უსურვებს უკრაინის მშრომელებს, რომ მათ ასევე წარმატებით განაგრძონ მომავალშიაც მუშაობა სოციალიზმის ასაშენებლად.

გაუმარჯოს უკრაინის მოძმე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

საქართველოს ცაკი.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს სახკომსაბჭომ უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს გაუგზავნა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა.

ათი წლის წინათ ოქტომბრის რევოლუციამ, რომელიც გრანდიოზულ-სოციალურ გადატრიალებას წარმოადგენდა, მძლავრ ტალღათ მოეფინა უკრაინას. უკრაინაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამ ათი წლის განმავლობაში საბჭოთა უკრაინაზე მრავალჯერ მიუტანიათ იერიშები ძველი წესწყობილების რესტავრატორებს და უცხო მტაცებლებს, მაგრამ უკრაინა ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა და ამჟამად იგი სულ წინ და წინ მიდის.

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მოძმე უკრაინის მუშებს და გლეხებს და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალ ბრძოლებში კომუნიზმისათვის, რომლებიც განვლილ ბრძოლებზე უფრო გრანდიოზული და დიადი იქნება, საბჭოთა უკრაინა მომავალშიაც საბჭოთა რესპუბლიკების პირველ რიგში იდგომება.

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

ბაჩანას დაკრძალვა

სამოქალაქო პანაშვიდი

პოეტის კუბოსთან, რომელიც ყვავილებით და გვირგვინებით იყო მორთული დილიდანვე იდგა საპატიო ყარაული, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებისაგან. 12 საათისათვის ხელოვნების სასახლე აივსო განსვენებულის პატივსაცემად მოსულ ხალხით. განუწყვეტლივ უკრავდა ორი სამხედრო ორკესტრი. გუნდები მღეროდენ სამგლოვიარო ჰიმნებს. ნაშუადღევის 1 ნახევარ საათზე პოეტის ნეშთი ხელოვნების სასახლიდან გამოასვენეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრებმა.

ხელოვნების სასახლის წინ

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით სიტყვა წარმოსთქვა **პაოლო იაშვილმა**:

„ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებს გამოაკლდა ოთხი თვალსაჩინო მწერალი: შიო არაგვისპირელი, კოტე მაყაშვილი, არტურ ლეისტი და ბაჩანა. უკანასკნელათ ჩვენ დავკარგეთ რაზიკაშვილის ოჯახის და ქართული მწერლობის ძვირფასი წევრი ბაჩანა. მისი გარდაცვალებით ჩვენ ვკარგავთ კავკასიის მთების მომღერალ პოეტს. დიდი დრო გაივლის, ხანამ ჩვენ მოვისმენთ ფშაური ქნარის ისე ხიამით ჟღერას, როგორც ამას ვისმენდით ვაჟასა და ბაჩანას სიცოცხლეში“.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ბაჩანას ყოფილმა მოწაფეებმა. ამის შემდეგ პროცესია დაიძრა მახაბლის ქუჩით დიდუბისაკენ.

საფლავზე

ნაშუადღევის 4 ნახევარ საათზე ბაჩანას ნეშტი დაასვენეს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. აქ მგრძნობიარე სიტყვით გამოვიდა მუშა **ბაჩიჩილაძე**.

სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე პოეტმა **გიორგი ქუჩიშვილმა**. განსვენებულის საფლავზე ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ბაჩანას შვილის ლექსმა „გარდაცვლილ მამისადმი“.

სრულ 5 საათზე პოეტ ბაჩანას ნეშტი მიაბარეს დიდუბის მიწას.

ვ. ჭ.

გველი ბავშვის მუცელში

ამა წლის 23 დეკემბერს, ცენტრალური კლინიკის ინსტიტუტის (ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს) მსახურის ბავშვმა გარეთ გასვლის დროს დააგდო ცოცხალი გველი სიგრძით დაახლოვებით 10 ვერშოკი. შეშინებულმა მსახურმა მაშინვე მიმართა ამავე საავადმყოფოს ექიმს მ. ცხაკაიას, რომელსაც ბავშვი აჩვენა და გველიც გადასცა.

საუბარი ექ. ცხაკაიასთან

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ამ შემთხვევის გამო ესაუბრა ექიმ ცხაკაიას, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„დ...ის ბავშვი 9 წლისა, როგორც მისმა მშობლებმა გადმომცეს, კარგა ხანია დაავადებულია ნაწლავის ჭიებით. წარსულ ზაფხულზე, ის ბავშვი საკურორტოდ ყოფილა ბაკურიანში და იქ ხშირად სვამდა მინდვრის წყალს. შესაძლებელია ბავშვმა წყალთან ერთად გადაყლაპა გველის ბარტყი ან კვერცხი, რომლისგანაც შემდეგ დიდი გველი გაიზარდა ნაწლავში, სადაც იგი ალბად იკვებებოდა იქ მყოფ ჭიებით და იმ საჭმელით, რომელსაც ბავშვი ღებულობდა. მეორე უფრო საეჭვო გზად უნდა დაუშვათ, რომ გველს შეეძლო შეძრომა პირიდან ან უკანა გასავლიდან ძილის დროს. ასეა თუ ისე ბავშვის ნაწლავებში გველის ყოფნა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს.

ამჟამად ზოოლოგებთან ერთად სწარმოებს ამ გველის ჯიშის ქვემძრომის შესწავლა და მოკლე ხანში ამის შესახებ სპეციალური მოხსენება იქნება წაკითხული ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში.

მსოფლიო საექიმო ლიტერატურაში დღემდის აწერილია რამდენიმე ერთეული ამგვარი შემთხვევა და ამიტომ იგი მეტად საინტერესოა მეცნიერულის თვალსაზრისით.

ოთხშაბათს 28—დეკემბერს, საღამოს 6—საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68), შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. კრებაზე მოწვეული არიან აგრეთვე თბილისის კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები.

დღის წესრიგში სდგას ამხ. ქ. ხომერიკის მოხსენება საბჭოების ხელახალ, გადარჩევისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ.

ქრონიკა

მისალმება სახკომსაბჭოს

საქართველოს სახკომსაბჭოს სახელზე მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

"შორაპნის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე მოწვევის მორიგი პლენუმი, რომელიც შესდგა ა.-წ. 23 დეკემბერს, მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს მუშების და გლეხების მესვეურთა და ფიცს სდებს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებს დაუღალავ მუშაობას სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აყვავებისათვის. პლენუმი თანაგრძნობას გამოსთქვამს ჩინეთის მებრძოლ რევოლიუციონერებისადმი და სასტიკ პროტესტს უცხადებს ჩინეთის რევოლიუციის ჯალათებს, რომლებიც ათასობით სწყვეტენ და სისხლში ახრჩობენ ჩინეთის მუშა-რევოლიუციონერებს.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას მთელ მსოფლიოში!

7 საათის სამუშაო დღის შემოღებათ

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შრომის ეკონომიკის განყოფილებამ შეადგინა კითხვათა სპეციალური ფურცლები, რომლებიც შესაფერისად დაეგზავნება ყველა საწარმოო დაწესებულებას, ტრესტებს და ცალკე სამრეწველოებს. კითხვათა ფურცლები ითვალისწინებს ყველა იმ საკითხების გამორკვევას, რომლებიც დაკავშირებულია შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებასთან.

რადიო სოფლად

პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ გამოიმუშავა გეგმა სოფლად რადიო-სადგურების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. ამ გეგმის მიხედვით მაზრებში რადიო-სადგურების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დაიგზავნება ინსტრუქტორები, რადიო-სადგურები, რომლებიც მოწყობილი არიან არა შესაფერის ბინებში, გადატანილი იქნებიან ახალ ბინებზე, სადგურების საჭირო მოწყობილობით და მასალებით უზრუნველსაყოფად ჩატარებული იქნება სადგურების გამოკვლევა და სხ.

მანუფაქტურის ბაზარზე

ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით გაიზარდა მოთხოვნილება შალეულზე, ბამბაზიაზე, თეთრეულზე და სხვა ქსოვილებზე. საქსახ-ბა „საფეიქრო ვაჭრობამ" თვეში ა.-კ. ბაზარზე შემოიტანა 550.000 მანეთის შალი, აბრეშუმი, თეთრეული და სხვა საფეიქრო ნაწარმოები მიმდინარე თვეში შემოზიდულ იქნება 666.000 მანეთის სხვადასხვა საზამთრო საქონელი.

სატრანსპორტო კომისია თავდაცვა-ავიაქიმთან

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან დაარსდა ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო კომისია, რომელიც აერთიანებს ტრანსპორტის ყველა დარგებს.

ა.-კ. სატრანსპორტო კომისიაში შედიან ა.-კავკასიის რკინისგზათა გამგეობის, ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის, ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს, ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველოს, საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტსამმართველოს, ა.-კ. რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მომავალში სატრანსპორტო კომისიები დაარსებული იქნება ცალკე რესპუბლიკებშიაც.

ა.-კ. სატრანსპორტო კომისიის ამოცანას შეადგენს თავდაცვა-ავიაქიმის სატრანსპორტო მუშაობის შინაარსის და მეთოდიკის დამუშავება, სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობის წარმოება და საჰაერო-ქიმიურ საქმის შესწავლა.

ჩაის თესლის შეძენა იაპონიაში

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-მ ჩაის თესლის შესაძენად შანხაიში მიავლინა საზ-ბის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. სუგაკი და აგრონომი პოკროვსკი.

გუშინ „საქართველოს ჩაიმ" შანხაიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ამხ. სუგაკი და პოკროვსკი იტყობინებიან, რომ ჩაის თესლის შეძენა შანხაიში მათ ვერ მოახერხეს, რადგან იქ არ აღმოჩნდა კარგი ღირსების თესლი.

ზეთის სახდელი ქარხნის აგება

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა ააგოს ზეთის სახდელი ახალი ქარხანა. ქარხნის შენობათ გამოყენებული იქნება გაუქმებულ აგურ-კრამიტის ქარხანა, რომლის რემონტიც დასრულდება უახლოეს კვირაში.

ქარხნის მოწყობილობის შესაძენად სამაზრო აღმასკომის წარმომადგენელი ჩამოვიდა თბილისში. ქარხანა ამუშავდება თებერვლიდან.

დროებითი საცხოვრებელი ბინები

შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა დებულება სამრეწველო წარმოებებში მომუშავე მუშა-მოსამსახურეთათვის დროებითი საცხოვრებელი ბინების მოწყობის შესახებ. დებულების ძალით, აკრძალულია დროებითი საცხოვრებელი ბინების მოწყობა მიწურებში, სარდაფებში და ნახევრად სარდაფებში. ჭაობიან ადგილებში ბინების ფანჯრებს უნდა გაუკეთდეს ლითონის ბადეები კოღოებისაგან დასაცავად. ბინებთან უნდა მოეწყოს სამზარეულოები და სამრეცხაო. ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბანოების მოწყობას. აუცილებელია აბანოები აგებული იქნეს იმ ზომის, რომ მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს საშუალება მიეცეთ კვირაში ერთხელ ბანაობისა. ამავე დებულების თანახმად ბინების აგება უნდა ხდებოდეს შრომის კომისარიატთან, პროფკავშირებთან და ჯანსახკომთან წინასწარი შეთანხმებით.

„ავტოგზა"

ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოში შესდგა ამიერ-კავკასიაში ავტო-ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობისათვის ხელის შემწყობ საზოგადოების—„ავტოგზა"-ს დასაარსებლად გამოყოფილ საინიციატივო ჯგუფის კრება, რომელსაც დაესწრენ ა.-კ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს, „ავტოპრომტორგ"-ის, ა.-კ. რკინისგზების გამგეობის, საქართველოს ს. მ. უ. ს., გზატკეცილების საქართველოს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებამ დაამტკიცა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემუშავებული წესდება, რომლის თანახმად საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში არსდება რესპუბლიკანური საზოგადოებები „ავტოგზა". ამ საზოგადოებების მუშაობას ხელმძღვანელობას გაუწევს „ამიერ-კავკასიის ავტოგზა".

წესდება დამტკიცებული უნდა იქნეს უმაღლეს ორგანოების მიერ.

ექიმთა ყრილობა

სრულიად საქართველოს ექიმთა და კბილის ექიმთა ყრილობა გაიხსნება ს. პ. კ. ს. დიდ დარბაზში სამშაბათს, ა. წ. 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე.

დღის წესრიგი: ცენ. გამგეობის მოხსენება, ცენ. ბიუროსა მოხსენება, რევიზიის მოხსენება, ექიმთა შორის კულტმუშაობის წარმოების შესახებ, მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის მოხსენება და რევიზიის არჩევნები.

თბილისის აღმასკომში

◆ **გადასახადის ამკრეფი სალაროები** თბ. აღმასკომის დადგენილებით იმუშავებენ კვირაობითაც. კვირის ნაცვლად სალაროები დახურული იქნება ორშაბათობით.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ვერის ხიდიდან კარლ მარქსის ხიდამდე ახალი გზატკეცილის გაყვანის შემდეგ, ამ გზაზე გაიყვანოს ტრამვაის ხაზი.

◆ **ახალი სახლი.** თბ. აღმასკომი კლარა ცეტკინის ქუჩაზე აგებს მუშათა ახალ სახლს

◆ **დეპუტატთა მაგიდა.** ტრამვაის სახელოსნოებთან ეწყობა დეპუტატთა მაგიდა.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **შრომის ინსპექტორი.** შრომის სახ. კომისარიატთან გაიხსნა შრომის ინსტიტუტი.

◆ **უმუშევართა კვალიფიკაციის ასაწევად** გადაიდო 4400 მანეთი.

◆ **შრომის ინსპექტორების თათბირი.** იანვრის შუა რიცხვებში თბილისში გაიხსნება შრომის ინსპექტორების თათბირი.

◆ **გამოკვლევა.** ქსანის აგურის ქარხნის მუშების მდგომარეობის და შრომის პირობების გამოსაკვლევად გაიგზავნა სპეციალური კომისია.

კრებები და მოხსენებები

◆ **ხვალ, 28 დეკემბერს,** სახ. უნივერსიტეტში, შესდგება პროფ. მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო აგრონომიული წრის გაფართოებული კრება, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ვ. კანდელაკი შემდეგ თემაზე: „ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და აგრონომიული ფაკულტეტის პერსპექტივები".

სხვადასხვა

◆ **უმუშევართა აღრიცხვა.** პროფსაბჭოს შრომის სტატბიურო შეუდგა უმუშევართა აღწერას.

◆ **რადიო-მიმღები სადგურები.** განსახკომის პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ მაზრებისათვის შეიძინა ახალი რადიო-მიმღები აპარატები.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ დილით კარლ ლიბკნეხტის და ბათუმის ქ. კუთხეში ორმოში, რომელსაც სთხრიდა ტიგრან სარქისიანცი, გადავარდა ურემი; ურემი სარქისიანცს დაეცა თავზე. მძიმედ დაშავებული სარქისიანცი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

უეცარი სიკვდილი

კვირას, 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ორჯონიკიძის ქ. № 7 სახლის წინ უეცრად გარდაიცვალა ვიღაც მამაკაცი, დაახლოვებით 55 წლისა. გარდაცვალებულის ვინაობის გამოსარკვევად გვამი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საბჭოთა საავადმყოფოს პროზექტურაში.

ქურდების დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ალექსანდრე კაუფმანი, ზაილო სადლეევი, კოლი ნიდორეევი, გიორგი მოსეს ძე ლეროვი, იოსებ მიხეილის ძე ბანანოვი, ადამ არტემის ძე ლუარსაბოვი და ნიკოლოზ იაგორის ძე რონტომაშვილი.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს აქვთ ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია.

რეციდივისტები

უკანასკნელ ხანებში ქალაქში „მოღვაწეობდა" ქურდების ერთი ჯგუფი. დაწესებულებებიდან იპარავდნენ რედიკულებსა და პალტოებს.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ ბოროტმოქმედნი დააპატიმრა ქურდობის ადგილზე.

ქურდები აღმოჩნდნენ: ფრანც იოსების ძე პურგელი და ნიკოლოზ იოსების ძე ხელივერსტოვი.

ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნაპოვნია.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ოქროს საათი და ჩექმები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 6, ე. ევანიასთან დილის 9—11 საათამდე.

— ამით ვაცხადებთ, რომ ის ეგნატაშვილი, რომელსაც ტო-რამას სეანსის შემდეგ ცირკში უსიამოვნება შეემთხვა, არც ერთი ჩვენგანი არ არის.

ალექსანდრე ეგნატაშვილი, ვასილ ეგნატაშვილი.

ხელოვნება

„სიცოცხლე—სიხარულია"

ლირიულ-კომიკური ოპერა-ზღაპარი სამ მოქმედებათ. ტექსტი ვალერიან გუნიასი. მუსიკა დ. არაყიშვილისა.

„სიცოცხლე-სიხარულია"—ქართული მუსიკალური კომედიაა. ოპერის სიუჟეტად ავტორმა აიღო არაბული ზღაპარი „ათას ერთი ღამე"-დან და გადაამუშავა ქართულ ყაიდაზე.

ეს სიუჟეტი დამუშავებული აქვს აგრეთვე შექსპირს („ჭირვეული ცოლის მორჯულება") გაუპტმანს („შლიუკ და იაუ") და სხვებს. ოპერის შინაარსი ასეთია:

ახალგაზრდა ლუარსაბ ყარამანდული მეტად მხიარული და სტუმართ მოყვარე კაცია. ერთერთ სახალხო დღესასწაულის დღეს ის სადილზე იწვევს გადაცმულ მეფეს, რომელსაც აგრეთვე სახელათ ლუარსაბი ჰქვია და მასავით დარდი-მანდი კაცია.

სუფრაზე ყარამანდული გულახდილათ ეუბნება სტუმარს, (არ იცის, რომ მის წინაშე [illegible] მეფე სდგას), რომ მეფე არ ვარგა, მას ყველა ქურდავს და ატყუებს. მე რომ ვიყო მეფედ—ამბობს ყარამანდული—საქმე უკეთ წავიდოდა. სტუმარ მეფეს მოეწონება ლუარსაბ ყარამანდულის მხიარული ხასიათი და გულახდილობა და განიზრახავს ხალიფად გახადოს იგი ერთი საათით. და მოეწყოს შესაფერისი კომედია. პირველი მოქმედების ბოლოს ლუარსაბს ღვინოში უყრიან დამაძინებელ წამალს რაც სწრაფად მოქმედებს მასზე; ლუარსაბს ეძინება. იგი მძინარე გაჰყავთ იავნანის სიმღერით.

მეორე აქტი. სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილ ლუარსაბ ყარამანდულს სძინავს. სასახლის მოსამსახურენი ცრუ მეფეს დიდებას უმღერენ. სიმღერის დამთავრებისას ლუარსაბს ეღვიძება, გაოცებით იხედება ირგვლივ და ამბობს, რომ არ ვიცი სად ვარო.

მთავარ ვეზირის ტანსაცმელში გამოწყობილი ნამდვილი მეფე კი კირკაჟთან ერთად (ლუარსაბის მეზობელი და მეგობარი) უძღვება კომედიას. თვით კირკაჟი გადაცმულია ქალის ტანსაცმელში; მას მეფისაგან დავალებული აქვს გაითამაშოს „დედოფლის" როლი. ბოლოს ლუარსაბ ყარამანდული რწმუნდება, რომ ის მართლაც მეფეა და მოითხოვს სამეფო ლხინის გამართვას. მას სურვილს უსრულებენ. სცენაზე გამოჩნდება „დედოფალი" კირკაჟი, რომლის დანახვაზეც „მეფე" აღშფოთდება და უბრძანებს კარისკაცებს მის დახვრეტას, ბრძანება აუსრულებელი რჩება. გაბრაზებული „მეფე" მათრახით ხელში თვითონ დაედევნება დედოფალს. მეორე აქტში კომედია ამით თავდება; მეფე ბრძანებს კვლავ ჩაუყარონ ყარამანდულს დამაძინებელი წამალი ღვინოში; ლუარსაბს ისევ ეძინება.

მესამე მოქმედება. ლუარსაბ ყარამანდული იღვიძებს თავის სახლში. მას უკვე აღარ სურს იცნოს საკუთარი დედა რიფსიმე; თავი წარმოუდგენია მეფედ და მოითხოვს მეფური ლხინის განგრძობას. დედა გაოცებულია შვილის საქციელით, მას იგი ჭკუაზე შერყეული ჰგონია. ატყდება ხმაური. შემოცვივდებიან მეზობლები. [illegible] (სად დედოფალი (გადაცმული კირკაჟი), რომლის დანახვაზეც ლუარსაბი გაბრაზდება და დააპირებს დედოფლის მოკვლას, მაგრამ ამ დროს კირკაჟს შიშით უვარდება კაბა და ხელოვნური ცხვირი. ყარამანდული განცვიფრებული რჩება. შემოდის თვითონ მეფე ლუარსაბი და ხუმრობა აშკარავდება. კომედია თავდება ყარამანდულის ლამაზ დინარაზე დაქორწინებით.

ასეთია დ. არაყიშვილის კომიკური ოპერის სიუჟეტი. ოპერა დაწერილია ქართული მუსიკალური სტილით და ევროპიული მუსიკის ჰარმონიზაციით. ოპერაში სჭარბობს მუსიკალურ-კომიკური ელემენტები.

„სიცოცხლე სიხარულია"-ში მთავარ პარტიებს ასრულებენ: ლუარსაბ ყარამანდული—ლადო კავსაძე, რიფსიმე—მაყაშვილი, კირკაჟი—დემიანენკო, მეფე ლუარსაბი—შარაშიძე, მთავარი ვეზირი—შაპოშნიკოვი, დინარა—დანიელიანი, გოგონა—ახლანოვი. ბალეტში მთავარ როლებს ასრულებენ: ლ. გვარამაძე და მ. სულხანიშვილი.

დირიჟორობს სახალხო არტისტი ზ. ფალიაშვილი: ბალეტი დადგმულია არბატოვის მიერ.

ოპერის პირველი წარმოდგენა დანიშნულია 28 დეკემბრისათვის.

ა. გ.

მუსიკალური საღამოები მუშათა კლუბებში

პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა მუშათა კლუბებში მუსიკალურ საღამოების მოსაწყობად გამოიყენოს სახელმწიფო კონსერვატორიის ძალები. ამ მიზნით კულტგანყოფილებამ გამოჰყო ცალკე კომისია პროფ. დ. არაყიშვილის, მხითარიანის, კონსერვატორიის პრორექ. ლ. ქუთათელაძის, ჰეიშვილის (განათლების მუშაკთა კავშირიდან) და შესტოვის (ხელოვნების კავშირიდან) შემადგენლობით. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას.

კინო და მუშა-მაყურებელი

საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილება დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში (ლენინის რაიონში) მართავს მცირე დისპუტს კინოზე. ამხ. არუტინოვი მოხსენებას გააკეთებს შემდეგ თემაზე: „საბჭოთა კინემატოგრაფის მდგომარეობა, მისი პერსპექტივები და საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა".

ხელოვნების ქრონიკა

— **ძველი ქართული კედლის მხატვრობის გამოფენა.** 1-ლ საცდელ-საჩვენებელ სკოლის დიდ დარბაზში 1 იანვარს გაიხსნება მხატვარ ქალის ნ. ტოლმაჩევსკაიას მიერ გადაღებული ძველი ქართული კედლის მხატვრობის ასლების გამოფენა. გამოფენილი იქნება 100 ნამუშევარი.

— ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები"

რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძის გასაბჭოება".

— ვერა დუხოვსკაიას და ბიტერის კონცერტი გაიმართება 22 დეკემბერს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში.

— მუშათა თეატრში რუსული დრამა დღეს დადგამს „გამფლანგველებს".

— „ქართული მწერლობის" მორიგი ნომერი გამოვა 1-ლ იანვარს.

— კონსერვატორიის დარბაზში 29 დეკემბერს საქველმოქმედო მიზნით გაიმართება დიდი კონცერტი.

სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა

ერევანი, 26 დეკემბერი. 24 დეკემბერს, სალამოს კულტურის სახლში გაიხსნა სომხეთის პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობაზე დაესწრენ საქართველოს და აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა კავშირების წარმომადგენლები.

პირველ სხდომაზე სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. არუთიანი, რომელიც დაწვრილებით შეეხო პროლეტარულ მწერალთა ამოცანებს და აღნიშნა სომხეთის პროლეტარული მწერლების მიერ ჩატარებული ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საქართველოს და აზერბეიჯანის პროლეტარულ მწერალთა წარმომადგენლების და აგრეთვე სომხეთის სხვა ლიტერატურული ჯგუფების წარმომადგენელთა მისალმებების შემდეგ გაიმართა ინტერნაციონალური საღამო სომხურ, ქართულ, თურქულ და რუსულ ენაზე; საღამოზე პროლეტარულმა მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწერები.

25 დეკ., პროლეტარულ მწერალთა ყრილობის მეორე სხდომაზე პროლეტ. მწერალთა კავშირის მდივანმა ამხ. ალაზანმა გააკეთა მოხსენება კავშირის მუშაობის შესახებ.

„სომხეთის პროლეტარულმა მწერლებმა,—სთქვა ამხ. ალაზანმა,—მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს მხატვრული და იდეოლოგიურის მხრივ, მონაწილეობას იღებდნენ იდეოლოგიურ ბრძოლაში ნაციონალიზმის, მენშევიზმის და დაშნაკიზმის წინააღმდეგ, და აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ტროცკიზმთან".

შემდეგ სხდომებზე გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამხ. ალაზანის მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა ამხანაგებმაც. (აძს).

სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ყრილობაზე დასასწრებლად საქართველოდან გაემგზავრენ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლები ამხ. ბ. ბუაჩიძე, ს. ეულა, კ. ლორთქიფანიძე და ა. მაშაშვილი.

სასამართლო

როგორც თავის სახლში..

ნაპურმარილევი ნიკოლოზ თელია შედის თბილისის სადგურის მე-2 კლასის დარბაზში. დარბაზში სითბომ ისე მიზიდა თელია, რომ გარედ გამოსვლა სცნო „მიზანშეუწონლად" და იქვე ჩამოჯდა სკამზე სხვა მგზავრებს შორის.

ჯერ „თვალს წყალი დაალევინა", აათვალიერ-ჩაათვალიერა გამვლელ-გამომვლელები, შემდეგ დაეყრდნო იდაყვს და დაიძინა ნიბლიასავით, როგორც თავის სახლში.

გავიდა ერთი მატარებელი. თელიამ უმატა ხვრინვას. გავიდა მეორე, თელიამ შესტოპა სიზმრებში, გავიდა მესამე და უკანასკნელი მატარებელი. დარბაზი დაიცალა.

მოსამსახურეები ძალიან გაკვირვებით უყურებდნენ თავიდანვე თელიას. ვეღარ გაეგოთ რომელ მატარებელს უცდიდა მგზავრი.

ღამის ორ საათს გადაშორდა. თელიამ მოიკეცა ფეხები სკამზე, ზურგი შეაქცია ელექტრონის სინათლეს და განაგრძო ძილი.

— ამხანაგო, თქვენ სად მიბრძანდებით,—მოაქანა თელია რკინისგზის თანამშრომელმა.

— მოშორდი აქედან, ის მე ვიცი, სადაც წავალ.

— ამხანაგო, სადგური იკეტება, აქ დარჩენა არ შეიძლება.

— მოშორდი მეთქი, მეორეჯერ არ გამაღვიძო, თორემ ვაი შენი ბრალი...

მოქალაქემ დემონსტრატიულად ზურგი შეაქცია თანამშრომელს ბუზღუნით გაისწორა ხელი, რომელიც სასთუმლის მაგიერობას უწევდა.

— თქვენი მოწმობა, ამხანაგო,—მიადგა თელიას პოლიტსამმართველოს თანამშრომელი.

— ოჰ! თქვენ გაგიმწარდათ ცხოვრება! მე თქვენ გიჩვენებთ მოწმობას.

თელია წამოვარდა დათვივით, გაუშალა და უთავაზა თანამშრომელს ისე მაგრად, რომ უკანასკნელმა იცვალა პირვანდელი მდგომარეობა და კარგა მოზრდილი მანძილი გაიარა ბარბაცით.

მოვიდა მეორე თანამშრომელი, რომელმაც ასეთივე მაგარი მუშტი მიიღო მოწმობის მაგიერ.

თელია დააპატიმრეს.

საქმე გაარჩია მორიგმა კამერამ.

ნიკოლოზ თელია ორი თვის ვადით გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

ბერ.

ავიაქიმში

ავიაქიმის ორგანიზაციების მდივნების თათბირი

დღეს საღამოს 6 საათზე, თბილისში ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე (კოლოუბნის ქ., № 7) იხსნება რესპუბლიკების საზოგადოებების, ავტონომიურ ოლქების და მსხვილ მაზრების ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: მოხსენებები ადგილებიდან, მოსახლეობის გასამხედროება სექციების მუშაობა და სხვა.

სასროლო სექცია.

ვინაიდან სასროლო სპორტს დღემდე ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები, საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა და საქ. ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინეს გააერთიანონ სასროლო სექციები. ახალი სასროლო სექციები იარსებებს სახელწოდებით „თავდაცვა-ავიაქიმის და ფიზკულტურის საბჭოს სასროლო სექცია" და იგი გაუწევს ხელმძღვანელობას ყველა არსებულ სასროლო წრეებს.

ქიმიური კურსები

ოქტომბერში საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ თბილისში მოაწყო სამთვიანი კურსები ქიმ. ინსტრუქტორთა და ავიაქიმ რაზმების უფროსთა მოსამზადებლათ. მეცადინეობა კურსებზე დამთავრებულია. ამ დღეებში დაიწყება მსმენელთა გამოცდა. კურსების გამოშვება განზრახულია იანვრის პირველ რიცხვებში.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 27 დეკემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ პროფესიის უმუშევართ:

საგარანტიო სექციიდან: სვიმონ იორდანიშვილს. **ფიზიკურ მუშაკთა მე-8 სექციიდან:** ალექსანდრე ბეიგოვს, ვარდო ტერ-ოგანეზოვს. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** მიხეილ მნაცაკანოვს, ადოლფ ბენშტაბს და ერვანდ ასლამაზოვს.

მედიკურ მუშაკთა სექცია: თავის უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში საჭიროა ერთი მოწყალე. ჯამაგირი 37—50 კაპ.

კოლექტივების გამოკვლევა

შრომის ბირჟამ გამოჰყო კომისია 3 კაცის შემადგენლობით, შრომისა და სავაჭრო კოლექტივის გამოსაკვლევად. და მუშაობის გაფართოვებისათვის სათანადო ღონისძიებათა შესამუშავებლად.

სარემონტო კომისია

შრ. ბირჟაში ჩატარებულ სამუშაოთა (ბაღის გაშენება და სხვა) შესაფასებლად და მისაღებად შესდგა კომისია ამხ. ჯულელის მეთაურობით.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სავალდებულო დადგენილება № 01627

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

29 ნოემბერი, 1927 წ. ქ. თბილისი

სახლთა-პატრონების, სახლთა-მმართველობის და გაწერისათვის პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ უცხოელთა ჩამოსვლის და გასვლის გამო შეუტყობინებლობის შემთხვევაში

თანახმად 23 მუხლისა „უცხოელთათვის საცხოვრებელ დოკუმენტების შესახებ" დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წელს 12 აპრილს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაეკისროს ყველა სახლის პატრონებს, მოიჯარადრეებს, კომენდანტებს და სახლების გამგეებს და მმართველებს, სასტუმროების, მებლიან ოთახების და საერთო სადგომ ეზოების პატრონებს და მმართველებს, აგრეთვე სახლთა მმართველობაში მოქალაქეთა გაწერისათვის ყველა პასუხისმგებელ პირთ:

ა) აცნობონ მუშათა და გლეხთა მილიციის სათანადო ორგანოებს უცხოელების მუდმივი ან დროებითი საცხოვრებლად მათ გამგებლობაში მყოფ სახლებში ჩამოსვლის შესახებ;

ბ) აცნობონ წინა პუნქტში აღნიშნულ ორგანოებს, მათ გამგებლობაში მყოფ სახლიდან უცხოელის გასვლის შესახებ.

გ) მოსთხოვონ უცხოელებს გაწერისათვის ან წერილობითი განცხადებისათვის მათი ჩამოსვლის შესახებ, საცხოვრებელი დოკუმენტები, ან ნაციონალურ პასპორტზე ცხოვრების ნებართვის აღნიშვნა, რომელიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ დებულებით „უცხოელთათვის საცხოვრებელ დოკუმენტების შესახებ;

დ) წარუდგინონ სათანადო მუშათა-გლეხთა მილიციის ორგანოებს ცნობები მათ გამგებლობაში მყოფ სახლებში მცხოვრებ იმ უცხოელთა შესახებ, რომელთაც არა აქვთ საცხოვრებელი დოკუმენტები და ნაციონალურ პასპორტებში ცხოვრების ნებართვის „აღნიშვნა".

2) დადგენილების 1-ლ მუხლის „ა" და „გ" პუნქტებში აღნიშნული ცნობების მიცემა სწარმოებს სამისამართო ბიუროს ან მაგიდის მეშვეობით საბინაო დავთარში გაწერით, მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც არ არის სამისამართო ბიურო ან მაგიდა, სათანადო სამილიციო ორგანოში შესაფერი განცხადებით. ორივე შემთხვევაში ცნობა უნდა იქნეს შეტანილი ქალაქებში, არა უგვიანეს 12 საათის განმავლობაში უცხოელის ჩამოსვლის ან გასვლის შემდეგ, მხოლოდ სოფლად—არა უგვიანეს 48 საათისა.

3. დაეკისროს ბინის პატრონებს აცნობონ წინა მუხლებით გათვალისწინებული ცნობები სახლის პატრონებს ან ჩამოსულ უცხოელის ბინაზე გაწერისათვის პასუხისმგებელ პირთ; აცნობონ აგრეთვე იმავე პირთ უცხოელის ბინიდან გასვლის შემთხვევაში.

4. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით;

ქალაქად—ჯარიმით 100 მანეთამდე, იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთი თვემდე. სოფლად—ჯარიმით 10 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობით ერთ კვირამდე.

5. ამ დადგენილების შესრულებას თვალყურს ადევნებს სამილიციო ორგანოები.

6. აღნიშნულ დადგენილების მოქმედება ვრცელდება ს. ს. ს. რ. მთელ ტერიტორიაზე

7. სავალდებულო დადგენილება ესე ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან მის გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ბერია.

ადმინისტრატიულ სამმართველოს უფროსი
რესპუბლიკის მილიციის უფროსი ზერაძე.
უცხოელთა განყოფილების უფროსი
დუმბაძე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის ა.-წ. დეკემბრის 14-ს ნომერში გამოქვეყნებულია ს.ს. ცაკ-ის დადგენილება № 92.

დადგენილებაში შეპარულია შემდეგი შეცდომები: თვით დადგენილება უნდა იყოს № 91 (და არა 92), [illegible] სტრიქონში სწერია: „საორგანიზაციო განყოფილების დებულების დამტკიცებისა", უნდა იყოს „საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების დებულების დამტკიცებისა".

დადგენილების ტექსტის 6—7 სტრიქონში სწერია: „საორგანიზაციო განყოფილების შესახებ", უნდა იყოს: „საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების შესახებ".

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ესტატე მაღრაძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს ხსენებულ განყოფილებაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დღეს, 27 დეკემბერს, დილის სრულ 10 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 54) შესდგება თათბირი სპეციალურ საკითხზე. სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მარკმანი (საქ. პროფსაბჭო), ჭელიძე (შრომის სახ. კომისარიატი), არეშიძე (შრომის ბირჟა), კვირიკაძე (თბილისის კომ.), ხვედელიძე (საქ. პროფსაბჭო) და ისაკოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 27 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ამავე რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, საღამოს 5 საათზე.

წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქარ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ლეო ჩანტლაძეს და სავლე გოგიჩაიშვილს გამოცხადდნენ დღეს, 27 დეკემბერს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპექტი, 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

დღეს, 27 დეკემბერს, ნაშუადღევის სრულ 1 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის კომ-უჯრედის ბიუროს სხდომა.

აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ: პაპავა ლ., გეგენავა სამს., მონიავა ა., ბერიშვილი ი., გვაზავა დ., აბუსერიძე კ., ჩიგოგიძე, მელიქაძე თ., და ცინცაძე გ.

აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ სოც. ეკონ. ფაკ. კომკავშირის უჯრედის მდივანი.

სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის მე-3 და მე-4 კურსის ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 27 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ბიურო-კოლექტივის ოთახში.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

სახელ. უნივერს. სამკურნალო ფაკულტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 27 დეკემბერს, დღის 12 საათზე.

სხდომა შესდგება ბიურო-კოლექტივის ოთახში.

ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ალექსანდრა ინაშვილს

კითხვა

ჩემი ქმარი გარდაიცვალა 1922 წელში. დარჩა სამი ვაჟი და ორი შენობა: ერთი თბილისში და მეორე სოფელში. სოფელში მდებარე შენობა ქმარმა მიანდერძა მე. ახლა მინდა სახლი გავყიდო, მაგრამ უფროსი შვილები არ მაძლევს და ამბობს მეც მაქვს წილი. მაქვს თუ არა შენობის გაყიდვის უფლება

პასუხი

თუ სოფლად მდებარე შენობა თქვენ გიანდერძა თქვენმა ქმარმა და ანდერძი სასამართლოს წესით დაამტკიცეთ 1923 წლის 20 აპრილამდი, შენობა შეადგენს თქვენს საკუთრებას და შვილებს არავითარი უფლება მაზე არ აქვსთ. თუ ანდერძი თქვენ სასამართლოს წესით არ დაგიმტკიცებიათ, მაგრამ ამ ანდერძის ძალით თქვენ დაიუფლეთ ეს შენობა და თქვენი ქმრის გარდაცვალების შემდეგ ეს შენობა მართოოდენ თქვენს განკარგულებაში და მფლობელობაში იყო 1923 წლის 20 აპრილამდე, ამ შემთხვევაშიაც ეს შენობა შეადგენს თქვენს პირად საკუთრებას.

როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გაჰყიდოთ შენობა. კანონით სოფლის შენობას ყიდვა შეუძლია მხოლოთ ისეთ პირს, რომელსაც სადგილ-მამულო ორგანოების მიერ მიეცემა არსებული წესით ის მიწა, რომელზედაც შენობა სდგას.

მაგრამ თუ თქვენი ანდერძი დამტკიცებული არ ყოფილა, ხოლო შენობით სარგებლობდით ყველანი ერთად, ამ შემთხვევაში შენობა შეადგენს საერთო საკუთრებას და თქვენ შეგიძლიათ გაჰყიდოთ მხოლოთ თქვენი წილი ე. ი. მეოთხედი. ამ შემთხვევაში სამოქ. კოდ. 64 მუხ. თანახმად თქვენს შვილს ეძლევა უფლება თქვენი წილის უპირატესობით შესყიდვისა.

ა.-კ. რკ. გზათა სალიანდაგო და ნაშენთა განყოფილების თანამშრომელნი და ამავე განყოფილების ადგილკომი, ღრმად დამწუხრებულნი აცხადებენ, რომ 26 დეკემბერს ღამის 2 საათზე მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე განყოფილების უფროსის თანაშემწე, გზათა მიმოსვლის დამსახურებული-ინჟინერი

მიხეილ ვიკტორის-ძე კარპოვიჩი

სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილი იქნება ა.-კ. რკ. გზათა სალიანდაგო განყოფილების შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 73) ოთხშაბათს, 28 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. ცხედრის გამოსვენება—ამავე დაწესებულებიდან ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, დღის 3 საათზე. 912

ღრმა მწუხარებაში მყოფნი და სამუდამოთ გულმოკლულნი მშობლები: ვასილი და ელენე, და მედეია შამათავები, ბებიები: ქრისტინე შამათავასი, ოლინკა ჰავჯანიძისა, დეიდები: თამარა და შურა ჰავჯანიძეები, მამიდა ეგრაფინა ქმრით შალიკო და შვილი ლალი მინდელები, ბაბუა სტეფანე და ბებია თეკლე შამათავები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი ძვირფასი და უდროოთ დაკარგულ ოჯახის სიხარულის პატარა

ოთარი (ოთიკო) ვასილის-ძე
შამათავას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, 28 დეკემბერს ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, ვერის ახალ სასაფლაოზე. 905

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი დები: ელისაბედ ყანჩაველისა, დარია გამყრელიძისა, ძმები: დავით და კარპოზ თაქთაქიშვილები, შვილები: ალექსანდრე, გიორგი, ლევან (ვახტანგი), იოსების-ძენი ციციშვილები და ნინა ვასილის ასული ციციშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დილით 4½ საათზე 25 დეკემბერს გარდაეცვალათ საყვარელი და და დედა

მარიამ ივანეს ასული
ციციშვილისა

პანაშვიდი 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. 28 დეკემბერს, წირვის შემდეგ დღის 3 საათზე გამოსვენება და დაკრძალვა დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე. 911

თვალცრემლიანი და მწუხარე დედ-მამა ხარიტონი და მარიამი, გულდაწყვეტილი დები: ნადია, ვერა, ქსენია, თამარი და ირაიდა; ბიძა და ბიცოლა გაბრიელი და ემილია, ბიძაშვილები, ვალიდა, ჟორჟი და ბაბილინა ჯიმშელეიშვილები: ბიძაშვილი გიგლა კაშია აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 29 დეკემბერს, დღით ხუთშაბათს, სოფ. კუხის წმ. გიორგის ეკლესიაზე გადახდილ იქნება უდროოდ დაკარგულის

ელეონორა (მეკუ) ჯიმშელეიშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების მოსაგონარი პანაშვიდი. 902

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ნინა და მელიტონი, ბებიები: ივლიტა სულუხიასი და ელისაბედ გორგოშიძისა, ბაბუა სიმონ გორგოშიძე, დეიდები: სონია, გოგოლა და მაშიკო სულუხიები, ლიუბა გორგოშიძე, ბიძები: პავლე სულუხია, ვიქტორ და პროკოფი გორგოშიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 25 დეკემბერს, გარდაიცვალა მათთვის უსაზღვროთ საყვარელი, დაუვიწყარი, დედმამის ერთათ ერთი იმედი პაწია

ნოდარიკო
სულუხია

რომლის დაკრძალვა მიხდება დღეს, სამშაბათს, დღის 3 საათზე, სოფ. ბახვის სასაფლაოზე გამოსვენება ქ. ოზურგეთიდან. (სიმონ გორგოშიძის სახლიდან.) (შ)

კინო-აპოლო
გლორია სვენსონი
სეზონის საუკეთესო სურათში
„რა საჭიროა ცოლის გამოცვლა"
ყოველდღე ანშლაგები
2 კვირის განმავლობაში
კინო-არფასტოში

დღეს და ყოველდღე

კინო-არფასტო
ფრანჩესკა ბერტინი
და ჟან ანჟელო
(„ატლანტიდა"-ს გმირი)
უკანასკნელ ახალ სურათში
„მონტე-კარლოს აღსასრული"
ანონსი: მალე მხატვრული სურათი „ს პ ი დ"
ნ. 395

აპოლო	არფასტო	სოლეი	დარბაზი
გლორია სვენსონი მხატვრულ სურათში „რა საჭიროა ცოლის გამოცვლა"	ფრანჩესკა ბერტინი და ჟ ა ნ ანჟელო („ატლანტიდა"-ს გმირი) მხატვრულ სურათში „მონტე-კარლოს აღსასრული"	პარიზის უკანასკნელი მხატვრული სურათი „პულისებში" მარჩელო ალბანის და ვერნერ კრაუსის მონაწ.	ამერიკის საყვარელი არტისტი ქალი პირლ უაიტი სურათში „სამღვთო ბრილიანტი" 1 და 2 სერია ერთად

ცირკი „კოლოს"
ტელ. 8—64
ნ. 394 3—1

სამშაბათს 27, ოთხშაბათს 28 და ხუთშაბათს 29 დეკემბერს
ახალ 10 ატრაქციონის გასტროლები
პროგრამის ძირითადი საფუძველი
განთქმული იაპონელები სიმადო
ცხომელიძე
მოჯირითე კალგანოვები და სხვა.
დასაწყისი საღამოს 8 ½ საათზე
მოდიან ახალი გასტროლიორები
დირ. ი. ზ. [illegible]. რწმუნებ. კ. გროდზენსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე

მიხეილ ზედგენიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

დაარსებულია 1926 წ.
სახელგამის
კონტრაგენტი
ამხანაგობა
„წიგნი"
დაარსებულია 1926 წ.
ამხანაგობის მიზანია ბეჭდვითი ნაწარმოების გავრცელება საქართველოში და საქართველოს გარეშე მცხოვრებ ქართველებში. ამხანაგობას ესაჭიროება
პასუხისმგებელი აგენტები საქართველოს ყველა ქალაქებში და თემებში
ამხანაგობა თავის აგენტებს მიაწოდებს ყოველგვარ წიგნებს, ყველა ჟურნალ-გაზეთებს, საკანცელარიო ნივთებს. სახატვო სათამაშოებს, მუსიკალურ და ფიზკულტურის საგნებს. გარდა ამისა, თანახმად ყველა გაზეთების კანტორებთან დადებულ ხელშეკრულებისა ამხანაგობა „წიგნი" მიაწოდებს თავის აგენტებს გაზ. „კომუნისტს", „მუშას" და „ახალ სოფელს".
აგენტებს ეძლევათ პროცენტები.
ამხ-ბა „წიგნი"-ს გამგე დ. მიქელაძე
მისამართი: თბილისი ჯორჯაძის ქ. № 1. 2-1 ნ. 385.

ოთხშაბათს, 4 იანვარს, 1928 წ. სამხედრო საფონდო ბიუროს საწყობში (არსენალის გორა) შესდგება
საჯარო ვაჭრობა
რომელითაც გაიყიდება სატელეფონო კაბელი, კანიფოლი, საბარგო ავტომობილის შინები, კამერები და სახურავები, სხვადასხვა ხელსაწყოები, საბურღავი აპარატები (საქაჩავებით, რომლებიც ივარგებს სახანძრო საქაჩავებად), ურმის თვლები, „დვუკოლკები", ყუთები საიდუმლო მიმოწერისათვის, კლიშები, მაღაროს და უელსის ფანრები, მსუბუქი ავტომობილი „ლოკომობილი", რკინისა და ფოლადის სხვადასხვა ნივთები. საწინდარი—10 პროცენტი; ბე—საჯარო ვაჭრობაზე პირველ შეფასების სრული რაოდენობით.
ნ. 393. რწმუნებული.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წლის 1-ლ აგვისტოს თარიღით და მე-419/ტ ნომრით გამოცემულ ბრძანების თანახმად,

დაწესებულია მღებავ მცენარეულობათა-ხნას და ბასმას დაღდაღვა

ამის გამო ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებები, რომელთაც მოეპოვება ხნა და ბასმა, ვალდებული არიან ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარადგინონ [illegible] დასადაღავად უახლოეს საბაჟოში; ამასთანავე წარმოდგენილ უნდა იქნას საბუთები ხნას და ბასმის შემოტანისა და მათზე ბაჟის გადახდის შესახებ.

აღნიშნულ ვადის გასვლის შემდეგ, თუ აღმოჩენილ იქნა ხნა და ბასმა უდაღოდ, ის იქნება კონფისკაცია-ქმნილი, როგორც კონტრაბანდა.

მთავარ საბაჟო სამმართველოს ამიერ-კავკასიის განყოფილება. ნ. 362 3—1

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8 ჯ.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8 9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—15

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნ ო ე"-ს პირდაპირ ტელ. 12—6

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექიმი
არს. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფებს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე. ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

ა. წ. 20 ნოემბერს საღამოს 10 საათზე სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ირაკლი ბეგლარისძე ბაწელაშვილი 18 წლისა, [illegible] მნახველს ვსთხოვთ შეგვატყობინოს ამ მისამართით: თბილისი, ყიფიანის ქუჩა № 28 ბეგლარ ბაწელაშვილი. 907

დავკარგე ს. ა. ლ. კ. კ. საკავშირო ბილეთი № 54462 სვიმონ მენთეშაშვილის სახელზე. ჩ. გ. 914

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ფორმა № 4 მოცემული თბილისის მაზრის სამხ. დრო კომისარიატის მიერ სამხედრო ბეგარის ვადის გაგრძელებაზე, მოწაფე შალვა რომანოზის ძე ჭუბაბრიას სახელზე. ჩ. გ.

დავკარგე ოთხი ღერბის თამასუქის ქაღალდი თითეული ასი მანეთის, ხელმოწერილები, სამი თითეულზე ცალ-ცალკე გიორგი დავითისძე სანოძის, კიმოთე ბეჟიასძის გიორგბელიძის, და ბეჟან ნიკოსძის უგრეხელიძის მიერ და ერთ ას მანეთიან თამასუქზე ხელმოწერილი სამივე აღნიშნულ პირების: სანოძის, გიორგბელიძის და უგრეხელიძის მიერ, არტემ მანაგაძის სახელზე, ჩ. გ. 910

დავკარგე პირადობის მოწმობა მიღებული ოზურგეთის მაზრის მილიციიდან სიმონ თედორესძე ბუტენკოს სახელზე, ჩ. გ. ნ. 392

დავკარგე პირადობის მოწმობა და კავშირის წიგნაკი შალვა სპირიდონისძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. 903

დავკარგე სამხედრო საარიცხვო წიგნაკი № 789 ფორმა № 7 არისტაქეს დავითისძე სარახატუნოვის სახელზე ჩ. გ. 906

დავკარგე მემკვიდრეობის მოწმობა № 1105 ანუშკა შუბითიძეს სახელზე, ჩ. გ. 906

დავკარგე პროფკავშირის და ურთიერთ დამხმარე კასის საწევრო წიგნაკი № 11795 გაცემული [illegible] გორის [illegible] კომიტეტის მიერ სოლომონ გიორგისძე მეხაბდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 913

დავკარგე განათლების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 22863 ნინო პავლეს ასული ხვედელიძის სახელზე, ჩ. გ. 913

დავკარგე ჩვენ მიერ ხელმოწერილი ვექსილის ბლანკი, ათას—მანეთიანი, მცხოვრები დაბა საჩხერეში, შორაპნის მაზრა სპირიდონ ნიკოლ. მეცხვარიშვილის და მისა სიმონისძე თურმანიძის სახელზე. ჩ. გ. 408

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68